

**INTERNATIONAL FEDERATION OF LIBRARY ASSOCIATIONS AND INSTITUTIONS**

**ISBD(NBM)**  
International Standard Bibliographic Description  
for Non-Book Materials

**Revised edition**

**Recommended by the ISBD Review Committee**

**Approved by the Standing Committee  
of the IFLA Section on Cataloguing**

**IFLA Universal Bibliographic Control and International MARC Programme  
British Library Bibliographic Services  
London  
1987**

**Translated into Georgian by  
Giorgi Apridonidze**

**Library Automation Association in Georgia  
Tbilisi 2000**

საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია  
( I F L A )

I S B D ( N B M )

არაწიგნადი მასალების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის  
საერთაშორისო სტანდარტი

გადამუშავებული გამოცემა

რეკომენდებულია IFLA-ს საკატალოგიზაციო კომიტეტის  
ISBD-ს სარევიზიო კომისიის მიერ

I F L A-ს საყოველთაო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვისა და საერთაშორისო  
კომპიუტერული კატალოგიზაციის პროგრამა (UBCIM)  
ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული სამსახური  
ლონდონი  
1987

ინგლისურიდან თარგმნა  
გიორგი აფრიდონიძემ

ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია საქართველოში  
თბილისი 2000

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## შესავალი

### **0 წინასწარი შენიშვნები**

- 0.1 მოქმედების არე, მიზანი და გამოყენება
- 0.2 განსაზღვრებანი
- 0.3 ISBD(G)-ს და ISBD(NBM)-ის სქემების შედარება
- 0.4 პუნქტუაცია
- 0.5 ინფორმაციის წყაროები
- 0.6 აღწერილობის ენა და დამწერლობა
- 0.7 შემოკლებები და აბრევიატურა
- 0.8 დიდი ასოების გამოყენება (კაპიტალიზაცია)
- 0.9 მაგალითები
- 0.10 ბეჭდვითი შეცდომები
- 0.11 სიმბოლოები და ა.შ.

### **1 ელემენტების სპეციფიკაცია**

- 1.1 სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო
- 1.2 გამოცემის სფერო
- 1.3 მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის) დამახასიათებელი სფერო
- 1.4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. სფერო
- 1.5 ფიზიკური აღწერილობის სფერო
- 1.6 სერიის სფერო
- 1.7 შენიშვნების სფერო
- 1.8 სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნომრის და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო

### **დანართები**

- ა. მრავალდონიანი აღწერილობა
- ბ. ორმხრივი მიმართულების ჩანაწერები
- გ. ზოგადი სპეციფიური მასალების აღნიშვნები
- დ. რეკომენდებული შემოკლებები ინგლისური ენისათვის ISBD(NBM)-ში
- ე. მაგალითები

### ინდექსი

## შესავალი

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტის შექმნის იდეა წარმოიშვა კატალოგისტთა ექსპერტების საერთაშორისო შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. მისი მოწყობის ინიციატივა ეკუთვნის IFLA-ს კატალოგისტთა კომიტეტს, რომელიც შეიკრიბა კოპენჰაგენში და რომელზედაც დადგენილ იქნა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ფორმები და შინაარსი. მონოგრაფიული გამოცემების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტის იყო პირველი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც შეიქმნა 1969 წლის შესაბამისად.

ISBD-(M) პირველი ტექსტი გამოქვეყნდა 1971 წელს რიგი რეკომენდაციების სახით. 1973 წლისათვის ტექსტი მიღებულ იქნა მრავალი ქვეყნის ბიბლიოთეკების მიერ, ითარგმნა სხვადასხვა ენაზე ინგლისურიდან და მხედველობაში იქნა მიღებული სხვადასხვა საკატალოგო კომიტეტის მიერ, აღწერილობის ეროვნული წესების მომზადებისას. ამავე დროს აღინიშნა, რომ ბეჭდური სიტყვა არის დოკუმენტური გადმოცემის ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება ინდივიდებსა და დაწესებულებებს შორის საკომუნიკაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რის გამოც არაწიგნადი დოკუმენტური მასალების აღწერილობის სტანდარტიზებული სტრუქტურა IFLA-მ უნდა გადაეგზავნოს ISBD-(NBM)-ს. ამის შესაბამისად გრენობლში არსებულმა IFLA-ს მთავარმა საბჭომ 1973 წელს ურჩია ISBD-(NBM)-ს შეედგინა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფი შედგა 1975 წლის დასაწყისში და ორი წლის ინტენსიური მუშაობის შედეგად მოამზადა სამი სრულტექსტოვანი პროდუქციის სრულყოფილი გეგმა.

1975 წლის აგვისტოში ინგლისურ-ამერიკული საკატალოგო წესების ცვლილებების შეტანის ერთობლივმა მართვის კომიტეტმა შესთავაზა IFLA-ს საკატალოგო კომიტეტს შეემუშავებინა ყველა ტიპის ბიბლიოთეკებისათვის მასალები ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ერთობლივი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ISBD-(G)-მ გამოაქვეყნა 1977 წელს. ISBD-(NBM)-ს სამუშაო შეთანხმებული იყო ISBD-(G) სამუშაოებთან. 1977 წელს გამოქვეყნდა ISBD-(NBM)-ს პირველი გამოცემის პუბლიკაცია, რომელიც შევიდა ISBD-(G)-ს დაქვემდებარებაში.

1977 წლის აგვისტოში, ბრიუსელში IFLA-ს მსოფლიო კონგრესის შეხვედრაზე IFLA-ს საკატალოგო სექციის მუდმივმა კომიტეტმა ახალი მნიშვნელოვანი წინადადება შეიტანა IFLA-ს ISBD-ს პროგრამასთან დაკავშირებით. შეთანხმების მიხედვით ISBD-ს ტექსტების არსებობის ხანგრძლივობა განისაზღვრა ხუთი წლით, რომლის შემდეგაც დასაშვები იყო ტექსტში მთლიანი ან ნაწილობრივი ცვლილებების შეტანა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად შეიქმნა ISBD სამეთვალყურეო კომიტეტი, რომელიც შეიკრიბა 1981 წლის 10-11 აგვისტოს ლონდონში. გეგმის მიხედვით მეთვალყურეობა და საჭირო ცვლილებები უნდა შეეტანათ ოთხ ISBD-ში: ISBD-(CM), ISBD-(NBM), ISBD-(S)-ში, რომლებიც პირველად გამოქვეყნებულ იქნა 1977 წელს და ISBD-(M)-ში (ბოლოს გამოქვეყნდა 1978 წელს). თითოეული ISBD-სათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფები თავისი თავმჯდომარეებითურთ, რომლებიც მივლინებული იქნენ ISBD-ს სამეთვალყურეო კომიტეტიდან. ამ ოთხ ISBD-სთან მუშაობის რამდენიმე წლის გამოცდლებამ გვიჩვენა, რომ მოხდა მათი ფართო განხილვა (როდესაც ისინი გამოიყენებოდა, როგორც სათაო დოკუმენტების საკატალოგო შიფრების შესაქმნელად), აგრეთვე ფართოდ დანერგვა (იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობდა ეროვნული საკატალოგო შიფრები). ტექსტურ მასალებთან მიმართებაში მიღებულმა გამოცდილებამ საფუძველი დაუდო ბევრი ახალი

იდვის შემდგომ განვითარებას და დაისახა გზები შემდეგი საჭირო ღონისძიებების ჩასატარებლად:

- 1) ფორმულირებების დახვეწა და განსაზღვრებებისა და თანმიმდევრობაში თანხმობის მიღწევა;
- 2) ISBD-ს ადაპტაცია არარომაულ შრიფტებთან;
- 3) ერთნაირი ნიშნების გამოყენების განხილვა;
- 4) უფრო მეტი და უკეთესი მაგალითების მოყვანა;
- 5) გახადოს უფრო ადეკვატური ISBD-(NBM) აღწერილობასთან მასში გაშუქებული მასალები IAML და IASA-დან მიღებული კომენტარების შესაბამისად.

მრავალი საკითხის გასარკვევად, რომელიც ეხება ISBD-(NBM)-ს მიერ გაშუქებულ სხვადასხვა მასალების აღწერას, განხილვის პირველ ეტაპზე მრჩევლის როლში მოსამზადებელ კომიტეტში მიიწვიეს საშუალო რგოლის სპეციალისტები.

შემათანხმებელი საქმიანობის აუცილებლობა წარმოიშვა იმ ფაქტიდან, რომ ცალ-ცალკე შექმნილ ტექსტებში უნდა მომხდარიყო ფორმულირებების, მათ შორის პირობების (?) შეჯერება, აგრეთვე ოთხივე ტექსტის დასაზუსტებლად, რის საშუალებასაც ოთხი სხვადასხვა კატეგორიის მასალა მისცემდა.

როცა ცხადი გახდა, რომ ზემოხსენებულმა შეჯერებამ მოიცვა ნაშრომის უმეტესი ნაწილი, IFLA-ს UBC-ს საერთაშორისო ბიურომ შექმნა სარედაქციო დოკუმენტი შეჯერების მიზნების განსამარტავად. ISBD-ის სარეცენზიო კომიტეტმა, რომელიც ასევე ლონდონში შეიკრიბა 1983 წლის 19-21 იანვარს, სწრაფად დაუგზავნა პროექტები პირველადი ჩასწორებისათვის, სარეცენზიო პერიოდით, 1983 წლის ივლისიდან 1984 წლის 31 ივნისამდე. შენიშვნები მოვიდა, როგორც ცალკეული პირებისაგან, ასევე მსოფლიოს მრავალი ორგანიზაციისაგან, სადაც გამოთქმული იყო საქმიანი მითითებები სამუშაო ჯგუფებისათვის, მათი შემდგომ მუშაობაში გასათვალისწინებლად.

სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელებმა მოამზადეს ოთხი სარეცენზიო ტექსტის მეორე პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ყველა წინადადება და შენიშვნა. ამის შემდეგ კონგრესის ბიბლიოთეკამ ოთხი შეჯერებული ტექსტის საფუძველზე მოამზადა მესამე პროექტი. მესამე პროექტი კვლავ დაეგზავნა თავმჯდომარეებს ხელახალი განხილვისათვის, რომლებმაც შეიტანეს საჭირო ცვლილებები ტექსტში და მიუთითეს გადაუჭრელ პრობლემებზე. საბოლოოდ, ოთხ თავმჯდომარესთან და ბარბარა ჯოკერთან (UBC პროგრამის ხელმძღვანელი) კონსულტაციების შემდეგ ყველა პრობლემა გადაწყდა და ჩამოყალიბდა ტექსტის საბოლოო ვარიანტი. მთელმა სამუშაომ, დაწყებული პირველი პუნქტიდან, მეტ დროს გასტანა ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო 1981 და 1983 წლის გეგმებით.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც აზრი გამოთქვა პროექტზე, ან სხვადასხვა კონსულტაცია გაუწია ამ პროექტს, იმ სამუშაოებისათვის, რომელიც ყველა ტექსტზე იყო შესრულებული. გადაწყვეტილებების კოორდინირებული და ზუსტი გატარებისათვის, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, როგორც ბარბარა ჯოკერს, ასევე კონგრესის ბიბლიოთეკას. ISBD-(NBM) შეიცავს საძიებელსა და დამატებებს. პირველ დამატებაში შემოთავაზებულია სპეციალური ტექნიკური მრავალდონიანი აღწერილობის გაკეთების საერთო სტანდარტიზაციის შექმნის განაწესს. მეორე დანამატში მოტანილია ზემოთ მოხსენებული ზომა, რომლითაც უზრუნველყოფენ აღმოსავლეთმცოდნეობის მასალებზე მომუშავე ხალხს; იგი გვაძლევს იმ მოკლე მონახაზს, რომელშიც მონაცემის ჩაწერა ხდება, იქ არსებული შრიფტის წაკითხვა ნაწილობრივ ხდება მარჯვნიდან

მარცხნივ და ნაწილობრივ მარცხნიდან მარჯვნივ. მესამე დანამატი შეცავს ზოგადი და სპეციალური მასალების დანიშნულების ნუსხას ISBD-(NBM)-ში მოცემული სხვადასხვა კატეგორიის მასალებისათვის მოცემული განსაზღვრებებით. მეოთხე დანამატი იძლევა რეკომენდებულ შემოკლებებს ინგლისურენოვანი ჩანაწერებისათვის. ბოლო დანამატში მოცემულია მაგალითები, რომელიც ფორმულირებულია იმისათვის, რომ შესთავაზოს ISBD გამოყენების შედეგების ილუსტრაცია, რომლიც თავსდება ჩანაწერების ნებისმიერ სფეროში.

როდესაც IFLA-ს 1981 წლის შეხვედრაზე ლაიფციგში მიიღეს გადაწყვეტილება ხმოვანი ჩანაწერების განსხვავებულ ISBD-ზე, ამან ბიძგი მისცა იმ აზრს, რომ ISBD-(NBM) გადასინჯვას (როგორც ზემოთ მოხსენებული ოთხი ISBD ტექსტის ნაწილის გადასინჯვა) უნდა გაეფართოებინა განსაკუთრებით ხმოვანი ჩანაწერების სფეროს გასაუმჯობესებლად. ჩასწორებულმა ISBD-(NBM) ზედმიწევნით შეასრულა თავისი მოვალეობა. შეიძლება ითქვას, რომ ISBD-(CM), ISBD-(PM), ISBD-(S)-მა ISBD-(NBM)-თან ერთად მოიცვა ყველა მიმდინარე ბიბლიოთეკის არაწიგნადი მასალების ყველა კატეგორია ერთის, კომპიუტერული ფაილების გარდა. ამჟამად ISBD კომპიუტერული ფაილებისათვის ჩამოყალიბების პროცესშია.

ISBD-(NBM) ახალი გამოცემა დამტკიცებულია IFLA-ს საკატალოგო სექციის მიერ.

ვაშინგტონი, D.C. და ითაკა, N.Y.

1987 წლის თებერვალი

ლუსია ჯ. რაზესი ISBD-ის სარეცენზიო კომიტეტის თავმჯდმარე

ლენორე ქორალი ISBD-(NBM) სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

## წინასწარი შენიშვნები

### სფერო, მიზანი, გამოყენება

არაწიგნადი მასალების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტი, რომელსაც შემდგომში ISBD-(NBM)-ს ვუწოდებთ, აზუსტებს არაწიგნადი მასალების აღწერილობასა და იდენტიფიკაციას, აწესებს აღწერის ელემენტების თანმიმდევრობას, ზუსტად განსაზღვრავს აღწერისათვის საჭირო პუნქტუაციას სისტემას. მათი დებულებები, პირველ რიგში, დაკავშირებულია ეროვნული საბიბლიოთეკო სააგენტოების მიერ გაკეთებული ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებთან (ეროვნული ბიბლიოთეკების გამოცემები, სხვა ბეჭდვითი გამოცემები და მანქანურ-საკითხავ მონაცემებთან გაიგივებული ფაილები) და მეორე რიგში, სხვა საკატალოგური სააგენტოების მიერ წარმოებულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებთან, იქნება ეს მანქანურ საკითხავი ან ბეჭდვითი ფორმით (იმ შემთხვევაში, თუ ბიბლიოგრაფიული მონაცემი მოთავსებულია მანქანურ-წამკითხველ მოწყობილობაში, ISBD-ს შეთანხმებების თანახმად მიაკუთვნებს მას უფრო თვალთ საკითხავ საშუალებას, ისეთებს როგორცაა, დისკლეი, ან ბეჭდვითი გამოცემები, ვიდრე მონაცემთა სტრუქტურას, რომელიც თვითონ გამოიყენება მანქანურ-წაკითხვად საშუალებაში.)

მონოგრაფიული არაწიგნადი გამოცემისათვის უნდა გაირკვეს მასალათა სფერო (გარდა ისეთებისა რომლებიც წარმოადგენენ სხვა ISBD-ს სუბიექტებს), რომელთაც ძირითადი მიზანია იდეების, ინფორმაციის ან ესთეტიკური შინაარსის გაცვლა. განსაზღვრება უნდა გამოხატავდეს გამოცემის გამრავლებული ასლების ძირითადი ნაწილის არსს; ამიტომაც იგი უნდა გამორიცხავდეს ხელოვნების ნაწარმოებთა დედნებს, აღმოჩენილი ობიექტების ეგზემპლარებს, გარდა ისეთი ობიექტებისა, რომლებიც გამზადებულია კომერციული მიზნებისათვის. (მაგრამ ამ ნუსხაში უნდა შევიდეს შეზღუდული რაოდენობით დაბეჭდილი მხატვართა ბეჭდური გამოცემები). წიგნების გარეკანი წარმოადგენს სხვა გამოცემის მაგალითს, რომელსაც არ ესაჭიროება მკაფიო დამუშავება, თუნდაც შეგროვებულ იქნან ბიბლიოთეკების მიერ. მისი საზღვრები არაა მითითებული, მაგრამ მკაფიოდ არის შემოფარგლული ზღვარი, რომლის შიგნითაც, სხადასვა შემთხვევაში, სხვადასხვა მიზნებისათვის ISBD-ს სფეროს გარეთ მდებარე ობიექტები შეიძლება აიწეროს მათი ტერმინების საშუალებით. კომპიუტერულ ფაილების მახასიათებლების სწრაფი ცვლილებების გამო, პირობები მასალათა აღწერილობის შესახებ ამოღებულ იქნა ISBD-(NBM)-დან. ამ სახის მასალათა აღწერისათვის შეიქმნა ცალკე ISBD-(CF).

ISBD-(NBM) არის ერთი ერთი შემდგომი გამოქვეყნებული ISBD: სხვები მოიცავენ: სერიალების (ISBD(S))-ს, მონოგრაფიულ პუბლიკაციებს (ISBD(M))-ს, კარტოგრაფიულ მასალებს (ISBD(CM))-ს, 1801წლამდე გამოცემული მონოგრაფიების (ISBD(A))-ს და ნაბეჭდი სახით გამოცემულ მუსიკალურ ნაწარმოებების (ISBD (PM))-ს. ყოველი ISBD-ს განკუთვნილია მოიცვას კოჰერენტული პროდუქციის საკუთარი ტიპის პუბლიკაციები, მაგრამ ყოფილა რაიმე განსხვავებული ISBD-ს შექმნის მცდელობა. მომხმარებელს, ზოგჯერ უნდა მიემართად რამდენიმე ISBD-სთვის, როდესაც, მაგალითად, გამოცემაში მოტანილია მახასიათებლები, რომელიც აღწერილია სხვა ISBD-ში, ისეთი როგორცაა სერიალის სახით გამოცემული არაწიგნადი გამოცემა, ან ხმოვანი ჩანაწერი თანმხლები

მონოგრაფიით. ყველა ISBD-ს დაფუძნებულია ზოგად (ISBD-(G)-ზე (იხ. 0.3 შედარებითი სქემა).

თუ აღსაწერი გამოცემა წარმოადგენს სპეციალურ ჩანაწერს მხედველობა-დაქვეითებულთათვის, რომელიც ახმოვანებს ნაბეჭდ ტექსტს(ე.წ. “მოსაუბრე წიგნები”), ამგვარი სუროგატი შეიძლება აღწერილ იქნას ალტერნატიულად, დედნის ნაბეჭდ ტექსტზე ყურადღების გამახვილებით.

ISBD(NBM), პირველ რიგში, განკუთვნილია ბიბლიოთეკების, ეროვნულ საბიბლიოთეკო სააგენტოების და რესურსების ცენტრებისათვის არსებულ საჭიროებებთან. ამიტომაც იგი მოითხოვს ისეთი ISBD-ს შემუშავებას რომელიც გამოყენებული იქნება მასალათა მოძველებული კატეგორიებისა, აგრეთვე უპასუხებს ხმის ჩაწერის, კინოფირისა სხვა, გაუმჯობესებულ მასალების მოთხოვნილებებს.

ამასთანავე, ვინაიდან, ISBD-(NBM)-ში აღწერილი მასალათა უმეტესი ნაწილი ენერგოდამოკიდებული ტექნოლოგიის პროდუქტებია, ISBD-ს სპეციფიკური პირობები (განსაკუთრებით მე-5(ფიზიკური ობიექტს აღწერა) სფეროში) უნდა ჩასწორდეს ახალი მასალების ფორმათა შესაბამისად.

## **მიზანი**

ISBD-ს უმთავრესი მიზანია, შექმნას პირობები მსოფლიოში ერთობლივი საკატალოგო აღწერილობისათვის, რათა დაეხმაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ურთიერთგაცვლას ეროვნული ბიბლიოთეკების სააგენტოებს, საერთაშორისო ბიბლიოთეკებს და საინფორმაციო საზოგადოებებს შორის. ISBD-ს მიზანია: ბიბლიოგრაფიული აღწერის ელემენტების ზუსტი განსაზღვრით და წესრიგის დადგენით, რომლითაც ეს ელემენტები იქნებიან წარდგენილი, პუნქტუაციით, რომლის საშუალებითაც ისინი იქნებიან გამოიჯნული: ა) გახადოს სხვასხვა წყაროებიდან ჩაწერელი მასალები ურთიერთთავსებადი არის ერთმნიშვნელოვანი, ისე, რომ ჩანაწერები, ანუ ერთ ქვეყანაში გაკეთებული ჩანაწერი ადვილად ჩაიწეროს სხვა საბიბლიოთეკო კატალოგებში ან ნებისმიერ ქვეყანის ბიბლიოგრაფიულ სიებში სხვა: ბ დაეხმაროს ჩანაწერების ახსნაგანმარტების დართვით ენობრივი ბარიერების გადალახვაში, ისე რომ, ჩანაწერები, რომლებიც წარმოებულია მომხმარებლისათვის განსხვავებულ ენაზე, გაგებულ იქნას მომხმარებლის ენაზე; გ) დაეხმაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების გადაყვანაში მანქანურ-საკითხავ ფორმაში.

## **გამოყენება**

ISBD-ს უზრუნველყოფს პირობებს, რათა მაქსიმალურად მოიცვას აღსაწერი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სხვადასხვა საბიბლიოთეკო საქმიანობისათვის, რის გამოც ორი ან მეტი ამგვარი საქმიანობისათვის საჭირო ელემენტს შეიცავს. რომლებიც არის აუცილებელი ერთი ან მეტი ამა თუ იმ მოღვაწეობათაგან და არასაჭიროა ყველასათვის. ყოველი ქვეყნის ეროვნული საბიბლიოთეკო სააგენტოებისათვის რეკომენდირებულია, რომ ყოველ ქვეყანაში გამოცემის გარკვეული ჩანაწერის შექმნაში პასუხისმგებელმა პირმა მოამზადოს გარკვეული აღწერილობა, რომელიც შეიცავს ყველა მომიჯნავე ISBD-ს აუცილებელ ელემენტს, იმისდა მიხედვით თუ რამდენადაა ინფორმაცია მისადაგებული აღწერილ გამოცემისთან. გარკვეული ელემენტები შეიძლება განხილულ იქნას როგორც არასავალდებულო და ინფორმაცია ამ ელემენტებზე შეიძლება შევიდეს ან გამოტოვებული იყოს სააგენტოს შეხედულებისამებრ.



სხვა საკატალოგო ორგანიზაციებს უფრო ფართო არჩევანის საშუალება აქვთ, რადგანაც ისინი არ აწარმოებენ ჩანაწერებს საერთაშორისო ურთიერთგაცვლისათვის. მათ შეუძლიათ აირჩიონ შესაბამისი ISBD-ს სავალდებულო და არასავალდებულო ელემენტები თავიანთ საკუთარ ჩანაწერებში ჩასართავად, იმ პირობით, რომ შერჩეული ელემენტები მოცემულია დაწესებული თანამიმდევრობით და ჩაწერილია შესაბამისი ISBD-ს პუნქტუაციის წესის მიხედვით.

ISBD აღწერა წარმოადგენს სრულ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ნაწილს და ჩვეულებრივ არ გამოყენება დამოუკიდებლად. სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სხვა ელემენტები, როგორცაა სათაური, რუბრიკა, საგნობრივი ინფორმაცია, მუდმივი სათაური, ფაილთა სქემები და კოდირებები არ შედის ISBD-ის პირობებში. წესები ამგვარი ელემენტებისათვის ჩვეულებრივ მოცემულია საკატალოგო შიფრებში.

## **02. განსაზღვრებები**

ISBD (NBM)-ს ამ გამოცემაში მოცემული განსაზღვრებები გამოიყენება განსაკუთრებული აზრით, ან კიდევ ზოგადი გამოყენების რაიმე გარკვეული აზრით. ტერმინები, რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული აზრით, ასევე მოცემულია განსაზღვრებებში. ტერმინები მასალათა კატეგორიებისათვის მოცემულია დანართ გ-ში.

### **თანმხლები მასალა**

ნებისმიერი მასალა, რომელიც თან ახლავს აღსაწერი პუბლიკაციის ძირითად ნაწილს და განკუთვნილია მასთან ერთობლივი გამოყენებისათვის.

მონაცემები თანმხლები მასალის შესახებ  
თანმხლები მასალის მოკლე აღწერა

### **ალტერნატიული სათაური**

ორი ნაწილისაგან შემდგარი ძირითადი სათაურის მეორე ნაწილი. (თითოეულ მათგანს აქვს სათაურის ფორმა), რომელიც დაკავშირებულია სიტყვით “ან”, ან მისი ექვივალენტით სხვა ენაზე.

### **სფერო**

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ძირითადი ნაწილი, რომელიც შეიცავს გარკვეული კატეგორიის ან რიგი კატეგორიების მონაცემებს.

### **სათაურის წინამდებარე მონაცემები (ავან-ტიტრი)**

სხვა ინფორმაცია ძირითადი სათაურის შესახებ, რომელიც მოთავსებულია ძირითადი სათაურის ზემოთ და გვხვდება პუბლიკაციის სატიტყულე გვერდზე ან მის შემცვლელზე.

### **ბიბლიოგრაფიული აღწერილობა**

ბიბლიოგრაფიული მონაცემების ერთობლიობა პუბლიკაციის აღრიცხვისა და იდენტიფიკაციისათვის.

## **კინემოდი**

კადრის ორივე მხარის მიმართ პერპენდიკულარულად განლაგებული მიკროფილმის ან დიაფილმის ფირი.

კომიკმოდი - კადრის ორივე მხარის მიმართ პარალელურად განლაგებული მიკროფილმის ან დიაფილმის ფირი.

## **სათავსი**

გამოცემის, გამოცემათა ჯგაფის, გამოცემის ნაწილის შესანახი, რომელიც ფიზიკურად განცალკევებულია შესანახ მასალასთან ( სათავსს წარმოადგენს გრამფირფიტის ჩასადები, ალბომი ან დისკების ჩასადები; კასეტა ან ბაზინა არ წარმოადგენს სათავსს ).

## **საერთო სათაური**

სათაურის ის ნაწილი, რომელიც, მისი ცალკეული ნაწილების სათაურებისა დამატებით თან ახლავს ურთიერთდაკავშირებულ პუბლიკაციების ჯგუფს. საერთო სათაური მიუთითებს ამ ურთიერთკავშირზე და ცალკეული ნაწილის სათაურთან ერთად ახდენს მოცემული პუბლიკაციის იდენტიფიცირებას. საერთო სათაური შეიძლება ასევე საერთო იყოს ძირითადი პუბლიკაციისათვის და მისი დამატებებისათვის, ასევე მისი ძირითადი სერიებისა და ქვესერიებისათვის, როდესაც დამატებებსაც და ქვესერიებსაც გააჩნიათ დამოუკიდებელი სათაური.

## **გარეკანის სათაური**

პუბლიკაციის (ორიგინალის) გარეკანზე დაბეჭდილი სათაური.

## **დამოკიდებული სათაური**

სათაური, რომელიც არასრულყოფილია პუბლიკაციის იდენტიფიკაციისათვის და თავად საჭიროებს საერთო სათაურის ან ძირითადი პუბლიკაციის სათაურის ან ძირითადი სერიების სათაურის დამატებას. მის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ნაკვეთების სათაურები, ზოგიერთი დამატებითი სათაურები და ქვესერიების სათაურები.

## **გამოცემა**

პუბლიკაციის ყველა ეგზემპლარი, რომელიც წარმოებულია არსებითად ერთი და იმავე ორიგინალიდან და გამოშვებულია ერთი და იმავე გამომცემლის მიერ. იმ შემთხვევაში, როცა ეს პირობები შესრულებულია, გამოცემის გამავრცელებლის შეცვლამ არ უნდა გამოიწვიოს გამოცემის ცვლილება. ხმოვანი ჩანაწერისათვის გამოცემას წარმოადგენს ერთი ხმოვანი ჩანაწერიდან, რაიმე მეთოდით, გაკეთებული ყველა ასლი. იხილეთ ასევე ფაქსიმილარული გადაბეჭვდა.

## **მონაცემები გამოცემის შესახებ**

სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომლებიც მიუთითებენ, რომ პუბლიკაცია მიეკუთვნება რომელიმე გამოცემას.

## **ელემენტი**

სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის განსხვავებულ ერთეულს და შეადგენენ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროს ნაწილს.

ხმის ფიქსაცია—პროცესი რომელიც შეიცავს თავის თავში ხმის რეგისტრაციის განსაზღვრასა და ვერსიის შექმნას. იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე მონაცემისაგან.

## **მასალების ზოგადი აღნიშვნელი**

ტერმინი, რომელიც ფართო მცნებით აღნიშნავს მასალის იმ კლასს, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული პუბლიკაცია.

## **ISBN (წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი)**

ათნიშნა რიცხვი, რომელიც შეიცავს საკონტროლო ციფრს და რომელსაც წინ უძღვის ანბანური თავსართი. ISBN ახდენს კონკრეტული გამომცემლის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის, როგორც გამოცემის, იდენტიფიცირებას და უნიკალურია მოცემული გამოცემისათვის. ის მიეკუთვნება გამოცემას ISBN-ის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც ემყარება ISO-ს სტანდარტს 2108-1978(E).

## **ISSN (სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი)**

რვანიშნა რიცხვი, რომელიც შეიცავს საკონტროლო ციფრს და რომელსაც წინ უძღვის ანბანური თავსართი. ISSN-ი საკვანძო სათაურთან ერთად ცალსახად ახდენს სერიალური გამოცემის სათაურის იდენტიფიცირებას (იხ. ISDS სახელმძღვ. ნაწ. I). მისი მინიჭება ხდება სერიალური გამოცემების მონაცემთა საერთაშორისო სისტემის (ISDS) თანახმად და დაფუძნებულია ISO-ს სტანდარტზე- ISO 3297-1986.

## **გამოცემა**

სხვადასხვა ფორმით შექმნილი ნაწარმოების ან ნაწარმოები ჯგუფების ფიზიკური გამოსახულება, რომელიც ერთი არსითაა აღქმული და აქედან გამომდინარე ყალიბდება როგორც ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ცალკე სუბიექტი.

## **საკვანძო სათაური**

უნიკალური სახელწოდება, რომელიც ენიჭება სერიალურ გამოცემას, სერიალური გამოცემების მონაცემთა საერთაშორისო სისტემის (ISDS) მიერ და განუყოფლადაა დაკავშირებული თავის სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტულ ნომერთან (ISSN).

## **სავაჭრო ნიშანი**

სატვიფრო ნიშანი, რომელიც ასოცირდება მთელ საგამომცემლო ან საწარმოო კომპანიასთან ან მის მიერ გამოშვებულ პროდუქციასთან

## **ძირითადი სერიალი**

დანომრილი სერიალი, რომელიც შეიცავს ერთ ან ერთზე მეტ ქვესერიალს.

### **მრავალდონიანი აღწერილობა**

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის მეთოდი, რომელიც ემყარება აღწერილობაში მოცემული ინფორმაციის დაყოფას ორ ან მეტ დონედ და რომლის პირველი დონე შეიცავს საერთო ინფორმაციას მთლიან ან ძირითად პუბლიკაციაზე, ხოლო მეორე და მომდევნო დონეები, ცალკეულ ტომთან ან სხვა ერთეულთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

### **მრავალტომიანი პუბლიკაცია**

მონოგრაფიული მასალა, რომელიც შედგება ორი ან მეტი რაოდენობის განსხვავებული ნაწილებისაგან, რომლის არცერთ ნაწილს არ შეიძლება მიენიჭოს ძირითადი მნიშვნელობა.

### **ნუმერაცია**

თითოეული სერიალური გამოცემის თანამიმდევრული გამოშვების იდენტიფიცირება. აღწერა შეიძლება შეიცავდეს ნომერს, ასოს, სხვა ნებისმიერ სიმბოლოს ან მათ კომბინაციას და შესაბამის აღნიშვნებს (ტომი, ნომერაცია და ა.შ.) და/ან თარიღს.

### **სხვა სასათაურო ინფორმაცია**

სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომელიც გვხვდება პუბლიკაციის ძირითად სათაურთან ერთად და ექვემდებარება მას. სხვა სასათაურო ინფორმაცია ასევე გვხვდება სხვა სათაურებთან (მაგ. პარალელური სათაურები, ცალკეულ ნაწარმოებთან სათაურები, პუბლიკაციათა სათაურები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სერიალებისა და ქვესერიალების შესახებ) ერთად და ექვემდებარება მათ სხვა სასათაურო ინფორმაცია განსაზღვრავს, ხსნის ან ავსებს სათაურს, რომელსაც იგი მიეკუთვნება, ან მიუთითებს იმ გამოცემული პუბლიკაციის ხასიათზე, შინაარსზე და ა.შ., რომელსაც ის შეიცავს ან იმაზე თუ რასთან დაკავშირებითაა გამოცემული იგი. ეს ცნობა შეიცავს ქვესათაურებს და ავან-ტიტრებს, მაგრამ არ შეიცავს სხვადასხვა სათაურებს (მაგ. ყდის სათური), რომელიც არ მოიპოვება სატიტულე ფურცელზე ან მის შემცველზე.

### **მონაცემი პარალელური გამოცემის შესახებ**

მონაცემი გამოცემის შესახებ სხვა ენაზე და/ან სხვა დამწერლობაში.

### **პარალელური სათაური**

ძირითადი სათაური (ან ცალკეულ ნაწარმოებთან სათური, რომელსაც შეიცავს პუბლიკაცია, კოლექტიური ძირითადი სათურის გარეშე), სხვა ენაზე და/ან დამწერლობაში; ან კიდევ სათაურს სხვა ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი სათაურის ექვივალენტად. პარალელური სათაურები ძირითად სათაურთან ერთად გვხვდება სერიალისა და ქვესერიალის შესახებ მონაცემებში.

### **აუდიოჩანაწერის (“P”) თარიღი**

თარიღის შემდეგ დასმული ქოპირაიტის სიმბოლო “P” ზოგადად ცნობილია, როგორც “ფონოგრამული თარიღი”. მას გაჩნია სხვადასხვა მნიშვნელობა, სხვადასხვა საავტორო უფლებების დაცვის კონვენციებსა და კანონებში, მაგრამ ზოგადად მიუთითებს ხმოვანი ჩანაწერის პირველ თარიღზე.

### **დაწესებული პუნქტუაცია**

ბიბლიოგრაფიული სააგენტოების მიერ დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც წინ უძღვის ან გამოყოფს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ყოველი შემადგენელი ელემენტის (გარდა პირველი სფეროს პირველი ელემენტისა) ან სფეროს ინფორმაციას.

### **დაწესებული ინფორმაციის წყარო**

წყარო ან წყაროები, რომლის მიხედვითაც ხდება ბიბლიოგრაფიული აღწერილობის თითოეული ინფორმაციის ელემენტის ჩაწერა.

### **რეჟისორი (კინოფილმის)**

“რეჟისორად მოხსენებული პირი არის ის, ვინც ყოველმხრივ პასუხისმგებელია კინოფილმის შექმნაზე. სხვადასხვა ზომის პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ცალკეული პროდუქციის სხვადასხვა ასპექტთან, შექმნასთან, ტექნიკურ და ფინანსურ ასპექტებთან”.

### **რეჟისორი (ხმოვანი ჩანაწერის)**

პირი, რომელსაც ტექნიკური პასუხისმგებლობა აკისრია ხმოვანი ჩანაწერის განხორციელებაზე. რეჟისორს შეიძლება სხვადასხვა სიდიდის პასუხისმგებლობა ჰქონდეს დაკისრებული ხმოვანი ჩანაწერის შექმნასა და სხვა ასპექტებზე.

### **მწარმოებელი კომპანია (კინოფილმის)**

კომპანია, რომელსაც ყოველგვარი ფინანსური, ტექნიკური და ორგანიზაციული პასუხისმგებლობა აკისრია კინოფილმის შექმნაზე.

### **მწარმოებელი კომპანია (ხმის ჩამწერი)**

- ა) კომპანია, რომელიც პასუხისმგებელია ხმის ჩაწერის პროცესზე;
- ბ) კომპანია, რომელიც პასუხისმგებელია ხმის ჩანაწერის პროდუქციის მასობრივ წარმოებაზე.

### **განხორციელება**

შემსრულებლის მიერ ნაწარმოების დადგმაში, ინსცენირებაში ან მის შექმნაში სხვა სახით შეტანილი წვლილი

### **ხელახალი გამოცემა (კინოფილმი)**

ორიგინალის ასლის დისტრიბუტორისაგან განსხვავებული სხვა დისტრიბუტორის მიერ ბოლოს გამოცემული ნაწარმოები. ორიგინალის მიერ ბოლო გამოცემულს ეწოდება “ხელახალი გამოცემა”.

### **სერიალი**

ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეულ გამოცემათა ჯგუფი, რომლებსაც, დამატებით, თავიანთი საკუთარი ძირითადი სათაურისა, გააჩნია საერთო სათაური, რომელიც უკავშირდება ჯგუფს, როგორც ერთ მთლიანს. სერიის ძირითადი სათაური ცალკეული პუბლიკაციები შეიძლება არ იყოს დანომრილი.

### **ცნობები სერიალის შესახებ**

სერიალის იდენტიფიკაციის ძირითადი ელემენტები სერიალში შემავალი ცალკეული პუბლიკაციების ნუმერაციით, რომლებიც შეიცავენ ცნობებს იმის შესახებ, რომ პუბლიკაცია შეადგენს მრავლტომიან გამოცემის ნაწილს (იხ. ასევე ცნობები ქვესერიის შესახებ).

### **სპეციფიკური მასალის აღნიშვნელი**

ტერმინი მიუთითებს მასალის სპეციფიკურ კლასზე, რომელსაც განეკუთვნება პუბლიკაცია.

### **მონაცემები პასუხისმგებლობის შესახებ**

ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის(პირების) ან კოლექტივის(კოლექტივების) იდენტიფიკაციასთან და/ან მის ფუნქციასთან დაკავშირებული სახელები, ფრაზები ან სიმბოლოების ჯგუფები. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება დაკავშირებული იყოს სათაურებთან (მაგ, ძირითად სათაურებთან, პარალელურ სათაურებთან, პუბლიკაციაში შემავალ ცალკეულ სათაურებთან, სათაურებთან, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სერიალებისა და ქვესერიალების შესახებ), ან ცნობებთან გამოცემის შესახებ.

### **ქვესერიალი**

სერიალი, რომელიც წარმოადგენს დანომრილი სერიის (ძირითადი სერიის) ნაწილს. ქვესერიალს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ძირითად სერიალზე დამოკიდებული სათაური (იხ. აგრეთვე საერთო სათაური, დამოკიდებული სათაური).

### **ქვესერიალის აღნიშვნა**

სიტყვა, ასო, ან ჯგუფი, ან მათი ერთობლიობა, რომლებიც მოსდევს ძირითადი სერიალის სათაურს და შეიძლება ჩაიწეროს დამოუკიდებლად ან ქვესერიალის სათაურებთან ერთად.

### **ცნობები ქვესერიალების შესახებ**

ქვესერიალის იდენტიფიცირების ძირითადი ელემენტები, რომლებიც შეიცავენ ცალკეული პუბლიკაციების ნუმერაციას ქვესერიალების ფარგლებში. თუ ქვესერიალების სათაური დამოკიდებულია ძირითადი სერიალის სათაურზე, მაშინ ცნობები ქვესერიალის შესახებ შეიცავს, როგორც ძირითადი სერიალის სათაურს, ასევე ქვესერიალის სათაურს და შეიძლება შეიცავდეს ქვესერიალის აღნიშვნას (იხ. აგრეთვე ცნობები სერიალის შესახებ).

### **სათაური**

პუბლიკაციაში მითითებული სიტყვა, ფრაზა ან სიმბოლოების ჯგუფი, რომლითაც დასახელებულია პუბლიკაციები, ან მასში შემავალი ნაწარმოებები, (ან ნებისმიერი ნაწარმოები ცალკეულ ნაწარმოებთა ჯგუფებიდან). პუბლიკაციები ჩვეულებრივ შეიცავენ რამოდენიმე სათაურს (მაგ., სატიტულე ფურცელზე, გარეკანზე ან ყუაზე), ეს სათაურები შეიძლება იყოს იდენტური ან განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

### **ზოგადი სათაური**

გამოცემის მთავარი სათაური, რომელიც გამოტანილია ინფორმაციის აღწერის წყაროში, პასუხისმგებლობის სფეროში სათაურისა და მონაცემის აღსანიშნავად. ზოგადი

სათაური შეიცავს ზოგიერთ ალტერნატიულ სათაურსაც, მაგრამ არ შეიცავს პარალელურ სათაურებს და სხვა სასათაურო ინფორმაციას. გამოცემა, რომელიც შეიცავს რამდენიმე ცალკეულ ნაწარმოებს, ზოგადი სათური წარმოადგენს მის კოლექტიურ სათაურს. გამოცემა, რომელიც შეიცავს რამდენიმე ცალკეულ ნაწარმოებს და არ შეიცავს კოლექტიურ სათაურს, არ განიხილება, როგორც ზოგადი სათაურის მქონე გამოცემა. სერიებს და ქვესერიებს გააჩნია თავისი საკუთარი ზოგადი სათაური. გარკვეული ზოგადი სათაური იქმნება რამდენიმე სათაურისაგან და ეწოდება საერთო სათაური და დაქვემდებარებული სათაური.

### 0.3 ISBD (G) შედარებითი სქემები

0.3.1 ISBD (G) სქემა იხ. მე-10 -ე გვერდზე

0.3.1 ISBD (G) სქემა იხ. მე- გვერდზე

0.3.2 ISBD (G) სქემა

#### 0.3.1 ISBD (G)-ს სქემა

სფერო	ელემენტების წინამდებარე (ან გამმიჯვნელი) დაწესებული პუნქტუაცია	ელემენტი
-------	--	----------

შენიშვნა: თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . - ).

1. სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო

- 1.1 ძირითადი სათაური
- [] 1.2 მასალის ზოგადი აღნიშვნა
- = 1.3 პარალელური სათაური
- : 1.4 სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ
- 1.5 მონაცემები პასუხისმგებლობის

2. გამოცემის სფერო

შესახებ

შესახებ  
 / პირველი მონაცემი  
 ; მომდევნო მონაცემი  
 = 2.1 მონაცემები გამოცემის შესახებ  
 2.2 პარალელური მონაცემები გამოცემის  
 2.3 გამოცემასთან დაკავშირე-  
 ბული მონაცემები  
 პასუხისმგებლობის  
 შესახებ  
 / პირველი ცნობა  
 : მომდევნო ცნობა  
 2.4 დამატებითი მონაცემები  
 გამოცემის შესახებ  
 2.5 მონაცემები  
 პასუხისმგებლობის  
 შესახებ, რომელიც მოსდევს  
 დამატებით მონაცემებს  
 გამოცემის შესახებ  
 / პირველი მონაცემები  
 ; მომდევნო მონაცემები

3. მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის )  
მახასიათებელი სფერო

4. გამოქვეყნების, გავრცელებისა და  
ა.შ. სფერო

4.1 გამოქვეყნების,  
გავრცელების და ა.შ.  
ადგილი  
პირველი ადგილი  
; მომდევნო ადგილი  
: 4.2 გამომცემელი,  
გამავრცელე-  
ბელი და ა.შ.  
[ ] 4.3 მონაცემები  
გამავრცებლის  
ფუნქციის  
შესახებ  
, 4.4 გამოქვეყნების,  
გავრცელების  
და ა.შ. თარიღი  
( 4.5 წარმოების ადგილი  
: 4.6 მეწარმე  
) 4.7 წარმოების თარიღი



5. ფიზიკური ობიექტის აღწერილობის სფერო

5.1 სპეციფიკური მასალის აღმნიშვნელი და მისი მოცულობა

- : 5.2 სხვა ფიზიკური დეტალები
- ; 5.3 აღწერის ერთეულის (მასალის) ზომები
- + 5.4 მონაცემები თანმხლები მასალის შესახებ

0.2 ISBD(G)-ის სქემა

სფერო

ელემენტების წინამდებარე ელემენტი (ან გამმიჯვანელი) დაწესებული პუნქტუაცია

შენიშვნა: თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . - ).

1. სათაურისა და პასუხისმგებლობის ცნობების სფერო

- 1.1 ძირითადი სათაური
- [] 1.2 მასალის ზოგადი აღმნიშვნელი
- = 1.3 პარალელური სათაური
- : 1.4 სხვა სასათაურო ინფორმაცია
- 1.5 მონაცემები პასუხისმგებლობის შესახებ
- / პირველი მონაცემი
- ; მომდევნო მონაცემი

2. გამოცემის სფერო

- 2.1 მონაცემები გამოცემის შესახებ
- = 2.2 პარალელური მონაცემები გამოცემის შესახებ
- 2.3 გამოცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მონაცემები
- / პირველი მონაცემი
- : მომდევნო მონაცემი
- ‘ 2.4 დამატებითი მონაცემი გამოცემის შესახებ
- 2.5 ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოსდევს დამატებით ცნობებს გამოცემის შესახებ
- / პირველი მონაცემი
- ; მომდევნო მონაცემი

4. მასალის (ან პუბლიკაციის სახეობის) დამახასიათებელი სფერო

4. გამოქვეყნების, გავრცელებისა და ა.შ. სფერო

- 4.1 გამოცემის, გავრცელების და ა.შ. ადგილი
- პირველი ადგილი
- ; შემდგომი ადგილი
- : 4.2 გამომცემელი, გამავრცელებელი და ა.შ.
- [] 4.3 ცნობა გამავრცებლის ფუნქციის შესახებ

- , 4.4 გამოქვეყნების, გავრცელების და ა.შ. თარიღი
- ( 4.5 წარმოების ადგილი
- : 4.6 მეწარმე
- ) 4.7 წარმოების თარიღი

5. ფიზიკური აღწერილობის სფერო

- 5.1 სპეციფიკური მასალის აღმნიშვნელი და მისი მოცულობა
- : 5.2 სხვა ფიზიკური დეტალები
- ; 5.3 აღწერის ერთეულის (მასალის) ზომები
- + 5.4 ცნობები თანმხლები მასალის შესახებ

1. სათაური და პასუხისმგებლობის

მონაცემთა სფერო 1. 1. ზოგადი სათაური

$$\begin{aligned}
 & 1..2. \text{ მასალების ზოგადი აღმნიშვნელი (შერჩევით)} \\
 = & *1.3. \text{ პარალელური სათაური} \\
 & : *1.4. \text{ სხვადასხვა} \\
 & / \text{ სასათაური ინფორმაცია/ პირველი მონაცემები} \\
 & ; \text{ მომდევნო მონაცემები} \\
 & 2.1.
 \end{aligned}$$

2. საგამომცემლო სფერო = \*2.2. პარალელური საგამომცემლო მონაცემები (შერჩევითი)

2.3. გამომცემლობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მონაცემები

$$\begin{aligned}
 & / \text{ პირველი მონაცემი} \\
 & ; \text{ მომდევნო მონაცემები}
 \end{aligned}$$

, დამატებითი საგამომცემლო მონაცემები

2.5. დამატებითი საგამომცემლო მონაცემების მომდევნო პასუხისმგებლობის მონაცემები.

$$\begin{aligned}
 & \text{პირველი მონაცემები} \\
 & / \text{ მომდევნო მონაცემები}
 \end{aligned}$$

4. პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ. სფერო 4.1. პუბლიკაციისა და /ან გავრცელების ადგილი პირველი ადგილი ; მომდევნო ადგილი.

: 4.2. გამოცემისა და/ან გამავრცელებლის სახელი

[] \*4.3. გამავრცელებლის ფუნქციის მონაცემები ( შერჩევითი )

4.4. პუბლიკაციისა და /ან გავრცელების თარიღი.

( \* 4.5. წარმოების ადგილი (შერჩევითი)

: \* 4.6. წარმოების დასახელება (შერჩევითი)

,) 4.7. წარმოების თარიღი (შერჩევითი)

5. ფიზიკური ობიექტის აღწერილობის სიდიდის

5.1. მასალებისა და სპეციფიკაციისა და

სფერო

აღმნიშვნელი

:

5.2. ფიზიკური ობიექტის სხვა დეტალები

;

5.3. რაოდენობრივი მონაცემები

+

\*5.4. თანმხლები მასალების მონაცემები (შერჩევითი)

6. სერიალის სფერო

6.1. სერიალებსა და ქვესერიალების ზოგადი სათაური.

=

6.2 სერიალისა და ქვესერიალების ზოგადი სათაური.

:

6.3. სერიალების სხვა სასათაური ინფორმაცია.

6.4. სერიალებთან და ქვესერიალებთან

დაკავშირებული პასუხისმგებლობის მონაცემები.

/ პირველი მონაცემები

; მომდევნო მონაცემები

, 6.5. სერიალების საერთაშორისო

სტანდარტი.

სერიალებისა და ქვესერიალების ნომრები

; 6.6. ნუმერაცია სერიალებისა და ქვესერიალების შიგნით.

#### 7. შენიშვნების სფერო

8. სტანდარტული ნომერი ( ან ალტერნატიული ) და ხელმისაწვდომობის მონაცემთა სფერო.

8. 1. სტანდარტული ნომერი ( ალტერნატიული )

8. ხელმისაწვდომობის მონაცემები და/ან ფასების ( არასავალდებულო ) .

ზოგადი შენიშვნები ISBD(NBM) სქემის შესახებ.

ა. შერჩევითი ელემენტები ჩაიწერება მითითებების მიხედვით ( იხ. 0.1.3.)

ბ. ელემენტს, რომელსაც წინ უძღვის ვარსკვლავი საჭიროების შემთხვევაში მეორდება.

ე. მე-6 სფერო ( სერიალების ) მე-7-ე(შენიშვნებისა) და მე-8-ე (სტანდარტული ნომრისა და ა.შ. ) სფეროები შეიძლება გამეორდეს საჭიროების შემთხვევაში. გარდა ამისა გარკვეულ ვითარებაში შეიძლება განმეორდეს მე-5-ე ( ფიზიკური ობიექტის აღწერილობის ) სფერო (იხ. მე-5-ე სფერო, წინასწარი შენიშვნების სფერო).

დ. ზემოთმოყვანილ სქემაში ტერმინები “ პირველი მონაცემები...” მომდევნო მონაცემები.... “ და მასთ. აღნიშნავენ იმ თანმიმდევრობას, რომელშიც ეს მონაცემები უნდა ჩაიწეროს აღწერილობაში და არ გააჩნიათ სხვა რაიმე დამატებითი მნიშვნელობა.

ე. არანაირი დებულებები არ შეიძლება დაემატოს ISBD(NBM) -ში. ISBD(G) მე-3-ე სფეროს ანუ მასალების ( ან პუბლიკაციის ტიპის ) სპეციპიკაციის სფეროს , აგრეთვე ISBD(G) ( საკვანძო სათაურის ) 8.2. ელემენტს. ISBD(G) 8.4. ელემენტის სტანდარტული ნორმის ან ალტერნატიული ნორმის ან ხელმისაწვდომობის და / ან ფასების მონაცემების დამაზუსტებელი დებულებები უმჯობესია ჩაემატოს 8.1. და 8.3. ელემენტებში შესაბამისად, ვიდრე გამოიყოს ცალკე ელემენტად.

ვ. ყოველთვის, როცა ინფორმაცია, ჩვეულებრივ , ასოცირდება გამოცემის ერთი სფეროს ელემენტთან ან გამოცემაში მოტანილი ელემენტის სხვა სფეროსთან ან ელემენტთან, რომლის განუყოფელ ნაწილსაც ის წარმოადგენს, მაშინ, იგი ჩაიწერება იმგვარადვე.

### 0.4 პუნქტუაცია

0.4 აღწერილობის თითოეულ ელემენტს, გარდა პირველი სფეროს პირველი ელემენტისა, წინ უძღვის ან წინ და ბოლოში ახლავს პუნქტუაციის დაწესებული ნიშნები. (გამონაკლისები იხ. 0.4.3-ში). დაწესებულ პუნქტუაციას თავში და ბოლოში წინ უძღვის ინტერვალები (ერთი ბიჯი ან ინტერვალი საბეჭდო მანქანაზე, რომელიც შეესაბამება ერთ ასოს ტიპოგრაფიული ბეჭდვის დროს), გარდა მძიმისა (,) და წერტილისა (.), რომელსაც მხოლოდ ინტერვალი მოსდევს. პუნქტუაციის სხვა ნიშნების

შემოღება ისევე, როგორც ამ ნიშნების წინ და უკან ინტერვალების დასმა შეიძლება დააწესოს ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ ან საკატალოგიზაციო ორგანიზაციამ . ISBD-ს პუნქტუაცია შენარჩუნებულია მაშინაც, როცა ამას მივყავართ ორმაგ პუნქტუაციამდე (გამონაკლისი იხ. 0. 4. 7). მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობის პუნქტუაციისათვის იხ. 0. 4. 11.

4.2 მრგვალი ფრჩხილები ( ( ) ) და კვადრატული ფრჩხილები ( [ ] ) (იხ. 0.4.8) თითოეული განიხილება, როგორც პუნქტუაციის ერთი სიმბოლო და წინამდებარე ინტერვალი თავსდება პირველი მრგვალი ფრჩხილის ან კვადრატული ფრჩხილის წინ, ხოლო მომდევნო ინტერვალი თავსდება მეორე (დამაბოლოებელი) მრგვალი ან კვადრატული ფრჩხილის შემდეგ (გამონაკლისი იხ. 0.10). თუ მრგვალ ან კვადრატულ ფრჩხილებს წინ უძღვის ან მოსდევს დაწესებული პუნქტუაცია, რომელიც მთავრდება ან იწყება ინტერვალით, მაშინ რჩება მხოლოდ ერთი ინტერვალი.

0.4.3 ISBD(G)-ს თითოეულ სფეროს, გარდა პირველისა, წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . - ), თუ ეს სფერო პოლიგრაფიულად მკაფიოდ არ არის გამოყოფილი წინამდებარე სფეროსაგან აბზაციით ან შეწევით. ამ შემთხვევაში წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი შეიძლება გამოვტოვოთ ან შევცვალოთ წერტილით ( . ), რომელიც დაისმება წინამდებარე სფეროს ბოლოში.

0.4.4 თუ აღწერილობაში მოცემული არ არის სფეროს პირველი ელემენტი, პირველი არსებული ელემენტის წინამდებარე პუნქტუაცია იცვლება შემდეგნაირად: წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . - ), რომელიც წინ უძღვის სფეროს.

0.4.5 თუ სფერო მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის წერტილი. ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . - ), გარდა (?) პირობისა, რომელიც აღწერილია 0.4.3 –ში, მე-6 სფეროს ბ დებულებისა და მრავალსერიული მონაცემების ბ-გ პუნქტუაციის ნიმუშებში.

0.4.6 თუ ელემენტი მეორდება, თითოეულ გამეორებას წინ უძღვის ამ ელემენტისათვის დაწესებული შესაბამისი პუნქტუაცია.

0.4.7 თუ ელემენტი მთავრდება წერტილით, ხოლო მომდევნო ელემენტისათვის დაწესებული პუნქტუაცია იწყება წერტილით, რჩება მხოლოდ ერთი წერტილი.

მაგ. -მე-3-ე გამ.–

და არა -მე-3-ე გამ.. –

და შემდეგ ... – მე-4-ე გამ.

მაგრამ არა .... –მე- 4-ე გამ.

0.4.8 პუნქტუაციის სამი სიმბოლო შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ან უმრავლეს სფეროში.

ა. კვადრატული ფრჩხილები ( [ ] ) პუნქტუაციის დაწესებული ნიშანია, რომელიც გამოიყენება გარკვეული ელემენტების განსაცალკევებლად 1-ლ (იხ.1.2) და მე-4 სფეროებში (იხ. 4.3) და მე-5 სფეროს ელემენტში (იხ. 5.1). კვადრატული ფრჩხილები აგრეთვე გამოიყენება იმ ინფორმაციის გამოსაყოფად, რომელიც არ არის აღებული ინფორმაციის დაწესებული წყაროებიდან (იხ. 0.5) და, გარდა ამისა, ინტერპოლაციების აღწერილობისათვის (იხ.0.6, 0.7.2, 0.10, 0.11).

თუ ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში თანამიმდევრულად განლაგებული ელემენტები მიღებულია არა დაწესებული ინფორმაციის წყაროდან, მაშინ ისინი თავსდებათ ერთ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში, გარდა მასალის ზოგადი აღნიშვნისა, რომელიც ყოველთვის თავსდება თავის საკუთარ წყვილ კვადრატულ ფრჩხილებში. როდესაც თანამიმდევრულად განლაგებული ელემენტები სხვადასხვა სფეროებშია, თითოეული ელემენტი თავსდება კვადრატული ფრჩხილების ცალკეულ

წყვილში.

ბ. გამოტოვების ნიშნები ანუ სამი წერტილი (...) აღნიშნავს ელემენტის რაიმე ნაწილის გამოტოვებას (იხ. 0.7.1, 0.7.2).

ერთი პუნქტუაციის სიმბოლო, პლუსი(+), რომელსაც წინ უძღვის და მოსდევს ინტერვალი დაწესებულია მე-5-ე სფეროში(იხ. 5.4)

გ. მრგვალი ფრჩხილები ( ( ) ) წარმოადგენს დაწესებულ პუნქტუაციას, რომელიც გამოიყენება თითოეული სერიის ცნობების განსაცალკევებლად მე-6 სფეროში, მე-4 სფეროში გარკვეული ელემენტების გამოსაყოფად და მე-5 და მე-8 სფეროების განსაზღვრულ ელემენტებში ინფორმაციის მოსათავსებლად.

0.4.9 თუ სფეროში ან ელემენტში ერთი და იგივე ინფორმაციაა მოცემული ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, გამოიყენება შემდეგი დებულებები:

თუ ერთი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, პირველი ენის შემდგომ ინფორმაციას თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში წინ უნდა უძღოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).

თუ ერთ სფეროში ორი ან მეტი ელემენტი ჩაწერილია ორ ან მეტ ენაზე და/ან დამწერლობაში, მაშინ ეს ელემენტები თითოეულ ენაზე და/ან დამწერლობაში მოცემულია შესაბამის წინამდებარე პუნქტუაციასთან ერთად თითოეული ელემენტისათვის. პირველ ენაზე და/ან დამწერლობაში ჩაწერილ ელემენტების მთელ ჯგუფს წინ უძღვის პირველი ელემენტისათვის შესაბამისი პუნქტუაცია და თითოეულ ჯგუფს პირველის შემდეგ წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=).

0.4.10 ნებისმიერი სფერო ან ელემენტი, რომელიც არ მიესადაგება მოცემულ აღსაწერ ერთეულს, არ ჩაირთვება მის აღწერილობაში. ასევე უნდა იყოს გამოტოვებული ასეთი სფეროს ან ელემენტის წინ მდებარე ან გამმიჯვნელი დაწესებული პუნქტუაცია.

0.4.11 თუ ინფორმაცია მოცემულია მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული დამწერლობით, მაშინ დაწესებული პუნქტუაცია, როგორცაა მძიმე და წერტილ-მძიმე, გამოიყენება საპირისპირო მიმართულებით, თუ ეს შეესაბამება დამწერლობის სტილს. ზუსტად ასევე, თუ დაწესებული პუნქტუაციის, წერტილის, ინტერვალის, ტირეს და ინტერვალის კომბინაცია იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ, მაშინ მრგვალი გამხსნელი და დამხურავი მრგვალი და კვადრატული ფრჩხილების მნიშვნელობები საპირისპიროა. დახრილი ხაზის ნიშანი და არაბული ციფრების ჯგუფები, რომლებიც არ იცვლიან მიმართულებას ამგვარ დამწერლობაში ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში შებრუნებული მიმართულებით არ იწერება.

იხილეთ დანართი ბ, სადაც მოცემულია ინფორმაციის დამუშავების წესი ჩაწერილი, როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ასევე მარჯვნიდან მარცხნივ გამოყენების შემთხვევაში.

## 0.5 ინფორმაციის წყაროები

აღწერის ერთეულისათვის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას უპირატესობა ენიჭება თვით ამ ერთეულში მოცემულ ინფორმაციას. ინფორმაციის უმჯობესი წყაროების და ინფორმაციის დაწესებული წყაროების დეტალები მასალის თითოეული ტიპისათვის მოცემულია სპეციალიზირებულ ISBD-ებში.

### 0.5.1 უპირატესობა წყაროების განლაგებისას

მრავალი არაწიგნადი მასალებისათვის ადექვატური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ჩამოყალიბება პრობლემატურია სატიტელე ფურცლის ან ინფორმაციის ცალკე წყაროს უქონლობის გამო. მაგრამ გამოცემის აღსაწერად საჭიროა ძირეულად განსხვავებული ინფორმაციის წყაროებიდან, როგორცა თვით გამოცემა (სადაც მონაცემები შეიძლება მოცემული იქნას ან ვიზუალური ან აუდიო ფორმით ცალცალკე ან ერთად) მისი ეტიკეტის მისი სათავსი ან მისი თანმხლები ტექსტუალური მასალებიდან (როგორცაა დამხმარე სახელმძღვანელო) საჭირო მონაცემების შეგროვება. წყაროების განლაგებისას უპირატესობის მისანიჭებლად გათვალისწინებული იქნას შემდეგი პრინციპი:

ა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს წყაროებს რომლებიც მტკიცედ ასოცირდება გამოცემასთან და არა იმ წყაროებს, რომლებსაც შემთხვევითი კავშირი გააჩნიათ მასთან, ასე მაგალითად, კინოფილმის კადრების დასათაურებას, ფირფიტის ორივე მხარეს მოთავსებულ ეტიკეტს ( ? ) ან სტერეოგრაფიულ ბაზინის ცენტრალურ სფეროს, ჩვეულებრივ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს გამოცემის სათავსთა ან თანმხლებ ტექსტუალურ მასალასთან შედარებით.

ბ. მაგრამ უპირატესობა უნდა მიენიჭოს წყაროს, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს ნაწარმოებს:

ა) თუ წყაროს, რომელსაც უპირატესობა მიენიჭა ა. პრინციპის შესაბამისად შეიცავს არასრულ ინფორმაციის საკატალოგო მიზნებისათვის ( ვინაიდან აქ მოპოვებული ინფორმაცია არაზუსტი ან არასრულია );

და

ბ) თუ არცერთი ინფორმაცია არ ასოცირდება მტკიცედ გამოცემასთან იმ შემთხვევაში თუ აღწერის გვერდი გამოცემულია ხმის ჩამწერ კასეტასთან ან ერთად, მაშინ მას უპირატესობა ენიჭება კასეტის ეტიკეტთან შედარებით, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში როცა გამოცემა შეიცავს ორ ან მეტ ნაწარმოებს და როცა აღწერის გვერდი წარმოადგენს ერთ-ერთ წყაროს კოლექტიური ზოგადი სათაურისათვის. ასევე, მრავალნაწილიანი გამოცემის საერთო სათაურს უპირატესობა ენიჭება ცალკეული ნაწილების ეტიკეტთან შედარებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როცა სურათი სათავსი სათაური წარმოადგენს კოლექტიური ზოგადი სათაურის ერთადერთ წყაროს.

გ. წერილობით წყაროებს ჩვეულებრივ უპირატესობა ენიჭება ხმოვან წყაროებთან შედარებით. მაგრამ, თუ წერილობითი წყარო ნაკლები ან აშკარად მცდარია, ხოლო ხმოვანი წყარო უფრო ადექვატურია, მაშინ ამ უკანასკნელს ენიჭება უპირატესობა.

### 0.5.2 აღწერის ინფორმაციის წყარო

ტერმინი “აღწერის წყარო” გამოიყენება ..... ინფორმაციის იმ წყაროს დასახასიათებლად რომელიც მოპოვებულია ჩვეულებრივი პრინციპების შესაბამისად. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ აღწერის წყარო არ შეიძლება ყოველთვის იყოს უცვლელი: მაგალითად კინოფილმს ან ვიდეოჩანაწერს მომდევნო სათაური (მათ შორის ბოლო კადრები ან მომდევნო) შეიძლება მიეკუთვნებოდეს გამოცემების კოლექტიურ აღწერის წყაროს თუ

1,2 და 4 სფეროს ელემენტები აღებულია სხვა ინფორმაციის წყაროდან ვიდრე ეს ა. პრინციპის შედეგად ხდება ასეთი წყარო ჩაიწერება შენიშვნაში. თუ ერთი ან ერთზე მეტი ელემენტი (მაგრამ არაყველა ელემენტი) ჩაწერილი ერთ ერთ ამ სფეროში აღებულია ამგვარი წყაროდან. აღწერილობისა და ჩამატებული მონაცემები უნდა მიეთითოს შენიშვნაში. არ ჩაიწერება შენიშვნა მე-6-ე სფეროსთან დაავშირებული მონაცემები იმის შესახებ, რომ ეს მონაცემები აღებულია თვითონ გამოცემიდან, მისი სათავსიდან და ან თანმხლები ტექსტუალური მასალიდან. 1,2,4 და მე-6-ე სფეროების მონაცემები რომლებიც აღებულია არა თვით გამოცემის, მისი სათავსის ან თანმხლები ტექსტუალური მასალისაგან მოტანილი წყაროსაგან, ჩვეულებრივ, თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში. მე-5-ე, მე-7-ე და მე-8-ე სფეროს მონაცემები მოტანილი იქნას ნებისმიერი წყაროდან და ისინი არ თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში.

## 0.6 აღწერილობის ენა და დამწერლობა

1, 2, 4 და 6 სფეროების ელემენტები ჩვეულებრივ გადაიწერება აღწერის ერთეულიდან და ამიტომ, სადაც ეს მიღებულია პრაქტიკაში, ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში იმ ენაზე და/ან იმ დამწერლობაში არიან, როგორც არის მოცემული აღწერის ერთეულში. ინტერპოლაცია ამ სფეროებში ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში და იმ ენაზე და/ან დამწერლობაშია, რომელიც მოყვანილია აღწერილობის მოცემული ნაწილის კონტექსტში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

დაწესებული აბრევიატურები (იხ. 0.7) და დაწესებული ინტერპოლაციები (იხ. 0.10, 0.11);

მასალის ზოგადი აღნიშვნა (იხ. 1.2) და ცნობები გამავრცელებლის ფუნქციის შესახებ (იხ. 4.3 ), რომლებიც მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო.

ენა (ენები) და დამწერლობა (ბები) მე-3 სფეროსათვის განსაზღვრულია სპეციალიზირებულ ISBD-ებში.

ტერმინები, გამოყენებული მე-5, მე-7 და მე-8 სფეროებში არ არის მოცემული კვადრატულ ფრჩხილებში და მოცემულია იმ ენაზე და/ან დამწერლობაში, რომელსაც ირჩევს ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ციტირებული სათაურები მოცემულია მე-7 სფეროში

ციტატები მოცემულია მე-7 სფეროში

საკვამო სათაური მოცემულია მე-8 სფეროში.

აღწერის ერთეულების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოცემული იმ დამწერლობით, რომლითაც არ სარგებლობს რომელიმე ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იქნას გადაწერილი ამ ცნობების ფრჩხილებში ჩასმის გარეშე ტრანსლიტერაციის საშუალებით ან იმ დამწერლობით, რომელსაც იყენებს მოცემული სააგენტო.



## 0.7 შემოკლებები და აბრევიატურა

0.7.1 გამონაკლის შემთხვევებში აღწერილობისას დაშვებულია გარკვეული ელემენტების შემოკლება ( მაგ. გრძელი ძირითადი სათაურის დროს). ასეთ შემთხვევებში გამოტოვება აღნიშნულია გამოტოვების ნიშნით.

0.7.2 ISBD-ების სხვა და სხვა დებულებებში ძირითადი ყურადღება ექცევა “სტანდარტულ შემოკლებებს “ ( მაგ. ცნობები გამოცემის შესახებ , იხ. 2.1 ) შემოკლებების ფორმების დაზუსტების გარეშე. ეს შემოკლებები არ არის დაწესებული, მაგრამ რეკომენდირებულია ISO 832- 1575, “დოკუმენტაცია -ბიბლიოგრაფიული მითითებები -ტიპიური სიტყვების აბრევიატიურა”, ან გამოიყენება მსგავსი ეროვნული სტანდარტები.

ISBD(G) -ში გამოყენებული აბრევიატურის მაგალითები, გარდა იმ აბრევიატურისა, რომელიც დაწესებულია 0. 7. 2-ში , საილუსტრაციო ხასიათისაა და არ არის აუცილებელი .

0.7.3 გარდა სპეციალურად დაწესებულ ან დაშვებულ აბრევიატურისა და შემოკლებებისა მონაცემები 1, 2 და მე- 6 სფეროებში ჩაწერისას არ მოკლდება, თუ ეს შემოკლებები არ არის გამოყენებული წყაროში.

### კაპიტალიზაცია (დიდი ასოების გამოყენება)

როგორც წესი , პირველი სიტყვის პირველი ასო თითოეულ სფეროში უნდა იყოს დიდი . ზოგიერთი ელემენტის, როგორცაა მასალის ზოგადი აღმნიშვნელი , პარალელური სათაური, ალტერნატიული სათაური, განყოფილების (სექციის) სათაური, პირველი სიტყვის პირველი ასო უნდა იყოს აგრეთვე დიდი. სხვა შემთხვევებში დიდი ასოები გამოიყენება იმ ენის და/ან დამწერლობის შესაბამისად, რომელშიც მოცემულია აღწერილობა (იხ. 0.6).

## 0.9 მაგალითები

მოცემული მაგალითები საილუსტრაციო ხასიათისაა და არ არის სავალდებულო. ISBD-ს ინგლისურ ტექსტში გამოყენებული ტერმინები, ასევე სიტყვები ან მოკლე ფრაზები, რომლებიც დამატებულია მე-5, მე-7 და მე-8 სფეროებში, ინგლისურად არის მოცემული. ISBD(G) -ს თარგმნის დროს, ასეთი ტერმინები, სიტყვები და ფრაზები უნდა გადმოიცეს თარგმნის ენაზე.

## 0.10 ბეჭდვითი შეცდომები

სიტყვები ორთოგრაფიული შეცდომებითა ან სხვა უზუსტობებით გადაიწერება ისევე, როგორც არის მოცემული აღწერის ერთეულში. მათ შემდეგ დაისმება “Sic” ან “ ! “, რომლებიც თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში ( [Sic] ან [!] ). ან შეიძლება დაემატოს სიტყვის სწორი ჩაწერა კვადრატულ ფრჩხილებში და შესწორებას წინ უნდა უძღოდეს “i. e.“ (id est), ან მისი ექვივალენტი სხვა ენაზე და /ან დამწერლობაში. სიტყვებში ან მონაცემებში გამოტოვებული ასოები ან ციფრები შეიძლება უკანვე ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმით (ამ შემთხვევაში კვადრატული ფრჩხილების არც წინ და არც უკან არ უნდა დაისვას ინტერვალი ).

## 0.11 სიმბოლოები და ა. შ.

სიმბოლო ან სხვა ნიშანი რომელიც არ შეიძლება აისახოს ტიპოგრაფიული საშუალებებით ( ჩვეულებრივი ეს არის სიმბოლოები , რომლებიც არც ციფრებია და არც ალფაბეტის სიმბოლო) იცვლება მისი აღწერილობით ან ექვივალენტით შესაბამისი

ასოებისა და სიტყვების გამოყენებით. შემცვლელი თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში და კეთდება განმარტება საჭიროების მიხედვით.

e.g. / [E. B. C.] შენიშვნა: ავტორის ინიციალები მოცემულია გამოცემაში მუსიკალური ნოტების სახით.

[მე-3-ე] გამოცემა

შენიშვნა: გამოცემათა რაოდენობა მოცემულია აღნიშნულია სამი ვარსკვლავით.

მე [მიყვარს] პარიზი

შენიშვნა: სიტყვა “სიყვარული” ტიულზე წარმოდგენილია გულის ნიშნით.

## ელემენტების სპეციფიკაცია

### 1. სათაურისა და პასუხისმგებლობის მონაცემების სფერო.

შინაარსი

- 1.1. ზოგადი სათაური
- 1.2. მასალების ზოგადი აღნიშვნა (შერჩევითი)
- 1.3. პარალელური სათაური
- 1.4. სხვა სასათაურო მონაცემები
- 1.5. მონაცემები პასუხისმგებლობის შესახებ

პუნქტუაციის ნიმუში

ა) ზოგადი მასალის პუნქტუაცია თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში. პირველი ფრჩხილის წინ და ბოლო ფრჩხილის შემდეგ კეთდება ინტერვალი.

ბ) ყოველ პარალელური სათაურის აღმნიშვნელი ტოლობის ნიშნის წინ და ბოლოში კეთდება ინტერვალი (=)

გ) სხვა სასათაურო ინფორმაციის ნაწილი გამოისახება ორი წერტილის მეშვეობით და თავსდება ორ ინტერვალს შორის (:), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სიტყვა ან ფრაზა გამოცემაში მოყვანილია წინა ნაწილის მომდევნო ნაწილთან დასაკავშირებლად.

დ) პასუხისმგებლობის პირველი მონაცემი წინ უძღვის ყველა სახის სათაურს, გამოისახება დახრილი სახით და თავსდება ორ ინტერვალს შორის.

ე) ყოველ მომდევნო პასუხისმგებლობის მონაცემი გამოისახება ინტერვალს შორის მოთავსებული წერტილითა და მძიმით (;), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემები განხილულია, როგორც ცალკე ფრაზის ფორმა.

ვ) სხვადასხვა ავტორების, კომპოზიტორების, მსახიობების და ა.შ. ინდივიდუალური ნაწარმების სათაურები, რომლებიც შესულია გამოცემაში, გამოიყოფა წერტილითა და ინტერვალს შორის (.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამაკავშირებელი სიტყვა მოცემულია გამოცემაში.

ზ) იმ შემთხვევაში, როდესაც სათაური შედგება ზოგადი და დაქვემდებარებული სათაურისაგან, ყოველი დაქვემდებარებული სათაურის აღმნიშვნელი (იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ან თითოეულ დაქვემდებარებული სათაური მოთავსებულია ზოგადი სათაურის შემდეგ) გამოიყოფა წერტილითა და ინტერვალს შორის (.).

I. ყოველი დაქვემდებარებული სათაური, რომელიც მოთავსებულია დაქვემდებარებული სათაურის შემდეგ აღნიშნება მძიმით და ინტერვალს შორის (,).

მაგალითები

ზოგადი სათაური [ზოგადი მასალის აღმნიშვნელი] = პარალელური სათაური  
=პარალელური სათაური /პასუხისმგებლობის მონაცემები/

ზოგადი სათაური. [ზოგადი მასალის აღმნიშვნელი] : სხვა სასათაურო ინფორმაცია:  
სხვა სასათაურო ინფორმაცია / პასუხისმგებლობის მონაცემები

ზოგადი სათაური [ზოგადი მასალის აღმნიშვნელი] : სხვა სასათაურო ინფორმაცია =  
პარალელური სათაური: სხვა სასათაურო ინფორმაციის მატარებელი პარალელური  
სათაური/ პასუხისმგებლობის მონაცემები

ზოგადი სათაური [ზოგადი მასალის აღმნიშვნელი] / პასუხისმგებლობის მონაცემები =  
პარალელური სათაური: სხვა სასათაურო ინფორმაცია: სხვა სასათაურო ინფორმაციის  
პარალელური სათაური / პარალელური პასუხისმგებლობის მონაცემები

ზოგადი სათაური [ზოგადი მასალის აღმნიშვნელი] / პასუხისმგებლობის მონაცემები;  
მეორე პასუხისმგებლობის მონაცემები; მესამე პასუხისმგებლობის მონაცემები

სათაური [ზოგადი მასალის აღმნიშვნელი] / პასუხისმგებლობის მონაცემები  
სათაური / პასუხისმგებლობის მონაცემები

სათაური [ზოგადი მასალის აღმნიშვნელი] : სხვა სასათაურო ინფორმაცია: სხვა  
სასათაურო ინფორმაცია / პასუხისმგებლობის მონაცემები.

სათაური [ზოგადი მასალის აღმნიშვნელი] = პარალელური სათაური ; სათაური =  
პარალელური სათაური / პასუხისმგებლობის მონაცემები

საერთო სათაური დაქვემდებარებული სათაურის აღმნიშვნელი, დაქვემდებარებული  
სათაური [მასალების ზოგადი აღმნიშვნელი]

საერთო სათაური. დაქვემდებარებული სათაური [მასალების ზოგადი აღმნიშვნელი]

### 1.1. ზოგადი სათაური

1.1.1. ზოგადი სათაური წარმოადგენს აღწერილობის პირველ ელემენტს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას წინ უსწრებს ინფორმაციის აღწერილობის ისეთი წყაროები, როგორცაა პასუხისმგებლობის მონაცემები, გამოცემის მონაცემები, სერიალის მონაცემები, პუბლიკაციის გავრცელების შესახებ მონაცემები, ფასი ან ისეთი სხვა მონაცემები, რომლებიც არ წარმოადგენენ სასათაურო ინფორმაციას.

მაგ. Goal! [კინოფილმი]

Four watercolours of Maori life in 1844 [გრაფიკა]

La vie de William Shakespeare [აუდიოჩანაწერი]

Gedichte, Reden, Interview [აუდიოჩანაწერი]

Nicke Nyfiken far en cykel [ვიდეოპროექტორი]

Prawidkowy zakadunek wagonu towarowego [კინოფილმი]

Barokni Praha [გრაფიკა]

1.1.2. ზოგადი სათაური წარმოადგენს ყველა გამოცემის უმთავრეს სათაურს. ზოგადი სათაურს შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა ფორმა:

1.1.2.1. ზოგადი სათაური შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ტერმინებს, რომლებიც მიუთითებენ ნამუშევრის ტიპზე ან მის ინტელექტუალურ ან მხატვრულ შინაარსზე.

მაგ. Concerto  
Collected works  
ნახატები

1.1.2.2. ზოგადი სათაური შეიძლება შეიცავდეს პერსონის ან კორპორაციული გაერთიანების სახეს, როდესაც აღწერილობის წყაროს არ გააჩნია სხვა ინფორმაცია გარდა ამ სათაურისა.

მაგ. Adlai Stevenson [კინოფილმი]  
The Beatles [აუდიოჩანაწერი]  
Michigan Institute on the Teaching of Librarianship [აუდიოჩანაწერი]

1.1.2.3. ზოგადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ინიციალების ან აკრონიმების სიმრავლეს, რომელიც გამოკვეთილადაა მოთავსებული აღწერილობის ინფორმაციის წყაროში. გაშლილი ფორმა, რომელიც მოცემულია აღწერილობის წყაროში, მაგრამ არ წარმოადგენს ზოგად სათაურს (იხ. 1.1.3.) განიხილება, როგორც სხვა სასათაურო ინფორმაცია (იხ. 1.4.3.) ან როგორც პასუხისმგებლობის მონაცემები (იხ. 1.5.4.)

მაგ. IQ [კინოფილმი]

1.1.2.4. ზოგადი სათაური შეიძლება შედგებოდეს ორი ნაწილისაგან (რომლის თითოეული ნაწილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სათაური), რომელიც უკავშირდება ერთმანეთს სიტყვა “ან”-ით (ან მისი ექვივალენტით სხვა ენებში). (მეორე ნაწილი განიხილება როგორც ალტერნატიული სათაური)

მაგ., Dr. Strangelove, or, How I learned to stop worrying and love the bomb [კინოფილმი]  
Marcel Marceau, ou, L'art du mime [კინოფილმი]

1.1.2.5. ზოგადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ციფრებს ან ასოებს, რომლებიც როგორც არსებითი ინფორმაციის მატარებელი გამოყოფენ ერთ ზოგად სათაურს მეორესაგან

მაგ. Knitting I [აუდიოჩანაწერი]  
Knitting II [აუდიოჩანაწერი]

1.1.2.6. ზოგადი სათაური შეიძლება შეიცავდეს პასუხისმგებლობის მონაცემებს, გამომცემლის გვარს ანდა აღწერის სხვა ელემენტებთან დაკავშირებულ დეტალებს (მაგ. საგამომცემლო მონაცემებს), თუ ეს უკანასკნელი ლინგვისტიკურად წარმოადგენს სათაურის განუყოფელ ნაწილს

მაგ. Bernard Miles on gun dogs [კინოფილმი]  
Речи В. И. Ленина [აუდიოჩანაწერი]  
Ernest Giinther laser Balzac [აუდიოჩანაწერი]  
Jove Cerne poje slovenske narodne v priredbi Avgusta Stanka [აუდიოჩანაწერი]

Le petit theatre de Jean Renoir [კინოფილმი]  
 Braverman's condensed cream of Beatles [კინოფილმი]  
 The Esso student's business game [მულტიმედია]  
 The Sunday Times guide to the modern movement in the arts  
 [გრაფიკა]

ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ფილმებისა და ვიდეომასალების შემთხვევაში, მსახიობთა, ავტორთა, რეჟისორთა, დირექტორთა, “მონაწილეთა” და სხვათა ტიტრები, რომლებიც წინ უძღვიან ან მოსდევენ ზოგად სათაურს, არ განიხილება როგორც ზოგადი სათაურის ნაწილი, იმისდა მიუხედავად დაკავშირებულია, ეს ტიტრები სათაურთან თუ არა.

მაგ. Star wars [კინოფილმი] სარედაქციო შენიშვნა: კადრის სათაური იკითხება: Twentieth Century Fox presents Star wars Thief [კინოფილმი]  
 სარედაქციო შენიშვნა: კადრის სათაური იკითხება: Thief, with James Caan

1.1.2.7. თუ გამოცემა შეიცავს ორ ან მეტ ინდივიდუალურ ნამუშევარს და წარმოდგენილია აღწერის წყაროში როგორც კოლექტიური სათაურით, ასევე ინდივიდუალურ ნამუშევართა სათაურით, კოლექტიური სათაური გამოდის ზოგადი სათაურის როლში.

ინდივიდუალურ ნამუშევართა სათაურები შეიძლება მოცემულ იქნეს მე -7 სფეროში

მაგ. Disneyland [ვიდეოპროექტორი]  
 Contents: Tomorrow; Fantasyland; Frontierland;  
 Adventureland; Main Street, USA  
 Dansons avec le Ry-Co jazz [აუდიოჩანაწერი]  
 Contents: Bolingo habiba: cara cara (24 წთ., 45 წმ.). Liwa ya tata: bolero (3 წთ., 30 წმ.). Bina charanga: charanga (3 წთ., 10 წმ.). M'paugi ya munu: cha cha cha (3 წთ.)

1.1.2.8. ზოგადი სათაური შეიძლება შედგებოდეს საერთო სათაურისაგან და დაქვემდებარებული სათაურისაგან, როცა მონაკვეთის, დამატების, ნაწილის და ა.შ., სათაური ან კუთვნილება არასრულია საერთო სათაურის ან მთავარი გამოცემის სათაურის დამატების გარეშე.

მაგ. The Cierman pre-classics. Series A, George Philipp Telemann [აუდიოჩანაწერი]

1.1.2.9. ზოგადი სათაური შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ მონაკვეთის, დამატების, ნაწილის და ა.შ. სათაურის, თუ ეს სათაური, არ ემთხვევა გამოცემის საერთო ან მთავარ

სათაურს. საერთო სათაური მოცემულია იმ შემთხვევაში, თუ ის განეკუთვნება მე-6

სფეროს.

მაგ. Art music from the Far East [აუდიოჩანაწერი]

თუ მთავარი გამოცემის საერთო სათაური ან სათაური ლინგვისტიკულ წარმოადგენს ნაკვეთის, დამატების, ნაწილისა და ა.შ. განუყოფელ ნაწილს, მაშინ ზოგადი სათაური შედგება ორივე სათაურის შეერთებული მონაცემებისაგან.

მაგ. Supplementary material for Skewed views of civics [მულტიმედია]

1.1.2.10. არ აქვს საერთო სათაური ან საერთოდ სათაურიგამოცემას, რომელიც შეიცავს ორ ან მეტ ინდივიდუალურ ნამუშევარს მ აგრამ არ გააჩნია კოლექტიური სათაური. ამგვარი სათაურების ჩაწერისათვის იხ 1.4.2.1.

1.1.3. ზოგადი სათაურის შერჩევა

1.1.3.1. ერთი აღწერილობის წყაროს მატარებელი გამოცემა.

1.1.3.1. როდესაც აღწერილობის წყაროში მოცემულია ერთიდაიგივე ენაზე ან დამწერლობაზე ორზე მეტი სათაური ზოგადი სათაურის შერჩევა ხდება გარეკანის მიხედვით (იხ. 1.1.2.3. მაგ ) ან აღწერის წყაროში მოცემული რიგითი სათაურების მიხედვით.

როდესაც სათაურები სხვადასხვა ენაზე და ან სხვადასხვა დამწერლობაზეა მოცემული(მაგ. პარალელური სათაურები, იხ, 1.3.), მაშინ ზოგადი სათაურის შერჩევა ხდება იმ ენაზე ან დამწერლობაზე, რომელზედაც დაწერილია ეს გამოცემა. თუ ეს კრიტერიუმები არ მიესადაგება, მაშინ ზოგადი სათაურის შერჩევა ხდება გარეკანის ან იმ სათაურების მიხედვით, რომელიც ჩამოთვლილია აღწერილობის წყაროში.

1.1.3.2. ერთზე მეტი აღწერილობის წყაროს მქონე გამოცემა

როდესაც გამოცემა შეიცავს ერთზე მეტ აღწერილობის წყაროს, როგორც ეს მრავალენოვან ან მრავალდამწერლობითი გამოცემების შემთხვევაში გვხვდება, რომელიც წარმოდგენილია ცალკალკე ინფორმაციით სათაურში თითოეულ ენაზე ან დამწერლობაზე , ზოგადი სათაურის შერჩევა ხდება აღწერილობის ინფორმაციის იმ წყაროს მიხედვით , რომელ ენაზეც და ან დამწერლობაზეც დაწერილია ეს გამოცემა.

როდესაც ამგვარი კრიტერიუმის შერჩევა შეუძლებელია (მაგ. გამოცემს არ გააჩნია ენა, ან მისი შინაარსი გადმოცემულია ორ ან მეტ ენაზე ან დამწერლობაზე), მაშინ ზოგად სათაურად გამოიყენება აღწერილობის წყაროს პირველი ორი სათაური ან, იმ შემთხვევაში, თუ გამოცემას გააჩნია ნაბეჭდი წიგნის დამახასიათებელი ნიშნები ( მაგ. მიკრორეპროდუქცია), მაშინ მარჯვნივ მოთავსებული სატიტულე გვერდის სათაური.

1.1.3.3. სხვა და სხვა ( არა პარალელური იხ.1.3.) სათაურები, რომლებიც არ გამოიყენება ზოგად სათაურად, აღიქმება როგორც სხვა სასათაურე ინფორმაცია, როდესაც ის ჩნდება აღწერილობის წყაროებში. სხვადასხვა სათაურები რომლებიც მეორდება გამოცემაში მოცემულია მეშვიდე სფეროში.

მაგ. Symphony no. 3: Eroica [აუდიოჩანაწერი]  
Barbara [აუდიოჩანაწერი]

შენიშვნა: გრამფირფიტის ჩასადების ტიტული: Barbara, l'aigle noir

#### 1.1.4. ჩაწერა

1.1.4.1. ზოგადი სათაურის აღწერის წყაროდან გადაიწერება ისევე, როგორც ეს ფორმულირების შემთხვევაშია მოცემული, მაგრამ არა აუცილებლად კაპიტალიზაციისა და პუნქტუაციის დებულებების მიხედვით (იხ. აგრეთვე 0.4, 0.6, 0.7). გამონაკლისის შემთხვევაში, ძალიან გრძელი ზოგადი სათაური შეიძლება შემოკლდეს შუაში ან ბოლოში, თუ ეს შესაძლებელია სათაურის აზრობრივად შეცვლის გარეშე, ძირითადი ინფორმაციის დაკარგვის და გრამატიკული შეცდომების გარეშე. გამოტოვებები აღინიშნება გამოტოვების ნიშნებით.

#### 1.1.4.2. გამოცემები ზოგადი სათაურის გარეშე

1.1.4.2.1. თუ გამოცემა შეიცავს ორ ან მეტ გამოცემას ზოგადი სათაურის გარეშე (იხ. 1.1.2.10) ინდივიდუალური ნაწარმოებების ჩაწერა ხდება იმ თანმიმდევრობით, რომელიც მოცემულია გარეკანში ან აღწერილობის წყაროში მოცემული სათაურების შემდეგ.

მაგ. Infancy [ვიდეოჩანაწერი]; Childhood / Thornton Wilder

თუ ინდივიდუალური ნაწარმოებების რაოდენობა მეტისმეტად დიდია, მიეთითება პირველი სამი სათაური, რომელთაც თან ახლავს გამოტოვების ნიშნები. სრული შინაარსი შეიძლება მიეთითოს მე-7-ე არეალში.

მაგ. Dixit Dominus [აუდიოჩანაწერი] : RV594; Stabat mater: RV621; Gloria in D major : RV588 ... / Antonio Vivaldi

1.1.4.2.2. თუ გამოცემას გააჩნია გაფორმებული ტექსტი და არ აქვს ზოგადი სათაური (პლაკატი, აფიშა და სხვა) ტექსტი გადაიწერება ან სრული ან შემოკლევითი ფორმით. გამოტოვებული სრული ფრაზები და წინადადებები არ მიეთითება, ფრაზებისა და სიტყვების შემოკლებები აღინიშნება გამოტოვების ნიშნებით. მონაცემების თანმიმდევრობა ჩანაწერებში განისაზღვრება გამოცემაში არსებული მონაცემთა ნიშნებზე არსებული მითითებებით, მათი გარეკანით და გამოცემების მაკეტით. ტექსტის შინაარსის მნიშვნელოვანი ნაწილები, ისეთები როგორცაა, პროდუქციის ან ორგანიზაციის სახელწოდებები, მოვლენების სახელები, ადგილები, და თარიღები, უცვლელი რჩება. ამ და სხვა სახის შინაარსობრივი ინფორმაცია, შეიძლება ჩაიწეროს მე-7-ე სფეროში. პუნქტუაციური საკითხი განეკუთვნება ბიბლიოგრაფიულ სააგენტოების სფეროს, გარდა სიმბოლოებისა, ინტერპრეტაციებისა ან კომბინაციებისა, რომლებსაც გააჩნიათ სპეციალური დანიშნულება და რომლის ფარგლებში ISBD-ს ძირითადი პრინციპების დარღვევას უნდა ვერიდოთ.

მაგ. e.. Emprunt national 1920 – Souscrivez – Banqued de Parise et des Pays-Bas [გრაფიკა]

Tales of wonder, no. 3 – The horror in the telescope, by Edmond Hamilton [გრაფიკა]

შენიშვნა: ტექსტი გადმოწერილია ჟურნალიდან გადმობეჭდილი რეპროდუქციიდან



'Comment trouvez-vous ce petit vin-la ...' [გრაფიკა]

შენიშვნა: C'aption სათაური შემოკლებულია

1.1.4.2.3. თუ გამოცემას არ გააჩნია კოლექტიური სათაური ( არა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცემები შეიცავს ორ ან მეტ ნაშრომს ზოგადი სათაურის გარეშე იხ. 1.1.4..2.2.), შესაბამისი მონაცემები თავსდება თავთავიანთ კვადრატულ ფრჩილებში გამოცემაში გამოყენებულ ენაზე ან დამწერლობაზე ან, შერჩევით, შესაბამისი ბიბლიოგრაფიული სააგენტოს ენასა ან დამწერლობაზე (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ გამოცემას არ გააჩნია ენა).

მაგ. [Moon buggy] [Object]  
[Phantom jet fighter landing at R.A.F. Leuchars, July 1971]  
[კინოფილმი]

1.2 მასალების ზოგადი აღმნიშვნელის (შერჩევით)

1.2.1. მასალების ზოგადი აღმნიშვნელის მიზანია ზოგად ტერმინებსა და აღწერის დასაწყისში მიუთითოს მასალის ის სახეობა რომელსაც ეს გამოცემა მიეკუთვნება. მასალის ზოგადი აღმნიშვნელი თავსდება ზოგადი სათაურის შემდეგ. იგი მოცემულია იმ ენაზე, რომლის ენასა და დამწერლობასაც მიეკუთვნება ბიბლიოგრაფიული სააგენტო.

1.2.2. მასალების ზოგადი აღმნიშვნელის ჩართვა სათაურში განსაკუთრებით საჭიროა არა წიგნადი გამოცემებისთვის, რომელიც შეტანილია შეერთებულ ან ბიბლიოგრაფიულ კატალოგებში. ინგლისურენოვანი განსაზღვრებების ნუსხა მოცემულია გ-დამატებაში.

1.2.3. თუ გამოცემა შაიცავს პირველად კომპონენტებს, რომელსაც თან ახლავს არა იმავე ზოგადი მასალის კომპონენტები (მაგ. დიაფილმი აღწერილობის ფურცელით, ხმის ჩამწერი დისკი ბროურით ან კედლის დიაგრამით) მასალების ზოგადი აღმნიშვნელი აღწერს მხოლოდ პირველ კომპონენტს.

მაგალითად, Examining documents [ვიდეოპროექტორი]

შენიშვნა: სლაიდები ხმის, სასწავლო მასალების, workbooks, სატესტო პასუხებით

1.2.4. თუ გამოცემა შეიცავს კომპონენტებს რომელიც მიეკუთვნება ორ ან მეტ ზოგადი მასალების კატეგორიას, რომლიდანაც არცერთს არ შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა ( მაგ. სასწავლო მასალების კოლექცია, რომელიც შეიცავს ხმოვან ჩანაწერს, დიაფილმსა და კედლის თვალსაჩინოებას) მასალების ზოგადი აღმნიშვნელი მულტიმედია ან კომპლექტი (ან მისი ექვივალენტი) გამოიყენება შესაბამისად (იხ. განსაზღვრება გ-დამატებაში ).

1.2.5. გამოცემა ზოგადი სათაურის გარეშე

1.2.5.1. თუ გამოცემა შეიცავს ორ ან მეტ ნაწარმოებს ზოგადი სათაურის გარეშე (იხ. 1.1.2.10 ) მასალების ზოგადი აღმნიშვნელი იწერება პირველი სათაურის შემდეგ.

მაგ. La mer [აუდიოჩანაწერი]; Khamma; Rhapsody for clarinet and

orchestra / Claude Debussy

A Shopshire lad [აუდიოჩანაწერი]; The banks of green willow;  
Two English idylls / George Butterworth. Variations on a theme  
of Frank Bridge, op. 10 1 Benjamin Britten; Academy of St. Martin-in-the-Fields; directed by  
Neville Marriner

1.2.5.2. თუ გამოცემას არ გააჩნია ზოგადი სათაურების ერთობლიობა, რომელიც შეიცავს ორ ურთიერთდამოუკიდებელ კომპონენტს და მიეკუთვნება სხვადასხვა სახის მასალას, მასალების ზოგადი აღმნიშვნელი იწერება ყოველი სათაურის შემდეგ მაგ. Life in the time of Charles Dickens [ვიდეოპროექტორი] / editor, Albert Ammerman. The time, the life, the works of Charles Dickens, and excerpts from Dickens on America [Sound recording] / read by Ian Brett and Peter Howell

### 1.3 პარალელური სათაური

1.3.1. თუ აღწერის წყაროში სათაური მოცემულია ერთზე მეტ ენასა ან/თუ დამწერლობაზე, სათაურები, რომლებიც არ არის მიჩნეული ზოგად სათაურად (იხ. 1.1.3.9 უნდა აღიწეროს როგორც პარალელური სათაური.

მაგ. Herfra til evigheden [კინოფილმი] = From here to eternity

1.3.2. პარალელურმა სათაურმა ზოგადი სათაურს მსგავსად შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმები ( იხ. 1.1.2.)

1.3.3. ზოგადი სათაურებისაგან განსხვავებულ ენაზე მოცემული ძირითადი სათაური, რომელიც მოცემულია აღწერილობის ინფორმაციის წყაროში და რომელიც ლინგვისტურად დაკავშირებული არ არის აღწერის სხვა ელემენტებთან (მაგ. ალტერნატიულ სათაურების შემთხვევაში იხ. 1.1.); სხვა სასათაურე ინფორმაციის შემთხვევაში. იხ 1.4., პასუხისმგებლობის მონაცემთა ნაწილის შემთხვევაში, იხ. 1.5. ან საგამომცემლო მონაცემების ნაწილის შემთხვევაში, იხ. მე-2 სფერო ) მუშავდება პარალელური სათაურის მსგავსად.

ძირითადი სათაურის შემთხვევები, როცა იგი ემთხვევა ზოგადი სათაურის ენას იხ 1.1.3. პუნქტი.

### 1.3.4. ჩაწერა

1.3.4.1. პარალელური სათაური, რომელიც მოთავსებულია აღწერილობის ინფორმაციის წყაროში იწერება ზუსტად ფორმულირების მიხედვით, მაგრამ პუნქტუაციისა და კაპიტალიზაციის დაცვის გარეშე. განსაკუთრებულ შემთხვევაში პარალელური სათაური შეიძლება შემოკლდეს. შემოკლება უნდა აღინიშნოს შემოკლების ნიშნით.

მაგ. French colonies in America [ვიდეოპროექტორი] = Colonies francaises d'Amerique

1.3.4.2 თუ აღწერილობის წყაროში მოთავსებულია ერთზე მეტი პარალელური სათაური მათი ჩაწერა უნდა მოხდეს იმ თანმიმდევრობით, რომელიც მითითებულია

გარეკანზე, ან მონაცემთა იმ თანმიმდევრობის მიხედვით, რომელიც მოცემულია აღწერის წყაროში.

მაგ. Quattro concerti per l'organo ed altri stromenti [აუდიოჩანაწერი]  
= Vier Orgelkonzerte = Four organ concertos = Quatre concertos pour orgue

#### 1.3.4.3 გამოცემა ზოგადი სათაურის გარეშე

თუ გამოცემა შეიცავს ორ ან მეტ ნაწარმოებს ზოგადი სათაურის გარეშე ( იხ. 1.1.2.10. ) და როდესაც თითოეულს ან რამდენიმე ინდივიდუალური ნაწარმოებს გააჩნია პარალელური სათაური ან სათაურები, პარალელური სათაურ ეძლევა იმ სათაურების მიხედვით, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

მაგ. The enticing products of France [ვიდეოპროექტორი] = Les produits séduisants de la France. Grape harvesting in Languedoc = La vendange en Languedoc

1.3.4.4 თუ პარალელური სათაური მოთავსებულია გამოცემაში, მაგრამ არ ჩანს აღწერილობის წყაროში, მაშინ იგი შეიძლება მოთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებში ან ჩაიწეროს მე-7-ე სფეროში.

### 1.4 სხვა სასათაურო ინფორმაცია

1.4.1 სხვა სასათაურო ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს ზოგად სათაურთან, პარალელური სათაურთან ან გამოცემაში მოთავსებულ ინდივიდუალურ ნაწარმოებთან სათაურებთან კავშირში ან სუბორდინაციაში.

1.4.2 სხვა სასათაურო ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს პასუხისმგებელთა, პუბლიკაციასთან ან გავრცელებასთან დაკავშირებულ მონაცემებს ან აღსაწერ ელემენტებთან (მაგ. საგამომცემლო მონაცემებს) დაკავშირებულ დეტალებს, როდესაც ეს მონაცემები ლინგვისტურად სხვა სასათაურო ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

1.4.3 ზოგადი სათაურის გაფართოებული ფორმა, რომელიც შეიცავს ინიციალებისა და აკრონიმების ( ) სიმრავლეს, მუშავდება როგორც სხვა სასათაურო ინფორმაციის მსგავსად, თუ გაფართოებული ფორმა წარმოდგენილია აღწერილობის წყაროში.

#### 1.4.4 ჩაწერა

1.4.4.1 სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემები იწერება იმ სათაურების მიხედვით, რომელსაც იგი მიეკუთვნება (იხ. აგრეთვე 1.4.4.6)

1.4.4.2 სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემები იწერება ზუსტად ფორმულირების მიხედვით, მაგრამ კაპიტალიზაციისა და პუნქტუაციის დაცვის გარეშე. განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა სასათაურო ინფორმაცია შეიძლება შემოკლდეს. შემოკლებები უნდა აღინიშნოს შემოკლებების ნიშნებით.

1.4.4.3 ზოგადი სათაურის წინ აღწერილობის ინფორმაციის წყაროში მოთავსებული სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემები (მაგ. ავან-ტიტრი) ჩაიწერება ზოგადი სათაურის შესაბამისად, თუ ეს შესაძლებელია ლინგვისტურად ან სხვაგვარად. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ავან-ტიტრი იწერება მე-7 სფეროში.

მაგ. Women's track and field [ვიდეოპროექტორი]

შენიშვნა: სათაურის დასაწყისისდან: აქვეა წარმოდგენილი ფერადი სლაიდები...

1.4.4.4 თუ აღწერილობის ინფორმაციის წყაროში მოცემულია ერთზე მეტი მონაცემი, რომელიც შედგება სხვა სასათაურო ინფორმაციებიდან, ეს მონაცემები ჩაიწერება გარეკანზე მოცემული თანამიმდევრობით, ან აღწერილობის წყაროს შესაბამისი მონაცემების მიხედვით.

მაგ. Animal stories [აუდიოჩანაწერი]: dramatized readings: a recorded anthology

The Hammons family [აუდიოჩანაწერი]: a study of a West Virginia family's traditions: from the Archive of Folk Song

1.4.4.5 გამოცემა ზოგადი სათაურის გარეშე

1.4.4.5.1 თუ გამოცემას არა აქვს ზოგადი სათაური (იხ. 1.1.2.10), მაგრამ წარმოდგენილია სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ერთი ან მეტი ინდივიდუალური ნაშრომის სათაურებთან, მაშინ ეს მონაცემები განლაგდება იმ სათაურების მიხედვით, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან.

მაგ. Leonardo da Vinci [ვიდეოპროექტორი]: a pictorial biography; The Medici: power and patronage in Renaissance Florence

1.4.4.5.2 აღწერილობის ინფორმაციის წყაროში მოყვანილი მონაცემები, რომელიც წარმოადგენს სხვა სათაური ინფორმაციის შემადგენელ ნაწილს და რომელიც დაკავშირებულია ერთი და იგივე ავტორის ერთზე მეტ ნაშრომთან, ჩაიწერება იმ ნაშრომების სათაურების შესაბამისად, რომელსაც იგი მიეკუთვნება, თუ ეს შესაძლებელია. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, თუ ერთი ავტორის ნამუშევრები არ ჯდება თანამიმდევრობაში, მონაცემები ჩაიწერება მე-7 სფეროში.

1.4.4.5.3 აღწერილობის ინფორმაციის წყაროში მოყვანილი მონაცემები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა სათაურების შემადგენელ ნაწილს და რომლებიც დაკავშირებულია გამოცემაში მოთავსებულ სხვა ნამუშევრებთან, თუნდაც ისინი სხვა ავტორებს მიეკუთვნებოდეს, ჩაიწერება მე-7 სფეროში.

1.4.4.5.4 როდესაც კავშირი სხვა სასათაურო ინფორმაციის შემადგენელ ნაწილთან მონაცემებსა და ინდივიდუალურ ნაშრომების სათაურებს შორის არ არის გამოკვეთილი, კვადრატულ ფრჩხილებში, დამატებით, უნდა ჩაიწეროს განმარტებითი სიტყვები. სხვა შემთხვევაში სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემები უნდა ჩაიწეროს მე-7 სფეროში.

1.4.4.6 პარალელური სათაური და ინფორმაცია სხვა პარალელური სათაურების შესახებ.

1.4.4.6.1 თუ აღწერილობის ინფორმაციის წყარო, ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობაზე ერთი ან ერთზე მეტი პარალელური სათაურის და სხვა სასათაურო ინფორმაციის მატარებელია, სხვა სასათაურო ინფორმაციის თითოეული მონაცემი მოსდევს სათაურს, რომელსაც იგი ლინგვისტურად უკავშირდება.

მაგ. Apocalypse de Jean [აუდიოჩანაწერი]: lecture = Apocalyps

[sic] of John: a reading

1.4.4.6.2 თუ აღწერილობის ინფორმაციის წყარო ერთი ან ერთზე მეტ პარალელური სათაურების მატარებელია, მაგრამ სათაურის სხვა ინფორმაციის მონაცემები მხოლოდ ერთ ენაზე/ან დამწერლობაზეა ჩაწერილი, მაშინ სათაურის სხვა ინფორმაცია იწერება ბოლო პარალელური სათაურის შემდეგ.

1.4.4.6.3 თუ პარალელური სათაური თავის თავში ზოგადი სათაურის ენაზე ჩაწერილ ზოგადი სათაურის და სათაურის სხვა ინფორმაციის შინაარსს შეიცავს, სხვა სასათაურო ინფორმაცია ჩაიწერება ზოგადი სათაურის შემდეგ და პარალელური სათაურის წინ.

მაგ. Blockflötenmusik der Renaissance [აუდიოჩანაწერი]: Italien

= Recorder music = Musique pour flûte à bec

1.4.4.6.4 თუ პარალელური სათაური არ მოიპოვება, მაგრამ სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემები მოცემულია აღწერილობის წყაროში ერთზე მეტ ენასა და/ან დამწერლობაზე, საჭიროა მონაცემების ჩაწერა იმ ენაზე, რომელზედაც ზოგადი სათაურია ჩაწერილი. თუ ეს კრიტერიუმი არ მიესადაგება, მაშინ უნდა ჩაიწეროს აღწერილობის ინფორმაციის წყაროს პირველი მონაცემი. ასევე უნდა ჩაიწეროს სხვა მონაცემებიც, რომელსაც წინ წაუძღვება ინტერვალი, ტოლობის ნიშანი და ინტერვალი.

მაგ. Astirix [გრაფიკა]: calendar = calendrier = Kalender = calendario

1.4.4.7 როდესაც ზოგადი სათაური შედგება საერთო და ქვემდებარე სათაურებისაგან, სხვა სასათაურო ინფორმაციის ინდივიდუალური მონაცემები ჩაიწერება იმ სათაურის შემდეგ, რომელსაც იგი მიეკუთვნება. გაურკვევლობის შემთხვევაში, სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემები ჩაიწერა ზოგადი სათაურის, როგორც მთლიანის, შემდეგ.

მაგ. Jigsaw puzzles [ვიდეოპროექტორი]: a visual survey. Children's art: a decade of examples

1.4.4.8 სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემები, რომლებიც მოცემულია გამოცემაში, მაგრამ არ არის მოცემული აღწერილობის ინფორმაციის წყაროში, შეიძლება ჩაიწეროს ზოგადი სათაურის ან პარალელური სათაურის შემდეგ, რომელსაც იგი მიეკუთვნება. იგი თავსდებაკვადრატულ ფრჩხილებში, თუ ეს აუცილებელია მისი გამოცემასთან იდენტიფიკაციისათვის ან აღწერილობის დასაზუსტებლად. ჩვეულებრივ, ამგვარი მონაცემები იწერება მე-7 სფეროში.

1.5 პასუხისმგებლობის მონაცემები

1.5.1 პასუხისმგებლობის მონაცემებში იწერება ნაწარმოების ინტელექტუალურ ან მხატვრულ შინაარსზე ან მის განხორციელებაზე (მათ შორის შესრულებაზე)

პასუხისმგებელი პიროვნება ან კორპორატიული გაერთიანება, რომელიც აღწერილ გამოცემაშია მოთავსებული.

1.5.2 პასუხისმგებლობის მონაცემები შეიძლება დაკავშირებული იყოს მასთან, როგორც:

- მწერალთან, კომპოზიტორთან, მხატვარ-გრაფიკოსთან, ქორეოგრაფთან და ა.შ., რომელსაც პირდაპირი (მაგ. ტექსტის ავტორი, გამომცემელი, შემდგენელი, მთარგმნელი, გამფორმებელი, მუსიკის ავტორი) ან არაპირდაპირი (მაგ. რომანის ავტორის, რომლის მოტივებზეც ეს ფილმი იქნა გადაღებული) წვლილი აქვს შეტანილი ნაწარმოების შექმნაში;
- უკვე არსებული ნაწარმოების ადაპტერთან, მიუხედავად იმისა, ორიგინალის მსგავსადაა ის განხორციელებული თუ არა;
  - ანთროპოლოგიური თუ სხვა სახის ჩანაწერების შემგროვებლებთან; პიროვნებებთან, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ნაწარმოების შესრულებაზე;
- ორგანიზაციებთან ან პიროვნებებთან, რომლებიც სპონსორობას უწევენ ზემოჩამოთვლილ საქმიანობებს;
- პოპულარული მუსიკალური ჩანაწერების პროდუსერებთან;
- შემსრულებლებთან.

პრინციპში, ამგვარი პასუხისმგებლობა ენიჭებათ არამარტო იმ პირებსა და კორპორაციულ გაერთიანებებს, რომლებსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ნაწარმოების შექმნასა თუ განხორციელებაში, არამედ იმათაც, ვისი როლიც მცირეა (მაგ. ისტორიკოს-კონსულტანტი), მაგრამ ვინც აუცილებლად მოხსენიებული უნდა იყოს აღწერილობის ინფორმაციის წყაროში. გადაწყდა, რომ ნაკლები ღვაწლის მქონე პირებთან დაკავშირებული მონაცემები ჩაიწეროს შენიშვნაში (იხ. 7.1.5).

კინოფილმებისათვის და მასთან გაიგივებული გამოცემებისათვის, რომლებსაც გააჩნია ნუმერაცია და პასუხისმგებლობის რთული მონაცემები იწერება ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებული მწარმოებელი კომპანიებისა და პროდუსერის, რეჟისორის ან სხვადასხვა დონის პასუხისმგებელ ხელმძღვანელ პირთა სახელები. პირები, რომლებსაც გააჩნიათ სპეციფიკური პასუხისმგებლობა, ასევე უნდა ჩაიწერონ პასუხისმგებლობის მონაცემებში, თუ მათი როლი, განსაკუთრებით, ფილმის შინაარსის, ნაწერის ან ნახატის (მაგ. კინემატოგრაფისტი, სცენარისტი, ანიმაციური ფილმების ანიმატორი) შექმნაში დიდია. პირი, რომლის წვლილი ამ ნამუშევრის შექმნაში გაცილებით მცირეა, სუფთა ტექნიკურია ან დაკავშირებულია ნამუშევრის მხოლოდ მონაკვეთთან, შეიძლება მითითებულ იქნას შენიშვნაში (იხ. 7.1.5) ან საერთოდ გამოტოვებულ იქნას.

პასუხისმგებლობის მონაცემებმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმები:

1.5.2.1 იგი შეიძლება შედგებოდეს პიროვნების ან პიროვნებების ან გაერთიანების ან გაერთიანებების სახელებისაგან, რომლებიც უკავშირდებიან ერთმანეთს სიტყვებით ან ფრაზებით (იმ შემთხვევაში თუ ეს საჭიროა) და რომლებიც მიუთითებენ პიროვნების ან გაერთიანების როლს ამ საქმეში.

მაგ. Model planetarium [Object] / Cary Johnson

1.5.2.2 იგი შეიძლება შედგებოდეს ფრაზისაგან სახელის გარეშე, თუ ასეთი ფრაზა მიუთითებს მის ინტელექტუალურ წვლილზე ან სხვა სახის დამსახურებაზე.

მაგ. Autumn leaves [მულტიმედია] / შედგენლია დაწყებითი განათლების მასწავლებელთა მიერ

Art explained / Dieter Kendrick; სხვადასხვა მხატვრის ხმოვანი კომენტარით

1.5.2.3 იგი შეიძლება შეიცავდეს არსებით სახელს ან არსებითი სახელისაგან შემდგარ ფრაზებს, ისევე როგორც სახელს (სახელებს), როდესაც ეს ფრაზა უკეთ მიუთითებს პიროვნების ან კორპორატიული გაერთიანების როლზე ამ ნამუშევრის შექმნაში, ვიდრე თვით ნამუშევრის არსი.

მაგალითი Roman Britain [ვიდეოპროექტორი] / გამოიკვლია და ტექსტის სახით ჩაწერა კოლინ ბერჰემმა

სხვა არსებითი სახელები ან არსებითი სახელებისაგან შემდგარი ფრაზები ჩვეულებრივ განიხილება, როგორც სხვა სასათაურო ინფორმაცია (იხ 1.4).

1.5.2.4 იგი შეიძლება შეიცავდეს დეტალებს, რომლებიც დაკავშირებულია აღწერის სხვა ელემენტებთან ( მაგ. ძირითადი სათაური, ინფორმაცია გამოცემული ნათარგმნი ტექსტის შესახებ), თუ ასეთი დეტალები ლინგვისტურად წარმოადგენს პასუხისმგებლობის მონაცემების განუყოფელ ნაწილს.

მაგ. High comedy [მიკროფორმა] / შეგროვილი და გამოცემულია ” La divina commedia”-დან ჯ. გ. რომანის მიერ

1.5.2.5 იგი შეიძლება შედგებოდეს დამატებებისა და სხვა სახის დამატებით მასალასთან დაკავშირებულ მონაცემებისაგან თუ ასეთი მონაცემები წარმოდგენილია აღწერის წყაროში (იხ. აგრეთვე 1.5.3.3).

მაგ. Barring the stars [ჰოლოგრამა] / by Fantasies Unlimited; with descriptive notes by a specially constellated task force

1.5.2.6 იგი შეიძლება შეიცავდეს კორპორაციული გაერთიანების სახელს, რომელიც სპონსორობას უწევდა ამ გამოცემას, თუ გაერთიანების სახელი წარმოდგენილია აღწერის ინფორმაციის წყაროში და კავშირი სპონსორსა და გამოცემას შორის მტკიცედ არის დადგენილი (ან გამოხატულა შესაბამისი სიტყვით ან მოკლე ფრაზით).

მაგ. Oil over the Andes [კინოფილმი] 1 [sponsored by] Occidental Petroleum Corporation; შექმნილია Sandier Institutional Films, Inc მიერ.

სპონსორი, გაერთიანება, თუ ის ქმნის პუბლიკაციის, გამავრცელებლის და ა.შ. განუყოფელი ნაწილის სფეროს (რომლსაც წინ უძღვის სიტყვა “გამოცემულია”) ჩაიწერება მე-4 სფეროში.

1.5.2.7 მონაცემები, რომელიც არ შეიცავს ინტელექტუალურ ან მხატვრულ პასუხისმგებლობას გამოცემაზე, არ მოიხსენიება პასუხისმგებლობის მონაცემებში. ისეთი მონაცემები როგორცაა მიძღვნები, ეპიგრაფი ან პატრონაჟი და ჯილდოები (მაგ., 1971 წლის ჩიაკოვსკის ჯილდოს მფლობელი), შეიძლება გამოტოვებულ იქნას ან

ჩაიწეროს მე-7 სფეროში. ისეთი ინფორმაცია, როგორცაა “გრამაფონის ჩანაწერის თანხლებით“, ჩაიწერება მე-5 სფეროში.

1.5.2.8 პასუხისმგებლობის ობიექტის სახელი, რომელიც ლინგვისტურად წარმოადგენს სხვა აღსაწერი ელემენტის განუყოფელ ნაწილს და ამგვარად არის ჩაწერილი, არ განიხილება, როგორც პასუხისმგებლობის მონაცემები (მაგ., პასუხისმგებლობის მონაცემები, როგორც ზოგადი სათაურის ნაწილი, იხ. 1.1.2.6; პასუხისმგებლობის მონაცემები, როგორც სათაურის შესახებ სხვა ინფორმაციის ნაწილი იხ. 1.4.2; პასუხისმგებლობის მონაცემები, როგორც პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ. მონაცემების ნაწილი, იხ მე-4 სფერო).

მაგ. Sargent conducts Vaughan Williams [აუდიოჩანაწერი]

გამონაკლისი შეიძლება გაკეთდეს იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებელი ობიექტის სახელი გარკვევითაა გამეორებული აღწერის წყაროში პასუხისმგებლობის მონაცემების შესაბამისად.

მაგ. Loto rythmique Martenot (მულტიმედია] 1 par Maurice Martenot

1.5.2.9 კორპორატიული გაერთიანების სახელი, რომელიც წარმოადგენილია აღწერის წყაროში, როდესაც გაერთიანების ფუნქცია არ არის ზუსტად დადგენილი და არც მისი დადგენაა შესაძლებელი გამოცემებით აღწერისა და სხვაგვარი მიდგომით, არ განიხილება, როგორც პასუხისმგებლობის მონაცემები. მისი ჩაწერა შეიძლება ყველგან გარდა მე-7 სფეროსი.

1.5.3 ერთი ან ერთზე მეტი პასუხისმგებლობის მონაცემი.

1.5.3.1 პასუხისმგებლობის ცალკე მონაცემები გვხვდება იმ შემთხვევაში, თუ აღწერილობის წყაროს ფორმულირება გვიჩვენებს ერთ მონაცემს. ერთზე მეტი პიროვნება ან კორპორაციული გაერთიანება შეიძლება ჩაიწეროს ამგვარ მონაცემებში, თუ ისინი ასრულებენ ერთდაიგივე ფუნქციას ან, თუნდაც, სხვადასხვა ფუნქციას და მათი სახელები აღწერაში დაკავშირებულია კავშირების საშუალებით.

1.5.3.2 ერთზე მეტი პასუხისმგებლობის მონაცემები გვხვდება იმ შემთხვევაში, თუ ფორმულირება გვიჩვენებს ერთზე მეტ მონაცემს, როცა ერთზე მეტი პიროვნება ან კორპორაციული გაერთიანება ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას. მათი სახელები აღწერაში არ არის დაკავშირებული კავშირების საშუალებით.

1.5.3.3 პასუხისმგებლობის მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია დამატებასთან ან სხვა სახის დამატებით მასალასთან (იხ. 1.5.2.5), განიხილება, როგორც დამატებითი პასუხისმგებლობის დამატებითი მონაცემები და ჩაიწერება მთელ გამოცემებთან ან გამოცემების მთავარ ნაწილთან დაკავშირებულ მონაცემებთან ერთად.

1.5.4 ჩაწერა

1.5.4.1 პასუხისმგებლობის მონაცემები ჩაიწერება იმ ტერმინით, რომლითაც იგი წარმოადგენილია გამოცემაში.

მაგ. Chants mongols et bouriates [აუდიოჩანაწერი] / enregistrements de Roberte Hamayon



American literature [აუდიოჩანაწერი] / co-ordinated for the Voice of America by Tristram Coffin

Japanese families on Dorn Island [ვიდეოჩანაწერი] / Tatsuro Suzuki interviewed by Maya Koizumi [აუდიოჩანაწერი]

Les rois maudits [ვიდეოჩანაწერი] / realisateur, Claude Barma: d'apres Maurice Druon; auteur de la musique, Georges Delerue; directeur de la photo, Pierre Mareschal; Gilles Behat (Charles IV le bel); Jean Deschamps (Charles de Valois); Helene Duc (Mahaut d'Artois)...

Bilder einer Ausstellung [აუდიოჩანაწერი] / Modest Mussorgsky; in der Instrumentation von Maurice Ravel

The life cycle of the bean [ვიდეოპროექტორი] / scriptwriter, Allan S. Mitchell; consultants, Joan M. Clayton and Simon Randolph  
Visite a Jean Rostand, Ville d'Avray, printemps 1970 [მულტიმედია] 1 montage Michel Algrain

Ecce ancilla Domini [გრაფიკა] / Eques I.F. de Troy pinxit Romae " Gio B. Hutin sculp. Romae 1750

Les georgiques [გრაფიკა] / Andre Dunoyer de Segonzac; tirage de Jacques Frelaut

La noblesse francaise a l'eglise [გრაფიკა] / Abraham Bosse d'apres Jean de Saint-Igny

1.5.4.2 პასუხისმგებლობის მონაცემები, რომელიც წარმოდგენილი არ არის აღწერის წყაროში, მაგრამ გვხვდება გამცემის ყველა ნაწილში თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში. პასუხისმგებლობის მონაცემები, რომელიც გამომცემის გარეთაა, მოპოვებული ჩაიწერება მე-7 სფეროში.

1.5.4.3 თუ სხვადასხვა პირის ან გაერთიანების ობიექტების სახელები წარმოდგენილია პასუხისმგებლობის ცალკეულ მონაცემებში (1.5.3.1), სახელების რაოდენობა ჩაიწერება ბიბლიოგრაფიულ სააგენტოების შეხედულებისამებრ. მრავალი სახელის ჩაწერა შეიძლება დახრილი ხაზის ან დამაკავშირებელი სიტყვების მეშვეობით. თუ დამაკავშირებელი სიტყვები დამატებულია, მაშინ იგი მოთავსდება კვადრატულ ფრჩხილებში. შემოკლებები უნდა აღინიშნოს შემოკლების ნიშნით და “et al”-ით ან მისი ექვივალენტებით სხვა დამწერლობაში და მოთავსდება კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. Phoenix in Games [გრაფიკა] 1 prepared by Albert Kreissinger, Ken Merrill [for] Alpha Unlimited

1.5.4.4 თუ პიროვნების ან გაერთიანების ობიექტის სახელები პასუხისმგებლობის მონაცემებში წარმოდგენილია სახელზე მცირე ფორმით, მაგალითად, აკრონიმის ფორმით, მაშინ მისი სრული ფორმა უნდა ჩაიწეროს მე-7-ე სფეროში.

1.5.4.5 მუსიკალური ან სხვა ანსამბლების ინდივიდუალური წევრების სახელები, როცა მათი სახელები მოიხსენიება აღწერის წყაროში, უნდა მოთავსდეს ფრჩხილებში და ჩაიწეროს ანსამბლის სახელწოდების შემდეგ. სხვა შემთხვევაში, სახელები უნდა ჩაიწეროს მე-7-ე სფეროს შენიშვნაში ან საერთოდ არ უნდა იქნას მოხსენიებული.

მაგ. Quartet in F major [აუდიოჩანაწერი] / Ravel; Budapest String Quartet (J. Roismann and A. Schneider, violins; B. Kroyt, viola; M. Schneider, cello)

1.5.4.6 საზოგადოების, აკადემიური ხარისხისა და ა.შ., აღმნიშვნელი ინიციალები, აგრეთვე, მათი თანამდებობებისა და კვალიფიკაციის მაჩვენებლები, რომელიც მოყვება პიროვნების გვარებს ჩაიწერება, თუ ეს შესაძლებელია ლინგვისტიკურად, ამ პიროვნების დასაზუსტებლად ან მისი საქმიანობის არსის დასადგენად.

ყველა სხვა შემთხვევაში ინიციალები და ა.შ., არ განიხილება, როგორც პასუხისმგებლობის მონაცემები და უნდა გამოტოვებულ იქნას (იხ.1.5.2.7).

1.5.4.7 პასუხისმგებლობის მონაცემები, რომელიც წინ უძღვის აღწერილობის წყაროებზე მოთავსებულ ზოგად სათაურს ჩაიწერება ზოგადი და სხვა სასათაურო ინფორმაციის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ლინგვისტიკურად უკავშირდება ამგვარ ინფორმაციას (იხ.1.5.2.8)

პასუხისმგებლობის მონაცემების საწყისი პოზიციის დადგენა შესაძლებელია მე-7 სფეროში.

1.5.4.8 პასუხისმგებლობის მონაცემები, რომლებიც შეიცავენ კორპორატიული გაერთიანების ობიექტის სახელს და გამოხატულია იერარქიული ფორმით, ჩაიწერება იმ ფორმითა და თანმიმდევრობით, რომელიც მოცემულია გამოცემაში.

1.5.4.9 თუ პასუხისმგებლობის მონაცემები, რომლებიც ლინგვისტიკურად არ არის დაკავშირებული იმ სათაურთან, რომელთანაც იგი დაკავშირებული უნდა იყოს, პიროვნებისა და კორპორატიული გაერთიანების სახელი ჩაიწერება დახრილი ხაზის შემდეგ.

მაგ. The marriage of Figaro [აუდიოჩანაწერი] / Mozart

1.5.4.10 თუ კავშირი პასუხისმგებლობის მონაცემებსა და სათაურს შორის ბუნდოვანია, მას ემატება კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული დამაკავშირებელი სიტყვა ან მოკლე ფრაზა.

მაგ. Baijun ballads [აუდიოჩანაწერი] / [collected] by Chet Williams  
Vue de la ville de Rouen [გრაფიკა] / [gravee par] Ch. Lemas  
One man in his time [აუდიოჩანაწერი] / William Shakespeare;  
[კითხულობს] Sir John Gielgud

1.5.4.11 თუ არსებობს ერთზე მეტი პასუხისმგებლობის მონაცემი, მაშინ მათი თანამიმდევრობა ისეთია, როგორც ეს გარეკანზე ან მის შემცველზე, აღწერის წყაროზეა მითითებული მოცემული, იმისდა მიუხედავად, თუ რა ზომის პასუხისმგებლობა აკისრია ამ მონაცემების მატარებლებს. თუ მონაცემები არ არის აღებული აღწერის წყაროდან, მაშინ მათი ჩაწერა მოხდება ლოგიკური თანმიმდევრობით, თუ ასეთი თანმიმდევრობა საჭიროა და იგი მოთავსდება კვადრატულ ფრჩხილებში.

1.5.4.11.1 თუ აღწერილობის წყარო შედგენილია სიმბოლოებისაგან (მაგ. მულტიმედიის გამოცემის შემთხვევაში, რომელსაც არ გააჩნია განსაკუთრებული უნიფიცირებული წყარო ან კინოფილმის გადაღებაში შეტანილი წვლილის თანმიმდევრობა), მაშინ მათი ჩაწერა მოხდება ლოგიკური თანმიმდევრობით. სხვა შემთხვევაში გამოცემის ცალკეული ნაწილები უნდა აღიწეროს მრავალდონიანიანი მეთოდით (იხ. დამატება ა)

1.5.4.11.2 ხმოვანი ჩანაწერისათვის, რომელსაც პასუხისმგებლობის ერთზე მეტი მონაცემი გააჩნია, მონაცემები აღწერილობაში უნდა განლაგდეს იმგვარად, რომ პასუხისმგებლობის განსხვავებული კატეგორიები უნდა დაემთხვეს შესაბამის კატეგორიის თანმიმდევრობას, მაგალითად კომპოზიტორებისას მუსიკაში, მათ შორის, იმ პირებისაც, ვისი როლიც იმპროვიზაციაში შეიძლება ჩაითვალოს მუსიკის შექმნის პროცესის ნაწილად: ტექსტის ავტორებისას; შემსრულებლებისას შემდეგი თანმიმდევრობით: სოლისტი/ მსახიობი/ დეკლამატორი/ (დეკლამატორები); გუნდი; გუნდის დირიჟორი; ორკესტრი; დირიჟორი; დრამატული ნაწარმოების რეჟისორი; პოპულარული სამუსიკო ჩანაწერების პროდუსერი.

1.5.4.12 პარალელური სათაური და პარალელური პასუხისმგებლობის მონაცემები.

1.5.4.12.1 თუ აღწერის წყარო ატარებს ერთ ან ერთზე მეტ პარალელურ სათაურს და / ან სხვა სასათაურო ინფორმაციის პარალელურ მონაცემებს, მაგრამ გააჩნია ასევე პასუხისმგებლობის მონაცემები ერთზე მეტ ენაზე და / ან ერთზე დამწერლობაზე პასუხისმგებლობის ყოველი მონაცემი იწერება სათაურის ან სხვა სასათაურო ინფორმაციის შემდეგ, რომელსაც იგი ლინგვისტურად მიეკუთვნება.

მაგ. Familias norte-americanas [ვიდეოპროექტორი]: los De  
Stefano / colaborador de educacion, Beryl L. Bailey =  
American families: the De Stefanos / educational col-  
laborator, Beryl L. Bailey

1.5.4.12.2 თუ პასუხისმგებლობის შესაბამისი მონაცემების ჩაწერა თითოეული სხვა სასათაურო ინფორმაციის შემდეგ შეუძლებელია, მაშინ პასუხისმგებლობის მონაცემები იწერება ერთად, ბოლო პარალელური სათაურის ან პარალელური სხვა სასათაურო ინფორმაციის შემდეგ. ყოველი პარალელურ პასუხისმგებლობის მონაცემები გამოიყოფა ინტერვალით, ტოლობის ნიშნით და ინტერვალით.

1.5.4.12.3 თუ აღწერის ინფორმაციის წყარო ატარებს ერთს ან ერთზე მეტ პარალელურ სათაურს და / ან პარალელურ მონაცემებს სხვა სასათაურო ინფორმაციის შესახებ, მაგრამ პასუხისმგებლობის მონაცემები მხოლოდ ერთ ენაზე და / ან ერთ დამწერლობაზეა, პასუხისმგებლობის მონაცემი ჩაიწერება ბოლო პარალელური სათაურის ან სხვა სასათაურო ინფორმაციის შემდეგ.

მაგ/ Svensk kyrkomusik [აუდიოჩანაწერი] = Schwedische  
Kirchenmusik = Swedish church music / Vokal- und  
Instrumentalensemble der Rundfunkchor; Leitung, Eric  
Ericson

1.5.4.12.4 თუ პარალელური სათაური არ არსებობს, მაგრამ აღწერის ინფორმაციის წყაროში მოთავსებული პასუხისმგებლობის მონაცემები მოცემულია ერთზე მეტ ენასა და/ან დამწერლობაზე მაშინ იწერება ზოგადი სათაურის მონაცემები ამ ენასა და/ან

დამწერლობაზე; თუ ეს კრიტერიუმი არ მას მიესადაგება, მონაცემები მიეთითება გარეკანის მიხედვით, ან იწერება მისი შესაბამისი აღწერის წყაროზე მოთავსებული

მონაცემები. ასევე შეიძლება ჩაიწეროს სხვა მონაცემებიც იმგვარად, რომ თითოეულს

წინ უნდა უძღოდეს ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი.

მაგ. Madame Bovary [ვიდეოჩანაწერი] 1 realisateur, Jean  
Marais; d'apres le roman de Flaubert = director, Jean  
Marais; after the novel by Flaubert

1.5.4.13 გამოცემა ზოგადი სათაურის გარეშე.

1.5.4.13.1 თუ გამოცემას არ გააჩნია ზოგადი სათაურ(იხ. 1.1.2.10), ხოლო ყველა ინდივიდუალურ ნაწარმოებს გააჩნია ერთიდაიგივე პასუხისმგებლობის მონაცემები, პასუხისმგებლობის მონაცემები ჩაიწერება ყველა სათაურის, პარალელური სათაურის და სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემების შემდეგ.

მაგ. Duo Nr. 1 G-Dur, KV 423, fiir Violine und Viola [აუდიოჩანაწერი]; Duo Nr. 2 B-Dur, KV 424, fiir Violine und Viola 1 Wolfgang Amadeus Mozart; Susanne Lautenbacher, violin; Ulrich Koch, viola

1.5.4.13.2 თუ ინდივიდუალურ ნაწარმოებს გააჩნია პასუხისმგებლობის განსხვავებული მონაცემები, თითოეული მონაცემი ჩაიწერება იმ სათაურების, პარალელური სათაურების და სხვა სასათაურო ინფორმაციის მონაცემების შემდეგ, რომელსაც იგი მიეკუთვნება.

მაგ. Fantasy and fugue for orchestra and organ, op. 10 (1963)  
[აუდიოჩანაწერი] 1 Wallingford Riegger; Polish  
National Radio Orchestra; Jan Krenz, conductor. Syn-  
thesis for orchestra and electronic sound (1960) / Otto  
Luening; Hessian Symphony Orchestra; David Van  
Vactor, conductor. Nocturne (1958) / Colin McPhee;  
Hessian Radio Symphony Orchestra; David Van Vac-  
tor, conductor. Fantasia for organ (1929) / Otto  
Luening; Ralph Kneeream, organist

1.5.4.13.3 თუ ინდივიდუალური ნაწარმოებს გააჩნია პასუხისმგებლობის ისეთი მონაცემები, რომელიც უკავშირდება რომელიმე, მაგრამ არა ყველა სათაურს, თითოეული ამგვარი ჩაიწერება იმ სათაურის შემდეგ, რომელსაც იგი მიეკუთვნება.

მაგ. Rhapsody in blue [აუდიოჩანაწერი]; Prelude for piano  
no. 2 / George Gershwin. Symphonic dances from West  
Side story / Leonard Bernstein

1.5.4.13.4 თუ ინდივიდუალურ ნაწარმოებს გააჩნია პასუხისმგებლობის საკუთარი მონაცემები, ხოლო აღწერის ინფორმაციის წყარო გვიჩვენებს პასუხისმგებლობის ისეთ მონაცემებს, რომლებიც მიეკუთვნება მთელს გამოცემას, მაშინ ასო დაისმევა ყველა დანარჩენი მონაცემის შემდეგ, რომელსაც წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე და ინტერვალი. კავშირის გამოკვეთა პასუხისმგებლობის უკანასკნელად დასახელებულ მონაცემთა და წინა ჩანაწერს შორის უნდა მოხდეს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული დამაკავშირებელი სიტყვის ან მოკლე ფრაზის დამატებით.

მაგ. Symphony no. 4 in A major, op. 90 [აუდიოჩანაწერი]: Italian / Mendelssohn. Symphony in C major / Bizet; [both works performed by] National Philharmonic Orchestra; Leopold Stokowski

თუ ეს დამატება ლინგვისტიკურად შეუძლებელია ან მონაცემისათვის, მოუხერხებელი ან მეტისმეტად დიდია, მაშინ პასუხისმგებლობის მონაცემები და / ან ახსნა ჩაიწერება მე-7-ე სფეროში.

მაგ. Andante cantabile: fiir Cello und Streicher;  
Nocturne: op. 19, fiir Cello und Streicher / Tschaikowsky. Idyll: fiir Horn und Streicher / Glasunow. Adagio tragico: op. 21, fiir Streichorchester / Sinigaglia. An English suite / Parry. Capriol suite / Warlock  
Note: Rene Forest, violoncello (1st- 2nd ნაწარმოები);  
Anton Hammer, horn (3rd, ნაწარმოები); RIAS-Sinfonietta Berlin; David Atherton (last 2 works), kiri Starek (remainder), conductors

1.5.4.13 თუ ზოგადი სათაური შეიცავს საერთო სათაურს და დაქვემდებარებულ სათაურს, პასუხისმგებლობის მონაცემები ჩაიწერება ზოგადი სათაურის იმ ნაწილში, რომელსაც ისინი მიეკუთვნება. გაურკვევლობის შემთხვევაში ან, თუ პასუხისმგებლობის მონაცემები მიეკუთვნება ზოგად სათაურს მთლიანად, იგი ჩაიწერება ზოგადი სათაურის შემდეგ.

## 2. საგამომცემლო სფერო

შინაარსი 2.1 საგამომცემლო მონაცემები

2.2 პარალელური საგამომცემლო მონაცემები

2.3 გამოცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მონაცემები

2.4 დამატემები საგამომცემლო მონაცემები

2.5 დამატებითი საგამომცემლო მონაცემების შემდეგ განლაგებული

პასუხისმგებლობის მონაცემები.

პუნქტუაციის სქემა

ა) საგამომცემლო სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, დეფიზი, ინტერვალი (. -)

ბ) ყოველ პარალელურ საგამომცემლო მონაცემებს წინ უძღვის ინტერვალი, ტოლობის ნიშანი, ინტერვალი (=)

გ) საგამომცემლო სფეროსთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის პირველი მონაცემს (ანუ დამატებით საგამომცემლო მონაცემების შემდეგ განლაგებულ) წინ უძღვის ინტერვალი, დახრილი ხაზი და ინტერვალი (/).

დ) ყოველ გამოცემასთან დაკავშირებული ყოველ შესაბამის პასუხისმგებლობის მონაცემებს (ანუ მონაცემებს, რომელიც განლაგებულია საგამომცემლო მონაცემების შემდეგ) წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე და ინტერვალი (:)

ე) დამატებითი საგამომცემლო მონაცემები, რომელიც განლაგებულია ან საგამომცემლო მონაცემების ან გამომცემლობასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობის მონაცემებთან, წინ უძღვის მძიმე და ინტერვალი (,)

მაგალითად,

- . - საგამომცემლო მონაცემები
- . - საგამომცემლო მონაცემები / პასუხისმგებლობის მონაცემები ; პასუხისმგებლობის მეორე მონაცემები
- . - საგამომცემლო მონაცემები / პასუხისმგებლობის მონაცემები = პარალელური საგამომცემლო მონაცემები / პასუხისმგებლობის პარალელური მონაცემები
- . - საგამომცემლო მონაცემები / პასუხისმგებლობის მონაცემები, დამატებით საგამომცემლო მონაცემები / პასუხისმგებლობის მონაცემები.

## 2.1 საგამომცემლო მონაცემები

2.1.1 საგამომცემლო მონაცემები შედგება ტერმინებისაგან, ფრაზებისაგან ან ნიშნების ჯგუფებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია:

ა) გამოცემის ყველა ასლთან, რომელიც ოფიციალურად ინდეტიფიცირებულია სახელებისა და ნუმერაციისაგან შემდგარ გამოცემასთან.

ან

ბ) გამოცემის ყველა იმ ასლებთან, რომელსაც მნიშვნელოვანი განსხვავება გააჩნია მოცემული ასლის ზოგიერთ ნაწილთან, ინტელექტუალურ ან მხატვრული შინაარსის მიხედვით, იმავე წარმოდგენილი ფორმის სხვა ასლებისაგან, მიუხედავად იმისა ასახულია, თუ არა ეს ფორმალურად გამოცემების მონაცემებში. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ იმავე მონაცემის სხვა ჩანაწერს შეუძლია შექმნას ხმოვანი ჩანაწერის ახალი გამოცემა.

საგამომცემლო მონაცემები, ჩვეულებრივ, შეიცავენ ან სიტყვას “გამოცემა” (ან მის ექვივალენტს სხვა ენებში) ან მის მონათესავე ტერმინებს “ვერსია” ან (ბეჭდურიგამოცემისას)??, ნომერთან ერთად (“მე 2 გამოცემა “ და ა.შ.), ან ტერმინს, რომელიც მიუთითებს განსხვავებას სხვა გამოცემასთან (“ახალი გამოცემა”, “შედარებული გამოცემა”, “მეოთხე დაზუსტებული”, “დაბეჭდილი 1970 წლის მაისში” და ა.შ.)

საგამომცემლო მონაცემები შეიძლება შეიცავდეს სხვა ბაზისებსაც, რომლებიც ლინგვისტურად ასოცირდება ან უკავშირდება გამოცემას, აღწერილობის სხვა ელემენტების მეშვეობით (მაგალითად, ძირითადი სათაური ისეთ ფორმაში, როგორცაა “ხელახლა გამოცემული“).

დადგენების ჩანაწერების შემთხვევაში, რომლის მონაცემები მოცემულია გამოცემაში და მიუთითებს გამოცემასა ან ვერსიაზე, რომლიდანაც ეს შესრულებული ნაწარმოები იქნა გადაწერილი, არ განიხილება საგამომცემლო მონაცემად, მაგრამ შეიძლება ჩაიწეროს მე-7-ე სფეროში.

2.1..2 საგამომცემლო მონაცემები ჩაიწერება იმ ტერმინებით, რომელიც მოცემულია გამოცემაში და თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში, თუ ის მოცემული არ არის აღწერის წყაროში. შეიძლება სტანდარტული შემოკლების გამოყენება. არაბულ ციფრებს შეიძლება ჩაენაცვლოს სხვა ციფრები.

საგამომცემლო მონაცემებს შეიძლება დაერთოს განმარტებითი ფრაზები, თუ ეს საჭიროა გამოცემის დასაზუსტებლად (იხ. 2.3.3)

მაგ. How we elect our representatives [კინოფილმი]. –მე 2-ე გამოცემა

Geography cards for infants and juniors [Kit] / by Gladys Staines. – შესწორებული

გამოცემა



Viens vers le Pere [აუდიოჩანაწერი] / Office catechistique provincial de Quebec. – სპეციალური გამოცემა  
Subbuteo table soccer [მულტიმედია]. – World Cup გამოცემა

თუ საგამომცემლო მონაცემები ძირითადად მხოლოდ სიმბოლოებისაგან შედგება, რომლებიც არც ციფრებსა და არც ასოებს არ წარმოადგენენ და რომელთა დაბეჭვდა ტიპოგრაფიული წესით შეუძლებელია (0.11) ეს ნიშნები უნდა შეიცვალოს სიტყვებით ან ციფრებით შესაბამისად და მოთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებში. მათი ახსნა ჩაიწერება მე-7-ე სფეროში (იხ.7.2)

2.1.3 თუ გამოცემაში მოცემული არ არის საგამომცემლო მონაცემები, მაგრამ ცნობილია, რომ გამოცემა შეიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს წინა გამოცემასთან შედარებით, მას 2.1.2 დებულების თანახმად უნდა ჩაენაცვლოს შესაფერისი საგამომცემლო მონაცემები აღწერილობის წყაროს ენაზე და მოთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებში. მაგ. – [ახალი გამოცემა]

–	[3	–	½	a	გამოცემა]
–			[2.		Aufl.]
–			[Сост.		2e]

– [1974 გამოცემა]

2.1.4 საგამომცემლო სფეროში არ ჩაიწერება შემდეგი საგამომცემლო მონაცემები:

2.1.4.1 საგამომცემლო მონაცემები, რომლებიც, როგორც ელემენტი წარმოადგენს სხვა სფეროს განუყოფელ ნაწილს (როგორცაა ზოგადი სათაური) და განიხილება ასეთად (იხ.1.1.2.6), არ გამეორდება საგამომცემლო სფეროში.

2.1.4.2 საგამომცემლო მონაცემები, რომელიც ასოცირდება ერთ ან ერთზე მეტ ნაწარმოებთან, რომელიც მოთავსებულია მრავალნაწარმოებიან პუბლიკაციაში, მაგრამ არა აქვს კოლექტიური სათაური, არ ჩაიწერება საგამომცემლო სფეროში, არამედ 1 სფეროში, დადგენილი პუნქტუაციის მიხედვით (იხ.1.1.4.2)

მაგ. My very first prayer time book [ვიდეოპროექტორი] / by Mary Fletcher; illustrations by Treyer Evans, შესწორებული გამოცემა. Now I lay me down to sleep 1 text and pictures by Rex Catto.

2.1.4.3 საგამომცემლო მონაცემები, რომლებიც ინტიფიცირებულია პირველ გამოცემასთან, ჩვეულებრივ არ იწერება.

2.2 პარალელური საგამომცემლო მონაცემები

თუ აღწერის ინფორმაციის წყარო ატარებს საგამომცემლო მონაცემებს ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობაზე, მაშინ მონაცემები ჩაიწერება ზოგადი სათაურის ენაზე. როდესაც ამ კრიტერიუმის გამოყენება შეუძლებელია საგამომცემლო მონაცემებს ყოველთვის ვიღებთ გარეკანიდან ან იმ მონაცემებიდან, რომელიც პირველადაა მოცემული. პარალელური მონაცემები უნდა ჩაიწეროს.

მაგ. – სასწავლო გამოცემა= ed. pour les etudiants

2.3 გამოცემასთან დაკავშირებული მონაცემები.

2.3.1 გამოცემასთან დაკავშირებული მონაცემები შეიძლება ეხებოდეს პიროვნებას ან კორპორატიულ გაერთიანებას და შეიძლება მიუთითებდნენ ისეთ ფუნქციებზე, როგორცაა ახალი გამოცემის გადამმოწმებელი ანდა ასახელებდეს პირს ან ორგანიზაციას, რომელიც ახალ გამოცემაში პასუხისმგებელია, დამატებით მასალის ან დანართის შედგენაზე და ა.შ.

ასევე უნდა ჩაიწეროს იმ შემსრულებლების გვარებიც, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს, ნაწარმოების არა მთლიანი, არამედ, თუნდაც, ნაწილის შექმნაში.

მაგ. Soil [ვიდეოპროექტორი]: the earth's greatest treasure. – გადამოწმებული ვერსია! ფოტოგრაფი William P. Gottlieb

The EEC and its member states [კინოფილმი]. – ინგლისურენოვანი გამოცემა/ჯონ პარინდერის კომენტარებით

2.3.2 1.5 დებულების თანახმად უნდა ჩაიწეროს ედიშენინჰენდთან ან მის ერთ, მაგრამ არა მის მთელ ნაწილთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მონაცემები. იგი უნდა ჩაიწეროს საგამომცემლო სფეროში, თუ იგი მოიპოვება აღწერის წყაროში.

მაგ. Roman Britain[მულტი მედია] / Curriculum Development Team, Culshot Educational Foundation. – მე-2-ე გამ. / with a historical time chart newly devised by M.A. Stuart

2.3.3 გამოცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მონაცემები, რომელშიც მოცემული არ არის სახელი ან პიროვნების კორპორაციული გაერთიანების სხვა მაიდენტიფირებული მონაცემები, უნდა ჩაიწეროს, როგორც საგამომცემლო მონაცემების ნაწილი (იხ.2.1.1). ამგვარი მონაცემები ხშირად იწერება ახსნა-განმარტებითი ფრაზებით.

2.3.4 საგამომცემლო სფეროში არ ჩაიწერება გამოცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შემდეგი მონაცემები:

2.3.4.1 პასუხისმგებლობის ის მონაცემები, რომლებიც აშკარადაა დაკავშირებული პირველ გამოცემასთან ან ნაწარმოების ყველა გამოცემასთან. იგი ჩაიწერება პირველ სფეროში.

2.3.4.2 პასუხისმგებლობის მონაცემები, რომლებიც გამოკვეთილად არ არის დაკავშირებული ნაწარმოების ან ერთ ან, თუნდაც, რამდენიმე გამოცემასთან. იგი ჩაიწერება 1 სფეროში.

2.3.5 გამოცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის პარალელური მონაცემები ჩაიწერება ინტერვალის, ტოლობისა და ინტერვალის ნიშნებით, რომელიც წინ უნდა უძღოდეს მათ.

2.4 დამატებითი საგამომცემლო მონაცემები

2.4.1 დამატებითი საგამომცემლო მონაცემები იწერება, როცა გამოცემაში მოიპოვება ოფიციალური მონაცემი, რომელიც მიუთითებს გამოცემაში გამოცემის არსებობას ან გამოცემას, რომელიც ექვივალენტია პირველად დასახელებული გამოცემასა.

მაგ. . – მე-2-ე გამოცემა, შესწორებული გამოცემა

2.4.2 დამატებითი საგამომცემლო მონაცემები ჩაიწერება 2.1.2 და 2.1.3 დებულების შესაბამისად

2.4.3 დამატებითი საგამომცემლო მონაცემები შეიძლება ჩაიწეროს, თუ იგი გამოიცა უცვლელი სახელწოდებით.

მაგ. – იტალიური ვერსია, ხელახალი გამოცემა

2.4.4 დამატებითი პარალელური საგამომცემლო მონაცემები შეიძლება ჩაიწეროს ინტერვალის, ტოლობის ნიშნისა და ინტერვალის ნიშნებით, რომელიც წინ უნდა უძღოდეს მას.

2.5 დამატებითი საგამომცემლო მონაცემების შემდეგ მოთავსებული პასუხისმგებლობის მონაცემები

2.5.1 დამატებითი საგამომცემლო მონაცემების შემდეგ მოთავსებული პასუხისმგებლობის მონაცემები იწერება 2.3 დებულების შესაბამისად

მაგ. – მე-2-ე გამოცემა, ხელახალი გამოცემა / with an afterword by the course convener

2.5.2 დამატებითი საგამომცემლო მონაცემების შემდგომ მოთავსებულ პასუხისმგებლობის მონაცემების ჩაწერა შეიძლება ინტერვალის, ტოლობის ნიშნის და ინტერვალის მეშვეობით, რომელიც წინ უძღვის მას

### **3. მასალის (პუბლიკაციის ტიპის) სპეციფიკური სფერო.**

ძირითადი შენიშვნა.

არავითარი ზოგადი გამოყენების სფერო არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, არაწიგნადი მასალების გამოცემის აღსაწერად ISBD (NBM) გამოყენებისას, რეკომენდირებულია ვისარგებლოთ ISBD შესაბამისი სპეციალური სფეროების დებულებებით, თუ ის თავისი შინაარსით ემთხვევა სხვა სპეციალურ ISBD-ს სფეროებს(მაგალითად, სერიულად გამოცემული არაწიგნადი გამოცემა).

### **4. პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ. სფერო**

წინასწარი შენიშვნები.

ტერმინში, “პუბლიკაცია” ან “გავრცელება”, რომელიც გამოიყენება 4.1.-4.4 მასალებში, იგულისხმება ყველა ტიპის პუბლიკაცია, გავრცელება, გამოცემა და საგამომცემლო საქმიანობა. ეს საქმიანობა განსხვავდება საქმიანობისაგან, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ გამოცემის ფიზიკურ წარმოებასთან (იხ. 4.5.-4.7). თუმცა ორივე შეიძლება შესრულებული იყოს ერთიდაიმავე პირის ან ორგანიზაციის მიერ. თუ პიროვნება ან ორგანიზაცია ერთდროულად არის პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ., და ამავე დროს ფიზიკური წარმოების მონაწილე, ანდა, თუ გაურკვეველია რა პასუხისმგებლობა აკისრია პიროვნებას ან ორგანიზაციას ცალკე პუბლიკაციის, გავრცელების და ა.შ. საქმეში, და ცალკე ფიზიკურ წარმოებაში, მაშინ მონაცემები დამუშავდება, როგორც პუბლიკაციასთან, გავრცელებასთან და ა.შ დაკავშირებული მონაცემები.

შინაარსი

4.1 გამოცემის და /ან გავრცელების ადგილი

4.2 გამომცემლის და/ან გამავრცელებლის სახელი

4.3 გამავრცელებლის ფუნქციის მონაცემები (შერჩევით)

4.4 პუბლიკაციის და/ან გავრცელების თარიღი

4.5 წარმოების ადგილი (შერჩევით)

4.6 ნაწარმოების სახელწოდება (შერჩევით)

4.7 წარმოებაში ჩაშვების თარიღი (შერჩევით)

პუნქტუაციის ნიშნები

- ა) პუბლიკაციის გავრცელების და ა.შ. სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, ტირე, ინტერვალი ( . - )
- ბ) მეორე ან მომდევნო ადგილს წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე, ინტერვალი ( ; )
- გ) ყოველ სახელს წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი, ინტერვალი ( : )
- დ) გამავრცელებლის ფუნქციის დამატებითი მონაცემები თავსდება კვადრატულ ფრჩხილებში ( [ ] )
- ე) თარიღს წინ უძღვის მძიმე და ინტერვალი ( , ) .
- ვ) წარმოების ადგილი, მწარმოებლის სახელი და წარმოებაში ჩაშვების თარიღი თავსდება ფრჩხილებში ( ( ) ). ფრჩხილებში პუნქტუაცია გამოიყენება ისევე, როგორც ბ, გ და ე პუნქტებშია მითითებული.

მაგალითად,

. - პუბლიკაციის ადგილი : გამომცემლობის სახელწოდება, თარიღი

. - პუბლიკაციის ადგილი : გამომცემლობის სახელწოდება ; პუბლიკაციის ადგილი: გამომცემლობის (გამომცემლის) სახელი, თარიღი

. - პუბლიკაციის ადგილი ; პუბლიკაციის ადგილი : გამომცემლობის (გამომცემლის) სახელწოდება, თარიღი (საწარმოს ადგილი: საწარმოს სახელწოდება, თარიღი)

.- გამოცემის ადგილი: (გამომცემლის) სახელი, თარიღი ; გავრცელების ადგილი: გამავრცელებლის სახელი [ფუნქცია], თარიღი

4.1 გამოცემის და/ან გავრცელების ადგილი

4.1.1 გამოცემის ან გავრცელების ადგილი არის იმ ქალაქის ან სხვა ადგილის სახელწოდება, რომელიც აღწერის წყაროში ასოცირებულია გამომცემლის (ან მხოლოდ გამომცემლის, თუ მათი რაოდენობა ორზე მეტ სახელს შეიცავს) ან გამავრცელებლის სახელთან. თუ გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელი არ ფიგურირებს, მაშინ მიეთითება მისი გავრცელების ადგილი ან ადგილი საიდანაც იგი იქნა მიღებული.

4.1.2 თუ ცნობილია, რომ გამოცემაზე მითითებული ინფორმაცია არასწორია, მაშინ სწორი ვარიანტი უნდა მოთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებში (იხ. 0.10) ან ჩაწერილ იქნას მე-7 სფეროში.

მაგ.– London [i.e. Maidenhead]– Dublin

შენიშვნა: მიჩნეულია, რომ გამოცემულია ბელფასტში

4.1.3 თუ გამომცემელთან ან გამავრცელებელთან ასოცირდება ერთზე მეტი ადგილი, მაშინ უპირატესობა ენიჭება გარეკანის ან მის მომდევნო მონაცემებს. თუ ეს მონაცემები არც გარეკანზე და არც მის მომდევნო ადგილზეა მითითებული, მაშინ საჭიროა იმ მონაცემების მითითება, რომელიც მითითებულია საბიბლიოთეკო სააგენტოს მიერ.

4.1.4 უნდა ჩაიწეროს მეორე ან მომდევნო ადგილებიც.

4.1.5 თუ მეორე ან მომდევნო ადგილი გამოტოვებულია, გამოტოვების ადგილი შეიძლება აღინიშნოს სიტყვა “და ა.შ.”-თი, ანდა კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული მისი ექვივალენტით სხვა დამწერლობაში.

4.1.6 თუ მითითებულია ორზე მეტი გამომცემლის სახელი, მაშინ ყოველი გამომცემლის ადგილი ჩაიწერება გამომცემლის სახელწოდების წინ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სახელი ემთხვევა პირველი გამომცემლის სახელწოდებას.

მაგ.. – New York: Columbia Records: Harper & Row

4.1.7 თუ მოცემულია გამოცემლობისა და გამავრცელებლის სახელწოდებები, მაშინ იწერება გავრცელების ადგილი, თუ ის განსხვავდება გამოცემის ადგილისაგან.

მაგ. . – Washington (D.C.): Smithsonian Institution; New York: გავრცელებულია უ. უ. ნორტონის მიერ

4.1.8 გამოცემის ან გავრცელების ადგილები იწერება იმავე ორთოგრაფიული ფორმითა და იმავე გრამატიკულ ბრუნვაში, რომელშიც ის მითითებულია გამოცემაში.

მაგ. . – V Praze

4.1.9 თუ საჭიროა დასაზუსტება, მაშინ გამოცემასა და გავრცელების ადგილს დაემატება ქვეყნის, შტატისა და ა.შ. სახელწოდებები.

მაგ. . – C:ambridge (Mass.)  
– London [Ontario]  
– New Haven [Connecticut]  
– Santiago [Chile]

თუ უფრო მეტი დაზუსტებაა საჭირო, მაშინ ადგილის სახელწოდებას მიემატება გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელის მისამართი. თუ იგი გადმოწერილია სხვა წყაროდან, მაშინ მოთავსდება ფრჩხილებში ან კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. . – [England]: Glyndebourne Festival Opera, 1977; New York (P.O. Box 153, Ansonia Station, New York, N.Y. 10032): [გავრცელებულია] Video Arts International მიერ, 1985

4.1.10 მეტი სიზუსტისათვის, ადგილის სახელწოდებას ემატება კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ალტერნატიული ან სწორი ვერსია.

მაგალითი – Christiania [i.e. Oslo]– Lerpwl [i.e. Liverpool]

4.1.11 თუ გამოცემის ან გავრცელების ადგილის სახელწოდება აღწერის ინფორმაციის წყაროში მოცემულია ერთზე მეტ ენასა და / ან დამწერლობაზე, ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გარეკანზე მოთავსებულ სახელს, ხოლო, თუ მათ შორის ტიპოგრაფიული განსხვავება არ არსებობს, ჩაიწერება სახელწოდების ის ფორმა, რომელიც პირველადაა ჩაწერილი. თუ არცერთი ეს კრიტერიუმი არ ესადაგება მას, მაშინ ჩაიწერება იმ ლინგვისტიკური ფორმით, რომელიც მისაღებია ამ ენსათვის.

4.1.12 პარალელური მონაცემები ჩაიწერება მის შემდეგ მოთავსებული ინტერვალის, ტოლობის და ინტერვალის გამოყენებით. თუ ეს მონაცემები არ არსებობს, საჭირო არ არის გამოტოვების მითითება.

4.1.13 თუ გამოცემაში გამოცემის ან გავრცელების ადგილი არსად არ არის მითითებული, მაშინ მას დაემატება კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული დადგენილი ქალაქის სახელწოდება. თუ ქალაქის სახელწოდება გაურკვეველია ან უცნობია, მაშინ ემატება კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული სავარაუდო ქალაქის სახელწოდება.

მაგ. . – [Hamburg?]

4.1.14 თუ შეუძლებელია ქალაქის სახელწოდების ჩაწერა, ჩაიწერება შტატის, პროვინციის ან სახელწოდების სახელი, იგივე პირობების შესაბამისად, რომელიც გამოიყენება ქალაქების მიმართ.

მაგ. . – Canada

საგამომცემლო შენიშვნა: დადგენილია, როგორც გამოცემის ადგილი; მითითებულია აღწერის წყაროში

. – [Surrey]

საგამომცემლო შენიშვნა: დადგენილია, როგორც გამოცემის ადგილი; მითითებულია აღწერის წყაროში მოპოვებულია აღწერის წყაროს გარეთ

– [Guatemala?]

საგამომცემლო შენიშვნა: გამოცემის ადგილი უცნობია

4.1.15 თუ ადგილის მითითება შეუძლებელია. მაშინ ემატება აბრევიატურა “s.l.” (sine loc) ან კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული მისი ექვივალენტი სხვა დამწერლობაში.

მაგ. . – [S.l.]

– [B.M.]

## 4.2 გამომცემლობის და/ან გამავრცელებლის სახელწოდება

4.2.1 თუ აღწერის წყაროში ერთზე მეტი გამომცემელია დასახელებული, მაშინ უპირატესობა ენიჭება გარეკანს, ხოლო, თუ მათ შორის ტიპოგრაფიული განსხვავება არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება ის სახელწოდება, რომელიც მითითებულია პირველად. თუ არ არსებობს ტიპოგრაფიული განსხვავება და შემდგომში სახელწოდებები არ არის მითითებული, მაშინ ჩაიწერება ის სახელწოდება, რომელსაც უფრო საჭიროდ მიიჩნევა ბიბლიოგრაფიული სააგენტო

მაგ. . – London: Pictorial Charts Educational Trust

. – Firenze: La Nuova Italia

. – Москва : Изогиз

4.2.2 უნდა ჩაიწეროს მეორე და მომდევნო გამომცემლები.

მაგ. . – London: National Savings Committee; Edinburgh: National Savings Committee for Scotland

4.2.3 თუ მეორე და მომდევნო გამომცემლები გამოტოვებულია, მაშინ გამოტოვება ჩაიწერება სიტყვებით “და ა.შ.” ან კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული მისი ექვივალენტის სხვა დამწერლობაში.

მაგ. . – Washington, D.C.: Evaporated Milk Association [და ა. შ.]

4.2.4 თუ აღწერის ინფორმაციის წყაროში ჩაწერილია გამომცემლისა და გამავრცელებლის სახელი, მაშინ უნდა ჩაიწეროს გამავრცელებლის სახელი. თუ გამავრცელებლის სახელი ჩაწერილია სხვა წყაროში, მაშინ იგი უნდა ჩაიწეროს მე-7 სფეროში. თუ მოცემულია მხოლოდ გამავრცელებლის სახელი, მაშინ იგი აუცილებლად უნდა ჩაიწეროს.

მაგ. . – London: Technical and Scientific Films: Film Producers Guild

4.2.5 გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელწოდება უნდა ჩაიწეროს შემოკლებული ფორმით, იმ შემთხვევაში, თუ ის გასაგები იქნება და გამორიცხავს ორაზროვნებას.

მაგ. : Invicta

საგამომცემლო შენიშვნა: გამომცემლობის სახელწოდებაა- Invicta Plastics Ltd.

: Readex

საგამომცემლო შენიშვნა: გამომცემლობის სახელწოდებაა- Readex Microprint Corporation

4.2.6 თუ გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელწოდება მოყვანილია სრული ფორმით 1 სფეროში, მაშინ ან მისი სრული ფორმა უნდა გამეორდეს მე-4 სფეროში, ან მისი შემოკლებული ფორმა ან იდენტური ფრაზა ჩაიწეროს იქ. არავითარი კვადრატული ფრჩხილები ამგვარი შემოკლებული ფორმებისათვის, რომლებიც მოცემულია სრული ფორმის გამოყენების ადგილში, არ გამოიყენება, მაშინაც კი, როცა უფრო მოკლე ფორმა მოცემული არ არის აღწერის ინფორმაციის წყაროში.

მაგ. The wonder of new life [ვიდეოპროექტორი] / Cleveland Health Museum. – Cleveland: The Museum Fichier de terminologie [მიკროფორმა] / Quebec (Province) Office de la langue française, Centre de terminologie. – Quebec: O.L.F.

4.2.7 თუ გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელწოდება მოცემულია აღწერის წყაროში ერთზე მეტ ენაზე და/ან დამწერლობაზე, უპირატესობა ენიჭება გარეკანის სახელწოდებას, ან თუ ტიპოგრაფიული სხვაობა არ არის, მაშინ ფორმას, რომელიც პირველადაა მითითებული. თუ არცერთი ამ კრიტერიუმთაგან არ მიესადაგება, მაშინ ჩაიწერება იმ ლინგვისტური ფორმით, რომლის ენასაც მიეკუთვნება ეს გამოცემა.

4.2.8 პარალელური მონაცემები ჩაიწერება წინ დასმული ინტერვალის, ტოლობის ნიშნისა და ინტერვალის მეშვეობით. თუ ამგვარი რამ მოცემული არ არის, მაშინ არავითარი მითითება გამოტოვების შესახებ არ კეთდება.

4.2.9 უცნობი გამომცემლის ან გამავრცელებლის სანაცვლოდ არ შეიძლება ჩაიწეროს საწარმოს სახელწოდება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პიროვნების ან ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებულია წარმოების, გამოცემის ან გავრცელების საქმიანობასთან ან პასუხისმგებელის ვინაობა გაურკვეველია, საწარმოს სახელწოდება მიენიჭება გამომცემლობას.

4.2.9.1 მიკრორეპროდუქციების აღწერისას, მიკროფორმის გამოცემის სახელწოდება იწერება გამომცემლობის, გამავრცელებლის სფეროში. რეპროდუცირებული

დოკუმენტის გამომცემლის სახელწოდება ჩაიწერება დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული ისტორიის შენიშვნაში (იხ. 7.2).

4.2.9.2 გამომცემლის ან საწარმოო კომპანიის სახელთან დაკავშირებული გამოცემის ეტიკეტი, რომელიც მოთავსებულია გრამფირფიტაზე, კასეტებზე არ ჩაიწერება არც გამომცემლისა და, არც გამავრცელებლის და ა.შ. სფეროში. იგი უნდა ჩაიწეროს სერიის სფეროში (იმ შემთხვევაში თუ ეტიკეტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სერიის სათაური (იხ. სფერო 6)), ან სტანდარტული (ან ალტერნატიული) ნუმერაციის ან ხელმისაწვდომობის პირობების სფეროში, თუ აღწერის ნუმერაციის თანმხლები სახელი სტანდარტული ნუმერაციის ალტერნატიულია (იხ. სფერო 8).

ეტიკეტი, რომელიც მოთავსებულია აღწერის წყაროში და, რომელსაც თან არ ახლავს გამომცემლის ან საწარმოო კომპანიის სახელი, გაიგივებულია გამომცემლობის ან საწარმოო კომპანიის სახელწოდებასთან და ჩაიწერება გამომცემლობის, გავრცელებისა და ა.შ. სფეროში.

4.2.10 თუ არც გამომცემლის ან გამავრცელებლის სახელწოდების მიცემა არ შეიძლება, მაშინ დაემატება კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული აბრევიატურა “s.n.” (sinenomine) ან მისი ექვივალენტი სხვა დამწერლობაში.

მაგ. . – Paris: [s.n.]

. – [S.l.: s.n.]

#### 4.3 გამავრცელებლის ფუნქციის მონაცემები (შერჩევით)

4.3.1 თუ აღწერის ინფორმაციის წყარო, როგორც გამომცემლის მონაცემების განუყოფელ ნაწილი შეიცავს მინიშნებების გამავრცელებლის ფუნქციების შესახებ, მაშინ მონაცემები ჩაიწერება სრულად.

მაგ. . – New York: გამოცემულია Beaux Arts Co მიერ.

– London: Educational Productions; Nottingham: produced for Bairnswear

– Tavistock; Nairobi: წარმოებულია და გამოცემულია University Press of Africa მიერ; London: წარმოდგენილია Shell Education Service მიერ

4.3.2 თუ გამავრცელებლის ფუნქციები არ არის გარკვეულად დადგენილი, მაშინ ემატება კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული შემოკლებული სიტყვა ან ფრაზა, რომელიც მიუთითებს საქმიანობის სახეობაზე.

#### 4.4 გამოცემისა და/ან გავრცელების თარიღი

4.4.1 უნდა ჩაიწეროს გამოცემის გამქვეყნების თარიღი

მაგ.– London: Chandos, 1979

4.4.2 თუ ერთი და იგივე თარიღი ეკუთვნის გამოცემელსაც და გამავრცელებსაც ან ერთზე მეტ გამომცემელს ან დისტრიბუტორს, მაშინ თარიღი ჩაიწერება სახელწოდების ან ფუნქციის მონაცემების ბოლოს.



მაგ. . – Montreal: National Film Board of Canada; London: Guild Sound and Vision [გამავრცელები], 1968

4.4.3 თუ გამოცემის თარიღი არ ემთხვევა გავრცელების თარიღს, მაშინ თითოეული თარიღი ჩაიწერება შესაბამისი სახელწოდების ან ფუნქციის მონაცემების შემდეგ.

მაგ. . – London: Educational Records, 1973; New York: Edcorp [გამავრცელები], 1975

4.4.4 გრიგორიანული კალენდრის თარიღები ჩაიწერება არაბული ციფრებით. არაგრიგორიანული კალენდრის თარიღები ჩაიწერება, როგორც ეს მოცემულია გამოცემაში, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული გრიგორიანული კალენდრის ექვივალენტური თარიღის დამატებით, როცა მისი დადგენა შესაძლებელია.

მაგ. ,1969

, 5730 [1969 or 1970]

, 4308 [1975]

4.4.5 თუ გამოცემაში მითითებული თარიღი არასწორადაა მიჩნეული, მაშინ იგი ჩაიწერება, როგორც გამოცემაშია მითითებული, ხოლო სწორი ფორმა მოთავსდება კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. ,1697 [i.e. 1967]

4.4.6 თუ გამოცემაში მითითებული არ არის გამოცემისა ან გავრცელების თარიღი, მაშინ მის ადგილზე ჩაიწერება ასლის გადაღების ან შექმნის თარიღი. ორივე თარიღი აღიქმება ასეთად.

მაგ. , cop. 1969

, 1986 წარმოებულია

“p” (ფონოგრამა) სახის ხმოვანი ჩანაწერისათვის თარიღი ჩაიწერება ამგვარად:

, p 1982

4.4.7 საავტორო უფლების თარიღი შეიძლება დაემატოს გამოცემის ან გავრცელების თარიღს, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის ბიბლიოგრაფიული სააგენტო.

მაგალითი , 1972, cop. 1954, 1981, p 1972

4.4.8 თუ გამოცემის ან გავრცელების თარიღი, ან კოპირაიტის ან წარმოების თარიღი დადგენილი არ არის, გამოცემის ან გავრცელების მიახლოებითი თარიღი უნდა მოთავსდეს კვადრატულ ფრჩხილებში.

მაგ. , [ca.1960]

, [1969?]

, [197-?]

4.4.9 მულტიმედიის ან სხვა მრავალშინაარსიანი გამოცემების აღწერილობა, რომლებიც გამოიცემა წლების მანძილზე, ჩაიწერებას შორის მოთავსებული დეფიზით..

მაგ. , 1968-1973

4.4.10 თუ ამგვარი გამოცემის დანარჩენი ნაწილები ჯერ არ არის მიღებული, ჩაიწერება პირველი გამოშვების თარიღი, რომელსაც შემდეგ მოსდევს დეფიზი.

, 1968-

4.4.11 თუ საავტორო უფლების ყოველი მასალის (ისეთის როგორცაა ხმოვანი ჩანაწერი) თარიღები თავმოყრილია ერთად, ეს თარიღები არ ჩაიწერება გამოცემის, გავრცელების და ა.შ. არეალის შენიშვნაში (იხ. 7.4) ან შინაარსის შენიშვნებში (იხ. 7.7); ან შეიძლება აიწეროს ა დანართის დებულებაში მოცემული მრავალსაფეხურიანი აღწერილობის მეთოდით.

4.5 წარმოების ადგილი (შერჩევით)

და

4.6 საწარმოს სახელწოდება (შერჩევით)

4.5.1 და 4.6.1 საწარმოს ადგილი და მეწარმის სახელი უნდა ჩაიწეროს თუ ის გამოტანილია სათაურში და თუ გამოცემის ან გავრცელების ადგილი ან გამომცემლის ან გამავრცელებლის სახით უცნობია.

მაგ. – [S.I.: s.n.], 1970 (London: High Fidelity Sound Studios)

4.5.2 და 4.6.2 თუ საწარმოს ადგილი და საწარმოს სახელწოდება გამოტანილია გამოცემაში, მაშინ იგი ჩაიწერება იმ შემთხვევაში თუ მას მოსდევს ან გამოცემის ან გავრცელების ადგილი ან გამოცემის ან გამავრცელებლის სახელი ან ორივე ერთად.

მა. . – Firenze: Scala, 1969 (Siena: Meini)

4.5.3 და 4.6.3 თუ მოცემულია წარმოების რამდენიმე ადგილი და საწარმოების რამდენიმე სახელი, გამოიყენება ისეთივე პუნქტუაცია, როგორც ეს გამოცემის ან გავრცელების მრავალი ადგილისა და გამომცემელთა და გამავრცელებელთა მრავალი სახელწოდების ჩაწერისას ხდება.

4.7 წარმოების თარიღი

4.7.1 თუ წარმოების თარიღი ჩაწერილია გამოცემის ან გავრცელების ადგილის (იხ. 4.4.6), მაშინ იგი აღარ განმეორდება აქ.

4.7.2 თუ წარმოების თარიღი, განსხვავებული სხვა არსებულ თარიღებთან, უკვე მითითებულია (გამოცემის ან გავრცელების თარიღი, ან საავტორო უფლების თარიღი), მაშინ ის ასევე შეიძლება ჩაიწეროს.

4.7.3 წარმოების თარიღი შეიძლება ჩაიწეროს ან როგორც წარმოების სახელის მომდევნო ელემენტი ან დამოუკიდებლად. ასონიშნის შემთხვევაში მას ემატება სიტყვე ან შემოკლებული ფრაზა თარიღის გამოსაკვეთად.

მაგ. (London: High Fidelity Sound Studios, 1981)  
(1968 printing),  
p 1973 (manufactured 1979)

## 5. ფიზიკური ობიექტის აღწერის სფერო

წინასწარი შენიშვნები

ISBD(NBM)-ში აღსაწერი მასალები ტექნოლოგიური თვალსაზრისით მუდმივად ცვალებად პროდუქტებს წარმოადგენს. საყოველთაოდ მისაღები დებულებები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ტექნოლოგიური ცვლილებები, დღესაც დღის წესრიგში დგას. ქვემოთ ჩამოთვლილია გამოცემის აღწერის დებულებები, რომელთა გამოყენება შეიძლება ერთგვაროვანი ფიზიკური ფორმატისათვის, როცა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატების აღწერა (მაგ. ხმის ჩამწერების, გრამფირფიტის, კასეტისა და ბაზინის შემთხვევაში), თითოეული მასალისათვის გამოიყენება ფიზიკური ობიექტის აღწერილობის დებულება და თითოეული მათგანი იკავებს აღწერილობის საკუთარ სტრიქონს. განსხვავებული მასალის დასამუშავებლად, რომელიც მოიპოვება ერთი ძირითადი ფორმაციის შიგნით, იხ.5.2.9. და 5.3.8. პუნქტები. თანმხლები მასალებისთვის, რომელიც შეიძლება არსებობდეს განსხვავებული ფორმატის მასალაში იხ. 5.4.3 პუნქტი. სხვა შემთხვევაში, საკატალოგიზაციო სააგენტოს გამოცემის აღსაწერად შეუძლია აირჩიოს ბიბლიოგრაფიული აღწერის ალტერნატიული ფორმა.

შინაარსი

- 5.1 მასალების სპეციფიკური აღმნიშვნელი და ზომა.
- 5.2 ფიზიკური ობიექტის სხვა მონაცემები
- 5.3 რაოდენობრივი მონაცემები
- 5.4 თანმხლები მასალების მონაცემები ( შერჩევით).

პუნქტუაციის

- ნიმუშები
- ა) ფიზიკური აღწერილობის სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი,დეფიზი ინტერვალი, ( . - )
  - ბ) ფიზიკურ ობიექტის სხვა თვისებებთან დაკავშირებულ პირველ მონაცემებს წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი, მძიმე, ინტერვალი ( ; , )
  - გ) პირველ რაოდენობრივ მონაცემებს წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე და ინტერვალი ( ; )
  - დ) ყოველი თანმხლები მასალის მონაცემებს წინ უძღვის ინტერვალი, პლუსის ნიშანი , ინტერვალი ( + ) .

მაგ.

. - მასალების სპეციფიკური აღმნიშვნელი და ზომა : ფიზიკურ ობიექტთან დაკავშირებული სხვა დეტალები; მოცულობა + თანმხლები მასალების მონაცემები.

- 5.1 მასალების სპეციფიკური აღმნიშვნელი და ზომები.

5.1.1 ფიზიკური ობიექტის აღმნიშვნელი სფეროს პირველი ელემენტი სახელებს ანიჭებს და ნომრავს გამოცემის შემადგენელ ფიზიკური ობიექტის ერთეულსა ან ერთეულებს, საჭიროების შემთხვევაში ზომის შესაბამის მონაცემებს უმატებს მას. მასალების სპეციფიკური აღმნიშვნელი აზუსტებს მასალების ცალკეულ კლასს, რომელსაც ეს გამოცემა მიეკუთვნება და იწერება ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს შესაფერის ენაზე. სპეციფიკური მასალების აღწერილობის ერთიანი ნუსხა, რომელიც რეკომენდირებულია ინგლისურ ენაზე მოტანილია გ დანართში.

5.1.2 ფიზიკური ობიექტის ერთეულების ნუმერაცია, რომლისაგანაც შედგება გამოცემა, იწერება არაბული ციფრებით მასალების სპეციფიკური აღმნიშვნელის წინ .

მაგ.

. – 1 ხმის ჩამწერი ფირი

.- 36 სლაიდი

.- 3 სტერეოგრაფიული ბაბინა

5.1.3. სავაჭრო ნიშანი ან ტექნიკური სისტემის სხვა განსაკუთრებული მაჩვენებლები თავსდება ფრჩხილებში მასალების სპეციფიკური აღმნიშვნელის შემდეგ, როცა გამოცემების გამოყენება ინფორმაციის ერთი სტრიქონით ქვეშაა მოთავსებული.

მაგალითად,

. - 1 ხმის ჩამწერი კასეტა(Elcaset)

. – 1 ვიდეოკასეტა(U-matic)

. – 1 ვიდეობაბინა (Ampex 7003)

. - 1 გრამფირფიტა (Cook binaural)

. - 24 სლაიდი (3M Talking Slide)

. - 1 გრამფირფიტა (CD)

5.1.4. ზომის დამატებითი მონაცემის დასადგენად, გამოცემა უნდა, შეძლებისდაგვარად, დახარისხდეს ნაწილების (მაგ. ფირფიტების, კასეტების ნაწილების და ა.შ. დანომვრა) და (სადაც შესაძლებელია) დაკვრის დროის მიხედვით . დახარისხებული ზომის დამატებითი მონაცემები უნდა მოთავსდეს ფრჩხილებში.

5.1.5. თუ გამოცემა შედგება ფურცლებისა,ფირფიტებისა და ა.შ., უნდა ჩაიწეროს მათი რაოდენობა(ტრანსპარენსისათვის ოვერლეიების(სულერთია, დაცალკევებულისა თუ მთლიანის) რაოდენობა)

მაგ.

.	–	1	ფლიპკარტი	(8	ფირი)
.	–	1	პორტფოლიო	(26	ფურცელი)

. – 1 ტრანსპარენსი (4 დაცალკევებული ოვერლეი)

ფურცლების, ფირების და ა.შ. მახასიათებლები შეიძლება ჩაიწეროს შენიშვნაში ( იხ. 7.5.)

მაგ.

. – 1 ფლიპკარტი (8 ფირი)

შენიშვნა: ფირები დაბეჭდილია ორივე მხარეს

5.1.6. თუ გამოცემა შედგება საპროექციო კადრების ან ინდივიდუალურად საყურებელი მოწყობილობის კადრების სერიალებისაგან, მაშინ უნდა ჩაიწეროს კადრების რაოდენობა ( ან დაწყვილებული კადრების რაოდენობა, სტერეოგრაფიის შემთხვევაში). ორმაგი კადრები ასევე უნდა აიწეროს.

მაგ. . – 1 შრიფტის მატარებელი ფირი (44 კადრი)  
– 1 დიაფილმი (6 კადრი)

– 1 სტერეოგრაფიული ბაზინა (7 დაწყვილებული კადრი.)

5.1.7. მიკროფირების ორიგინალურ გამოცემებისათვის მონაცემები ინომრება ISBD (M ) (q. v.) დებულების შესაბამისად (გარდა დაუგვერდავი მიკროფიშებისა), ხოლო კადრების ან გვერდების მონაცემები არ იწერება. თუმცა, მიკროპროდუქციის შემთხვევაში, ორიგინალის პაგინაცია იწერება შენიშვნაში (იხ. 7.2. )

მაგ. . – 1 მიკროფილმის კოჭი (xii, 317 გვ.)

სარედაქციო შენიშვნა: ორიგინალური გამოცემის მიკროფორმა გვერდების მიხედვით მოთავსებული ტექსტის რეპროდუცირების შესაძლებლობით

. – 1 მიკროფილმის კოჭი

სარედაქციო შენიშვნა: ორიგინალური გამოცემის მიკროფორმა; დაუგვერდავი დაუგვერდავი რეპროდუცირებული ტექსტი

. – 1 მიკროფილმის კოჭი

სარედაქციო შენიშვნა: გამოცემული წიგნის რეპროდუქცია

შენიშვნა: ორიგინალური გამოცემა: xiv, 624 გვ.

5.1.8. თუ გამოცემა შედგება ორი სხვადასხვა ნაწილისაგან, მაშინ იწერება ნაწილების რაოდენობა.

e.g.. – 1 model (4 pieces)

– 1 game (350 pieces)

5.1.9. მულტიმედიას გამოცემის შინაარსს სახელწოდება ეძლევა და ინომრება უწყვეტად. ჩვეულებრივ, უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტი ან კომპონენტები იწერება პირველ რიგში. თუ ამგვარი კრიტერიუმების მისადაგება შეუძლებელია, მაშინ კომპონენტების ჩაწერა ხდება ანბანური თანმიმდევრობით.

მაგ. . – 3 დიაფილმის, 1 რუკა, 13 ქვა და მინერალი, 1 კედლის თვალსაჩინოება

სხვა შემთხვევაში:

ა. ფიზიკური ობიექტის უფრო ზოგადი აღწერის უზრუნველსაყოფად მასალების ზოგად აღმნიშვნელის სახით, შეიძლება გამოყენებულ იქნას მულტიმედია ან კომპლექტი.

მაგ. . – 1 მულტიმედია

ბ. ყოველი ფიზიკური ობიექტის კომპონენტი შეიძლება აღიწეროს ცალცალკე. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასალები ცოტა რაოდენობისაა და სასურველია ყოველი ფიზიკური კომპონენტის სრული აღწერა.

მაგ.

. – 3 დიაფილმი (96 fr.): ფერ. ; 35 მმ  
.- 1 რუკა : ფერ. ; 25 x 25 სმ, 10 x 18 სმ შესაფუთში  
.- 13 ქვა და მინერალი; 14 x 9 x 2 სმ სათავსში  
.- I კედლის თვალსაჩინოება : ფერ. ; 48 x 90 სმ 24 x 15 სმ შესაფუთში

გ. . – 1 მულტიმედია შეიძლება აღიწეროს აღწერის მრავალსაფეხურიანი მეთოდის მეშვეობით, რომელიც გამოიყენება მრავალნაწილიანი ერთეულების მქონე გაცემაში ( იხ. დანართი ა )

5.1.10. თუ გამოცემა დიდი რაოდენობისაა და ან მრავალი სახის ნაწილებისაგან შედგება, ნაწილების რაოდენობა შეიძლება ჩაიწეროს მიახლოებით. სხვა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას ტერმინი “ სხვადასხვა ნაწილები “ ან მისი ექვივალენტი.

მაგ.

.- 1 ასაწყობი გამოცანა (ca. 1000 ნაჭ.)  
– 1 ლაბორატორიული კომპლექტი (სხვადასხვა სახის ნაჭ)

5.1.11. გამოცემის ნაწილების ნუმერაციული აღწერილობის ჩაწერისას არავითარი სხვაობა ფურცლების, კადრების, დანომრილ და დაუნომრავ მონაცემებს შორის არ კეთდება ( მაგ. ბიბლიოგრაფიული სააგენტოს მიერ მოწოდებული საერთო ჯამი იწერება კვადრატული ფრჩხილების გარეშე ). დანომრილი ფურცლების, ფირების, კადრებისა და ა.შ. შემთხვევაში დანომრილი ფურცლების, ფირების, კადრებისა და ა.შ. ნუმერაცია იწერება, იმისდა მიუხედავად შეიცავს ეს საერთო ჯამი დაუნომრავ მონაცემებს თუ არა(მაგ. ტიტრები, დასასრულის კადრები და დიაფილმის სხვადასხვა ცარიელი კადრები )

5.1.12. თუ გამოცემა შეიცავს ერთზე მეტ ერთდაიგივე ფიზიკური ობიექტის ფორმებს (მაგ. ერთზე მეტი დიაფილმი,პორტფოლიოს და ა.შ.) და, თუ ყოველი ერთეულის თითოეულ ნაწილს გააჩნია გაგრძელებული ნუმერაცია, მაშინ ფურცლების, ფირების, კადრების და ა.შ. სურათი ნუმერაცია დაემატება ერთეულის რაოდენობას.(ამ წესის გამონაკლისს შეადგენენ მიკროფორმები, იხ. 5.1.7)

მაგ. . – 4 დიაფილმი (220 კდრ.)

თუ ერთეულები შედგება ისეთი გამოცემისაგან, რომელიც შედგება ფურცლების, ფირების, კადრების და ა.შ. ინდივიდუალურად დანომრილი თანმიმდევრობისაგან ფურცლების, ფირების, კადრების და ა.შ. რაოდენობა უნდა დაემატოს ერთეულების რაოდენობას, თუ ამას მოითხოვს ბიბლიოგრაფიული სააგენტო. სხვა შემთხვევაში ფურცლების, ფირების, კადრების და ა.შ. რაოდენობა გამოტოვებული უნდა იქნას.

მაგ.

.	–	3	დიაფილმი	(60,	52,	58	კდრ.)
.	–	2	ფლიპკარტი	(6,	8		ფირი)
. – 12 დიაფილმი							

ოვერლაის მქონე ტრანსპარენსის სიმრავლის შემთხვევაში, ოვერლაის არსებობა უნდა მითითებული იქნას, მაგრამ რაოდენობის ჩაიწეროს გარეშე.  
მაგ. . – 12 ტრანსპარენსი(ოვერლაისთან ერთად)

დიაფილმის შემთხვევაში, კადრების მონაცემები, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა დარჩეს, თუ მონაცემები დაკავშირებული არ არის ჩაწერილ კადრებთან.

მაგ. . – 12 დიაფილმი (შეწყვილებული კადრი)

სასურველია, რომ ცალკეულ ნაწილებთან, მაგრამ არა მთელ გამოცემასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია (ფურცლების, ფირების, კადრების და ა.შ. შესახებ ) ჩაიწეროს მეორე დონის მონაცემში (იხ. დანართი ა).

5.1.13. თუ გამოცემა შედგება ფურცლების, ფირების, კადრების და მისთ., რომლის ნუმერაცია წარმოადგენს უფრო ფართო ნუმერაციის ნაწილს ( მაგ . მრავალი დიაფილმის ერთერთი დიაფილმი რომლის კადრები თანმიმდევრობითაა დანომრილი ), მაშინ უნდა ჩაიწეროს ფურცლის, ფირების, კადრების და ა.შ. პირველი და ბოლო ნომრები, ხოლო ფურცლების, ფირების კადრების და ა.შ. აღმნიშვნელი აბრევიაცია უნდა ჩაიწეროს ნომრების წინ.

მაგ. . – 12 დიაფილმი (კდრ. 120-143 (შეწყვილებული კადრი))

თუ ამგვარ გამოცემას გააჩნია საკუთარი ნუმერაცია და ამავე დროს წარმოადგენს უფრო ფართე ნუმერაციის თანმიმდევრობას, ჩაიწერება გამოცემის საკუთარი ნუმერაცია, ხოლო ფართე ნუმერაციის მონაცემები ჩაიწერება შენიშვნაში (იხ. 7.5. )

მაგალითი e.g.. – 1 დიაფილმი (24 შეწყვილებული კდრ. )

შენიშვნა: დანომრილია ასევე 120-143 კადრები.

5.1.14. თუ ბოლო ფურცლის, ფირფიტის, კადრის ნუმერაცია არასწორია, მაშინ ის ჩაიწერება როგორც ეს მოცემულია გამოცემაში, ხოლო სწორი ვარიანტი მოთავსდება კვადრატულ ფრჩხილში.

მაგ. . – 1 დიაფილმი (64 [i.e. 46] კდრ.)

5.1.15. გამოცემის ზომები, რომელიც განუყოფელ გაგრძელებით ხასიათს ატარებს, ჩაიწერება დაკვრის დროის მონაცემებით. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს კინოფილმი, რომელსაც გაშვების დროის მონაცემებს შეიძლება დაემატოს კინოფირის სიგრძე.

მაგ. . – 1 კინოფილმის ბაბინა (22 წთ., 577 მ)

5.1.16. დაკვრის დრო, ჩვეულებრივ, ჩაიწერება მთელი გამოცემის ჩაწერის მსგავსად. იგი ჩაიწერება მოცემული ნიმუშის მიხედვით. თუ არავითარი ხანგრძლივობის მინიშნება არ არის მოცემული გამოცემაში, არც მის სათავეს და არც მის თანმხლებ ტექსტუალურ მასალაში, მაშინ ჩაიწერება გაშვების რაც შეიძლება ზუსტი ან თუნდაც მიახლოებითი დრო. თუ შეუძლებელია მონაცემების დადგენა, მაშინ იგი არ ჩაიწერება.

მაგ.

.	-	1	ვიდეოკასეტა	(U-matic)	(ca.	60	წთ.)
.	-	1	ხმის ჩამწერი	ბაზინა	(37	წთ.,	18 წმ.)
.	-	1	ხმის ჩამწერი	კასეტა	(90		წთ.)
.	-	1	გრამფირფიტა		(ca.	50	წთ.)

. – 1 ფილმლუპი (4 წთ., 20 წმ.)

5.1.17. თუ გამოცემა შედგება ერთდაიგივე ფიზიკური ფორმისაგან მქონე ერთზე მეტი ნაწილისაგან ( მაგ. ფირი, კასეტა და ა.შ ), რომლის თითოეულ ნაწილს გააჩნია თავისი საკუთარი დრო, მისი მონაცემები ჩაიწერება არა მთელი გამოცემის დროსთან ერთად, არამედ ცალცალკე.

მაგ.

- . – 3 ხმის ჩამწერი ბაზინა (25, 30, 27 წთ.)
- . – 2 ხმის ჩამწერი კასეტა (30, 90 წთ.)

5.1.18. თუ გამოცემა შეიცავს ორ ან მეტ ნაწარმოებს, ინდივიდუალური ეაწარმოების საკრავი დრო (თუ ის მოცემულია გამოცემაში) ჩაიწერება შენიშვნაში. ასეთი შენიშვნა შეიძლება ჩაიწეროს შინაარსთან ერთად ( იხ. 7.7 ). თუ ინდივიდუალური ნაწარმოების დაკვრის დრო ჩაწერილია შენიშვნის არიალში, მაშინ მთელი გამოცემის დაკვრის დროის მონაცემები შეიძლება აღარ ჩაიწეროს ფიზიკური ობიექტის აღწერილობის სფეროში.

## 5.2. ფიზიკური ობიექტის სხვა მონაცემები.

5.2.1. ფიზიკური ობიექტის აღწერილობის სფეროს მეორე ელემენტს წარმოადგენს მონაცემები, რომელიც ცალკე გამოყოფს გამოცემის სხვა მახასიათებლებს, მათ შორის ზომებსაც. ზოგი მახასიათებელი რომელიც ნაგულისხმევია მასალების სპეციფიკურ აღმნიშვნელში არ იწერება; მაგ. ხმოვანი ჩაწერის მახასიათებელი “sd”( იხ. 5.2.7. ) არ ჩაიწერება. სხვა ფიზიკური დეტალების შემცველი სპეციფიკაციები, შეძლებისდაგვარად, იწერება შესაბამისი თანმიმდევრობით.

5.2.2. მასალების ის მონაცემები, რომლისგანაც ეს გამოცემა შედგება.

მაგ.

.	-	1	ხმოვანი	ბაზინა	(27	წთ.)	:	ქალაღდი
.	-	1	მაკეტი	(4	ნაჭერი)	:	პოლისტირინი	
.	-	1	დიორამა:	სხვადასხვა			მასალა	



. – 1 მიკროფილმის ბაზინა : დიაზო  
კინოფირის ბაზინა (11 წთ.) : ცელულოიდის ფირი

. – 1

მასალების ასეთი მონაცემების ჩაწერა არასავალდებულოა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი მოითხოვენ სპეციალური აღჭურვილობას.

### 5.2.3. მიკროფორმები

5.2.3.1. მითითებები პროპორციულად შემოკლებული მასალებისთვის მოცემულია იმ მიკროფორმებისათვის, რომლის პროპორციული შემცირება ხორციელდება 16x-30x ზევით. სადაც შესაძლებელია პროპორცია გამოიხატება ციფრებში.

მაგ. . – 1 მიკროფილმის ბაზინა: დიაზო : 14x  
. – 1 მიკროფილმი : ვერცხლის ჰალოგენიდი, 150 x

5.2.3.2. ტერმინების, “ მცირე ზომის შემცირება “ ( 15x მდე ), “დიდი ზომის შემცირება” (31x -60 x ), “ძალიან დიდი ზომის შემცირება” ( 61x-90x ), “ზედიდი ზომის შემცირება” (91x ზე დიდი ), ან სხვა ენასა და\ ან დამწერლობაზე მათ ექვივალენტების გამოყენება ხდება, როცა შეუძლებელია პროპორციული შემცირების ზუსტი დადგენა.

მაგ. . – 1 მიკროფილმი : ზედიდი ზომის შემცირება

### 5.2.4. ფორმა ( მიკროფორმებისა და დიაფილმების )

მიკროფილმის ბაზინისა და მიკროფირის აპარატის შემთხვევაში იწერება კადრის განლაგება.

. – 1 მიკროფილმის ბაზინა : კინემოდი  
.– 3 მიკროფირის აპარატი: დიაზო: კომიკმოდი

კადრის განლაგება იწერება დიაფილმის შემთხვევაშიც  
მაგ. . – 1 დიაფილმი (42 შეწყვილებული კდრ.): კომიკმოდი

### 5.2.5. საილუსტრაციო მონაცემები.

5.1.5.1. მიკროფორმების ორიგინალური გამოცემებისათვის საილუსტრაციო მონაცემები იწერება ISBD(M) დებულების შესაბამისად. მიკრორეპროდუქციებისათვის საილუსტრაციო მონაცემები იწერება შენიშვნაში (როცა ეს შესაძლებელია ) ( იხ. 7.2. ).

5.2.5.2. სხვა ვიზუალური მასალას, რომლისათვისაც განკუთვნილია ISBD(NBM), ილუსტრაციები, თითქმის, მუდმივად თან ახლავს. ამიტომ, მასალებს, არავითარი მითითებები, ილუსტრაციების არსებობის შესახებ, არ უკეთდება. თუმცა, მითითებები ზოგიერთი სახის ილუსტრაციების არსებობისა და მისი ნუმერაცია შესახებ უნდა დაფიქსირდეს.

მაგ. . – 24 სლაიდი: ფაშიზმი.  
– 1 კაბრა (16 ფურც.): რუკები  
– 1 დიაფილმი (63 კდრ.): ძირითადად დიაგრამები  
– 1 დიაფილმი (24 შეწყვილებული კდრ.): 10 რუკები

### 5.2.6. ფერთან დაკავშირებული მონაცემები.

5.2.6.1 გამოცემის ფერთა მახასიათებლები ჩაიწერება საჭიროების შემთხვევაში. ფერთა მახასიათებლების გამოიყოფა შემოკლებების “col.” ან “b&w”-ის მეშვეობით (ან მათი ექვივალენტებით სხვა ენებზე და (ან დამწერლობაზე ), ან მათი დანომვრით ( მაგრამ არა სამზე მეტი სპეციფიკური ფერისა ). მიკროსკოპული სლაიდების შემთხვევაში მითითებული უნდა იქნას ფერჭერის არსებობა.

მაგ.

. – 1 კინოფირის ბაბინა (20 წთ.): col.  
. – 1 დიაფილმი (64 კდრ.): b&w  
. – 1 მაკეტი: ხე, ცისფერი და თეთრი  
. – 6 მიკროსკოპული სლაიდი : შეწამლული

5.2.6.2. გამოცემას რომელსაც აქვს თეთრი და შავი კინოკადრები ასევე უნდა აიწეროს.

მაგ.

. – 1 კინოფირის ბაბინა (20 წთ.): col. b&w, ერთად  
. – 1 დიაფილმი (64 კდრ.) : col. და b&w

5.2.6.3. ფრჩხილებში მოთავსებული მონაცემების შემდეგ შეიძლება ჩაემატოს მოკლე ახსნა.

მაგ. . – 1 დიაფილმი (64 კდრ.) : col. (Ektachrome)

5.2.7. ერთიანი ხმოვანი ჩანაწერის არსებობასთან დაკავშირებული მონაცემები.

5.2.7.1. აბრევიატურები “sd” ან “si” ( ან მათი ექვივალენტები სხვა ენაზე და\ ან დამწერლობაზე ) შეიძლება მიეკუთვნოს შესაბამისად იმ მასალებს, რომლის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს ფილმის ხმოვანი თანხლება და რომლის არსებობა გათვალისწინებული მასალების სპეციფიკურ აღმნიშვნელში.

მაგ. . – 1 კინოფირის ბაბინა (20 წთ.): b&w, si.

. – 1 ვიდეოკასეტა (U-matic) (30 წთ.) col., sd.

5.2.7.2. sd. მონაცემების შემდეგ შეიძლება ჩაემატოს ფრჩხილებში მოთავსებული მოკლე ახსნა.

მაგ. . – 1 ვიდეოკასეტა (Beta) (120 წთ.) : col., sd. (Beta HiFi)

5.2.7.3. იმ შემთხვევაში, როცა მასალას (მაგ. სლაიდში ) ხმა გამონაკლისის სახით ახლავს, si. მონაცემის გამოყენება მისი არ არსებობს მისათითებლად არასავალდებულოა.

5.2.8. სხვა ტექნიკური მახასიათებლებისა (დინამიკური საშუალებები)

ხმოვანი ჩანაწერების ტექნიკური მახასიათებლებისა და საწარმოო ნორმის ცხრილი.

ეს ცხრილი მიუთითებს, რომელი მახასიათებლები მიეკუთვნება ხმოვანი ჩანაწერების შესაბამის ტიპს. მახასიათებლებს, რომლებსაც მოეძებნებათ შესაბამისი ტიპი

აღინიშნება A- ასოთი, რომელმაც არ მოემდებნება შესაბამისი ტიპი აღინიშნება N /A ასოთი. თუ არსებობს მახასიათებლის და ჩანაწერის ტიპის ნორმები, მაშინ მას მოყვება ასო A.

5.2.8.1. 5.2.8.5. წესების თანახმად დაალაგე მოყვანილ ცხრილში მითითებული მახასიათებლების აქ ნაჩვენები თანმიმდევრობის თანახმად. მაგრამ თუ ცხრილში მოყვანილი საწარმოო ნორმა განსხვავდება ამ ნომრისაგან მიუწერე მახასიათებელი სიტყვა “მხოლოდ” .

მახასიათებელი	უწყვეტი მოძრაობის გრამფირფიტა		ციფრული დისკი	ზაბინა	კასეტა	კარტრიჯი
	78 ბრუნის სხვა სიჩქარეები					
სიჩქარე	A	A	1,4 მ/წმ	A:	A : 4,76 სმ \ \ წმ	A : 9, 5 სმ \ \ წმ
ჩაწერის წესი	A: ელექტრონული	A: ელექტრონული	N/A	N/A	N/A	N/A
ღარაკის მიმართულება	A: გვერდული	A: გვერდული	N/A	N/A	N/A	N/A
ღარაკის ზომა	A: მსხვილი	A: მიკრო	N/A	N/A	N/A	N/A
ბილიკების რაოდენობა	N/A	N/A	N/A	A	A	A: S
ბილიკის კონფიგურაცია	N/A	N/A	N/A	A: საპირისპირო	N/A	N/A
ხმის არხების რაოდენობა	N/A მონო	A	A	A	A	A: სტერეო
რეგულირების სისტემა	N/A	N/A	N/A	A	A	A: 50 s
ხმის	N/A	N/A	N/A	A	A	A

შემცი- რების სისტემა						
----------------------------	--	--	--	--	--	--

5.2.8.1. გამოცემის დაკვრის სჩქარე ჩაიწერება შესაბამისი ტერმინით .

მაგ. . - 1 გრამფირფიტა : 33 1/3 ბრუნნი  
. - 1 ხმის ჩამწერი ბაზინა (100 წთ.) : 19 სმ/წმ.  
. - 2 ვიდეოფირფიტა (24 წთ.) : 1500 ბრუნნი

5.2.8.2. გრამფირფიტის შემთხვევაში ჩაწერის წესი, ღარაკის მიმართულება და ღარაკის ზომა ჩაიწერება თუ მონაცემები ცნობილია.

მაგ. . - 1 გრამფირფიტა : 78 ბრუნნი, ვერტიკალური  
. - 1 გრამფირფიტა : 33 1/3 ბრუნნი, მსხვილი

5.2.8.3. გამოცემებში, რომლებიც იყენებენ მაგნიტურ ლენტას ჩაიწერება ბილიკების რაოდენობა.

მაგ. . - 1 ხმის ჩამწერი ბაზინა (100 წთ.) : 19 სმ/წმ., 2 ბილიკი

ბაზინები, რომლებიც ჩაწერილია ოთხ ან მეტ ბილიკზე, უნდა დაზუსტდეს ბილიკების კონფიგურაცია.

მაგ. . - 1 ხმის ჩამწერი ბაზინა ( 90 ) : 19 სმ- წმ. 4 გზა, მომიჯნავე.

5.2.8.4. ხმის არხების რაოდენობა უნდა ჩაიწეროს.

მაგალითად, . - 1 გრამფირფიტა : 33 1/3 ბრუნნი, მონო  
. - 1 ხმის ჩამწერი ბაზინა (50 წთ.): 38 სმ/წმ., 2 ბილიკი, სტერეო

5.2.8.5. გამოცემები, რომლებიც აყენებენ მაგნიტურ ლენტას და რომელშიც გამოყენებულია რეგულატორი და ხმის დასაწევი სისტემის მონაცემები უნდა ჩაიწეროს.

მაგალითად,

. - 1 ხმის ჩამწერი ბაზინა (45 წთ) : 19 სმ- წმ, 4 ბილიკი, NAB

. - 1 ხმის ჩამწერი კასეტა ( 60 წუთი ) : დამუშავებულია დოლბის ფორმით

5.2.9. თუ გამოცემის გაშვება შესაძლებელია სხვა ფორმატში, რომელშიც აღწერილია ამ ელემენტზე, ფიზიკური ობიექტის დასადგენი დეტალები არ ჩაიწერება ფიზიკური ობიექტის სფეროში და ჩაიწერება მე-8 -ე სფეროში ან შენიშვნაში (იხ. 7.5.)

მაგალითად, . - 1 მიკროფილმის ბაზინა: კომიკმოდო

შენიშვნა: გაშვება შესაძლებელია დიაზოზე ან ვერცხლის ჰალოგენიდზე

5.3. გამოცემების ზომები

5.3.1. ფიზიკური ობიექტის აღწერის სფეროს მესამე ელემენტის წარმოადგენს გამოცემის ზომა, რომელიც გამოიხატება სანტიმეტრებში გამრავლებულს მომდევნო მთელის სანტიმეტრზე.

მისი შამოკლებული სახეა- “სმ” (ან მისი ექვივალენტი სხვა ენაზე და ან დამწერლობაში)

5.3.2. ორგანზომილებიანი გამოცემის ზომა ( კედლის თვალსაჩინოება მიკროფიშები, ტრანსპარენსები, სლაიდები, სურათები და ა.შ. ) ჩაიწერება “სიმაღლე x სიგრძეზე” ფორმით. მრგვალი ორგანზომილებიანი გამოცემა (გრამფირფიტები და ვიდეოფირფიტების გარეშე, იხ5.3.4.) ჩაიწერება ბოლოში ფრჩხილებში მოთავსებული შემოკლებული სიტყვის “დიამ” (ან მისი ექვივალენტის სხვა ენასა და/ან დამწერლობაში ) მეშვეობით. ოვალური ორგანზომილებიანი გამოცემა ჩაიწერება ვერტიკალური ღერძის სიგრძის მეშვეობით, რომლის ბოლოში მოთავსდება ფრჩხილებში ჩასმული შემოკლებითი სიტყვა “ოვალი” ან მისი ექვივალენტი სხვა ენაში. ზომები, რომლებიც დაკავშირებულია ფენებთან ან სხვა ზედაპირებთან, როდესაც ფენის ზომასა და დაბეჭდილ არეს შორის არსებითი განსხვავებაა სიმბოლოები იწერება შენიშვნაში

მაგ. . - 1 კედლის თვალსაჩინოება : ფერ. ; 24x48 სმ.

. - 20 სლაიდი : ფერ. 5x5

. -1 ნახატი : ფერ ; 36 სმ ( დიამ. )

. - 3 სტერეოგრაფიული ბაზინა (21 შეწყვილებული კადრი) : 6 ფერ; ( დიამ. )

თუ გამოცემა შეიცავს სხვადასხვა სიდიდის ამგვარი ორგანზომილებიან და სხვადასხვა ზომის ინდივიდუალური ერთეულის სიმრავლეს, იწერება უდიდესი, თანმხლები ფრაზით, “და მცირე “ ( ან მისი ექვივალენტი სხვა ენისა და/ ან დამწერლობაში ).

მაგ. . - 6 კედლის თვალსაჩინოება : ფერ. ; 60x98 სმ და მცირე

სხვა შემთხვევაში, ყველა ერთეულის ზომები ჩაიწერება შენიშვნაში (იხ. 7.5.)

შეხვეული ფურცლებისათვის უნდა ჩაიწეროს ორი ზომის მონაცემები

მაგალითად,

.-- 1 კედლის თვალსაჩინოება : ფერ; 48x90 სმ შეხვეული  
სმ-ში.

24 x15

5.3.3 სამგანზომილებიანი გამოცემის (დიორამები, მაკეტები და ა.შ. ) ჩაიწერება სიმაღლე x სიგანეზე x სისქეზე ფორმითხოლო თუ ეს მოუხერხებელია ჩაიწერება, მხოლოდ, სიმაღლე. ძალიან რთული ზომების მონაცემები ჩაიწერება შენიშვნაში (იხ.7.5 ) ან საერთოდ არ ჩაიწერება.

მაგ. . - 1 დიორამა : სხვადასხვა მასალა, ფერი, 9 x 30 x 20 სმ

. - 1 მაკეტი: პლასტმასის, შავთეთრი ; 15 სმ.

თუ ერთიანი სათავსი ან პასპარტუ აღწერის ნაწილს წარმოადგენს, ჩაიწერება ზომის ორი მონაცემი. სხვა შემთხვევაში, ჩაიწერება მთელი გამოცემის, მათ შორის, სათავსის ან პასპარტუს ზომები.

მაგ. .-1 მაკეტი: პლასტმასა, მოვარდისფრო; 55 სმ-იან სტენდზე, 30 სმ.

.- 1 დიორამა; ფერ, მოჭიქულ ყუთში 35 x 60 x 24 ს

5.3.4. ისეთი გამოცემები, რომლებიც აღჭურვილობას მოითხოვენ ( ფირები, კასეტები, ბაზინები, ან კინოფილმის) ძირითადი ზომები ჩაიწერება თავად გამოცემის მაგვარად, მათი სათავსების ზომის მიუხედავად იქება ეს ალბომი თუ გრამფირფიტის ჩასადები ( ამგვარი სათავსების დამუშავების შესახებ იხ. 5.3.7. ) მრგვალი საგნების დიამეტრის ზომა ჩაიწერება დამატებების გარეშე.

მაგ.

.- 1 გრამფირფიტა ( 53 წთ) ; 33 1\3 ბრუნის, სტერეო ; 30 სმ.

.- 1 ხმის ჩამწერი ბაზინა (100)წთ.19 სმ\ წმ 4 ბილიკი, მონო ; 12,7 სმ

.- 1 გრამფირფიტა (CD) (60 წთ) : სტერეო ; 12 სმ.

არ ჩაიწერება იმ მასალების მონაცემები ( მაგ. სტანდარტული ტიპის ხმის ჩამწერი კასეტები და ბაზინები), რომელთა ზომები შეტანილია აღწერილობის სხვა ნაწილში.

მათი სტანდარტული ზომებია:

ხმის ჩამწერი კასეტა 10 x 6,4 x 1.2 სმ.

ხმის ჩამწერი ბაზინა 13.5 x 10 x 2.2 სმ.

5.3.5. თუ გრამფირფიტა არასტანდარტული ფორმისაა ( მაგ. როცა საკრავის ზედაპირი უსწორო ფორმისაა), მაშინ საკრავის ზედაპირის დიამეტრი ჩაიწერება ფიზიკური ობიექტის აღწერის სფეროში. მონაცემები, რომლებიც ეხება გამოცემის გარემოცელობას ჩაიწერება შენიშვნაში ( იხ.7.5).

მაგ.

.- 1 გრამფირფიტა ( 11წთ ) : 45 ბრუნის, მონო; 17.5 სმ.

შენიშვნა

გრამფირფიტა დაბეჭდილია სამკუთხედ ზედაპირზე 20 x 20.

5.3.6 იმ შემთხვევაში, როცა გამოცემაში გამოყენებულია ფილმი ან მაგნიტური ფირი, მაშინ ჩაიწერება ფილმის გადამწოდი ან ფირის სიგანე. 8 მმ-იანი და 8 მმ –ზე განიერი სტანდარტული ფირი ჩაიწერება იგივე წესით. აღწერის ნაწილში გათვალისწინებული ზომები (სტანდარტული კასეტის ან ბაზინის ლენტის სიგანე ) არ ჩაიწერება.

მათი სტანდარტული სიგანეა:

ბაზინის- 6,3 მმ

კასეტის - 3,8 მმ

ხმის ჩამწერი კასეტის-6,3 მმ

მაგ.

. - 6 მიკროფილმის ბაზინა:

. - 1 ხმის ჩამწერი ბაზინა (45 წთ): 19 სმ წმ, 2 ბილიკი, მონო, 12,7 სმ, 6 მმ .

. - 1 ფირის ციკლი (4 წთ, 10 წთ ) : ფერ ; სუპერ 8 მმ

5.3.7. ყუთებში მოთავსებული მასალებისათვის, როგორცაა, მულტიმედია, სხვადასხვა სახის ხმოვანი დისკები და ა.შ., სათავსის ზომები უნდა ჩაიწეროს. სხვა შემთხვევაში უნდა გამოყენებულ იქნას სიტყვა “ სათავსი” ( ან მისი ექვივალენტი სხვა ენასა და / ან დამწერლობაზე ) ან მონაცემები საერთოდ არ უნდა ჩაიწეროს.

მაგ. . - 1 ლაბორატორიული კომპლექტი ; სათავსში, 12 x 36 x 20 სმ.

. - 5 გრამფირფიტა ( 256 წთ ) : 33 1/3 ბრუნის, სტერეო ;

30 სმ სათავსში.

5.3.8. თუ გამოცემა წარმოდგენილია ელემენტისთვის მინიჭებული განსხვავებული ფორმით, დაუდგენელი ზომის მონაცემები არ ჩაიწერება ფიზიკური ობიექტის სფეროში და ჩაიწერება მე-8-ე სფეროში ან შანიშვანაში (იხ.7.5.) .

მაგალითად,

.- 1 ფილმის ( 4 წთ, 30 წმ.) : ფერ.

შენიშვნა: გამოიყენება 8 მმ და სუპერ 8 მმ სტანდარტულ ვერსიებში .

5.4. თანმხლები მასალების მონაცემები (შერჩევით)

5.4.1. ფიზიკური ობიექტის აღწერის მეოთხე ელემენტს წრმოადგენს თანმხლები მასალების მონაცემები. ტერმინი თანმხლები მასალები გამოიყენება გამოცემის იმ ფიზიკური ნაწილის მისათითებლად, რომელიც მკაფიოდ არ არის დაზუსტებული ფიზიკური ობიექტის აღწერილობის სფეროში. ამგვარმა ნაწილებმა შეიძლება ჩამოაყალიბოს ორი ან ორზე მეტი ურთიერთდამოკიდებული სისტემა ( მაგ. ხმოვან ფირებთან კომბინირებული სლაიდები ) ან გამოცემის მცირე ნაწილი ( მაგ. დიაფილმების თანმხლები ახსნაგანმარტებითი ბროშურა).

5.4.2. თანმხლები მასალები ჩვეულებრივ აიწერება შესაბამისი ISBD 5.1-5.3. დებულების თანახმად. 5.1.-5.3 დებულების თანახმად.

მაგ.

. - 47 სლაიდი : ფერ. ; 5x5 სმ+ 16 ხმის ჩამწერი კასეტა  
(25 წთ.) : მონო.

მაგრამ, თუ თანმხლები მასალები წარმოადგენს გამოცემის მცირენაწილს, მას შეიძლება მიეცეს სახელი, ან ტერმინით, რომლითაც იგი წარმოდგენილია გამოცემაში ან შესაბამისი მასალების სპეციფიკის აღმნიშვნელის მეშვეობით (იხ. დანართი გ ), შემდგომი დაზუსტების გარეშე.

მაგ. .-- 1 დიაფილმი (43კდრ.) : 6 ფერ. და შავთეთრი ; 35 მმ + მასწავლებელთა შენიშვნები.

. -1 კედლის თვალსაჩინოება : ფერ; 65 x 97 სმ + თვალსაჩინოების შენიშვნები

. - გრამფირფიტა ( 55 წთ. ) : 33 1\3 ბრუნნი, მონო ; 30 სმ+1 ბროშურა.

5.4.3. თუ ეს თანმხლები მასალა წარმოდგენა შესაძლებელია სხვა ფიზიკურ ფორმატში ( მაგ. გრამფირფიტა ან კასეტა), მაშინ თანმხლები მასალების მონაცემები იწერება შესაბამისი ზოგადი ტერმინების მეშვეობით. განსხვავებული ფორმატის დეტალები ჩაიწერება

მაგ.

. - 47 სლაიდი : ფერ; 5X5 სმ. + 1 ხმოვანი ჩანაწერი.

შენიშვნა: ხმოვანი ჩანაწერი წარმოდგენილია: გრამფირფიტით (14 წთ)

: 33 1/3 ბრუნით, მონო ; 17, 51 სმ, ან ხმის ჩამწერი კასეტით (14 წთ )

5.4.4. თუ მთელი გამოცემა და მისი თანმხლები მასალები მოთავსებულია სათავსში, სათავსის დეტალები ( თუ ეს აუცილებელია ) ჩაიწერება შენიშვნაში (იხ.7.5. )

5.4.5. თანმხლები მასალები უნდა აიწეროს დამოუკიდებლად ან აღწერის მრავალდონიანი მეთოდის გამოყენებით ( იხ. დანართი A )

## 6. სერიალის სფერო

წინასწარი შენიშვნები მე-6 -ე სფერო გამოყენება მხოლოდ მაშინ როცა გამოცემის ყველა ნაწილი გამოქვეყნებულია (ან უნდა გამოქვეყნდეს ) იმავე სერიალით ან ქვესერილი, როგორც თავად გამოცემა. სხვა შემთხვევაში სერიალის ანუ ქვესერილის მონაცემები ჩაიწერება მე-7 -ე სფეროში.

თუ გამოცემა მიეკუთვნება ერთზე მეტ სერიალს და / ან ქვესერილს, მაშინ სფერო მეორდება. მონაცემთა თანმიმდევრობის განსაზღვრისას უპირატესობა ეძლევა სფერო წყაროების თანმიმდევრობას; იმ შემთხვევაში თუ მათ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ, თანმიმდევრობა ყალიბდება იმ თანმიმდევრობით, რომელიც მოპოვებულია არჩეულ წყაროში. სერიებისა და ქვესერიების შემთხვევაში მე-6-ე სფეროს მიკუთვნებული ელემენტების უკეთ გასარკვევად საჭიროა ISBD (S )-სთან შეჯერება.

(მაგ. წყაროების შერჩევისას, ..... ჩასაწერად ). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია .....



0.3.1. შენიშვნა, რომელიც ტერმინებს “ საერთო სათაური “ და “ დაქვემდებარებული სათაური “ განმარტავს, რომლითაც დადგენილია, რომ როცა ისინი გამოიყენება ა) მთელი ..... განაკვეთის ..... სუბსერიალების სათაურების სათაურებად, რომელშიც სუბსერიალების სუბ-სერიალების სათაური დაქვემდებარებულია

შინაარსი

- 6.1. სერიალებისა და ქვესერიის ზოგადი სათაური.
- 6.2. სერიალებისა და ქვესერიის პარალელური სათაური.
- 6.3. სერიალებისა და ქვესერიის სხვა სათაურიანი ინფორმაცია (შერჩევით)
- 6.4. სერიალებთან და ქვესერიასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობის მონაცემები.
- 6.5. სერიალებისა და ქვესერიის ნუმერაციის საერთაშორისო სტანდარტები.
- 6.6. დანომვრა სერიალებისა და ქვესერიის შიგნით.

პუნქტუაციის ნიმუშები.

- ა. სერიალების სფეროს წინ უძღვის წერტილი, ინტერვალი, დეფიზი და ინტერვალი( - )
- ბ. თითოეული სერიალის მონაცემები თავსდება ფრჩხილებში ( )
- გ. მეორე და ყოველი შემდეგი სერიალის მონაცემებს წინ უძღვის ინტერვალი.
- დ. ყოველი პარალელურ სათაურს წინ უძღვის, ტოლობის ნიშანი და ინტერვალი ( = )
- ე. სხვა სასათაურო ინფორმაციის ყოველ მონაცემებს წინ უძღვის ინტერვალი, ორი წერტილი და ინტერვალი . ( : )
- ვ. პასუხისმგებლობის პირველ მონაცემს წინ უძღვის ინტერვალი, დახრილი ხაზი და ინტერვალი. ( \ )
- ზ. პასუხისმგებლობის ყოველ მომდევნო მონაცემებს წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ მძიმე და ინტერვალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მონაცემები განიხილება ერთი ფრაზის ფორმად.
- თ. სერიალების ნუმერაციის საერთაშორისო სტანდარტს წინ უძღვის მძიმე და ინტერვალი ( , )
- ი. სერიალებისა და ქვესერიის შიგნით დანომვრას წინ უძღვის ინტერვალი, წერტილ-მძიმე და ინტერვალი ( ; )
- კ. ნაკვეთების ან ქვესერიის აღმნიშვნელს ან დაქვემდებარებულ სათაურს, რომელიც მოთავსებულია საერთო სათაურის შემდეგ, წინ უძღვის წერტილი და ინტერვალი ( . )
- ლ. ნაკვეთების ან ქვესერიის აღმნიშვნელის შემდეგ დაქვემდებარებულ სათაურს წინ უძღვის მძიმე და ინტერვალი ( , )

მაგალითად,

- . - ( პირველი სერიალი ) (მეორე სერია)
- . - ( სერიალის ზოგადი სათაური = სერიალის პარალელური სათაური)
- . - ( სერიალის ზოგადი სათაური : სერიალის სხვა სასათაურო ინფორმაცია )

(სერიალებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მონაცემები ; სერიალის შიგნით მოთავსებული ნუმერაცია)

- . - ( სერიალის ზოგადი სათაური, ISSN სერიალის შიგნით მოთავსებული ნუმერაცია )

. - ( საერთო სათაური. ნაკვეთის ან ქვესერიის აღმნიშვნელი, დაქვემდებარებული სათაური).

. - ( ზოგადი სათაური. დაქვემდებარებული სათაური = პარალელური ზოგადი სათაური. პარალელური დაქვემდებარებული სათაური )

## 6.1. სერიალების ან სუბ- სერიალების ზოგადი სათაური

6.1.1 სერიალებისა ან ქვესერიის ზოგადი სათაური სერიალების და ქვესერიის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში მიეკუთვნება ზოგად სათაურს, თუ ის, ISBD(S) სფეროს დებულების თანახმად, აღწერილია როგორც სერიალი.

მაგ. . – (Premiers pas)

. – (collections Tresors classiques)

. \_ (Beatrix Potter jigsaw puzzles)

. – ( Pravljice na plosci)

6.1.2. ზოგადი სათაური ჩაიწერება ისე, როგორც ეს მოიპოვება აღწერის ინფორმაციის წყაროში. იგი ჩაიწერება ზუსტად ფორმულირების მიხედვით, მაგრამ კაპიტალიზაციის და პუნქტუაციის გამოყენების გარეშე.

6.1.3. თუ ქვესერიალს გააჩნია განსხვავებული სათაური, მაშინ იგი ჩაიწერება მე-6 -ე სფეროში მთავარი სერიალის სათაური ჩაიწერება მე-7-ე სფეროში.

მაგ. (აღმოსავლური მუსიკის ანთოლოგია ; 4)

შენიშვნა: მთავარი სერია: მსოფლიო მუსიკის ანთოლოგია

6.1.4. თუ ზოგადი სათაური შედგება საერთო სათაურის და ნაკვეთის ქვესერიალის დაქვემდებარებული სათაურისაგან, მაშინ ჯერ იწერება საერთო სათაური, რომელსაც შემდეგ მოსდევს ნაკვეთის ან ქვესერიალის აღმნიშვნელი და / ან ნაკვეთის ან ქვესერიალის სათაური. საერთო სათაური არ მეორდება მე-7 -ე სფეროში.

მაგ. . – (Standard radio super sound effects. Trains)

. – (XIe domaine de recherches. Serie B, A la cour de Frederic II)

. – (Arithmetica para principiantes. Serie 2, Conceptos numericos)

. – (Machine sewing. Series 1; 3)

6.1.5. თუ აღსაწერი გამოცემა წარმოადგენს მრავალნაწილიანი გამოცემის ცალკეულ ნაწილს, მაშინ სერიალის ზოგადი სათაური იქნება მრავალნაწილიანი გამოცემის ზოგადი სათაური, რომელიც აღიწერება, როგორც მთლიანი ISBD(NBM) სფეროს დებულების თანახმად.

მაგ. . – (Puzzles for distributive education classes; pt. 4)

. – (L'arte in diapositive; n' 1)

## 6.2. ქვესერიის პარალელური სათაური

6.2.1. თუ სერიალის ან ქვესერიის ზოგადი სათაური მოცემულია აღწერის ინფორმაციის წყაროში ერთზე მეტ ენასა და / ან დამწერლობაზე, მაშინ იგი ჩაიწერება.

მაგ. . – (Seux visuels = Visual games ; 13)

6.2.2 თუ ზოგადი სათაური შედგება საერთო სათაურისა და დაქვემდებარებული სათაურისაგან, მაშინ პარალელური საერო სათაური და პარალელური დაქვემდებარებული სათაური ჩაიწერება მთლიანი ზოგადი სათაურის შემდეგ.

მაგ. . – (Sounds of the theatre. Music = Voci del teatro. La musica ; 4)

6.3. სერიალების და ქვესერიის სხვა სასათაურო ინფორმაცია (შერჩევით)

6.3.1. სერიალებთან და ქვესერიასთან დაკავშირებული სხვა სასათაურო ინფორმაცია შეიძლება ჩაიწეროს, თუ იგი მოცემულია გამოცემაში და აუციებელია სერიალის დასაზუსტებლად

მაგ. . – (Words: their origin, use, and spelling)

. – (The Middle East: young people and their families)

6.3.2. თუ ზოგადი სათაური შედგება ზოგადი სათაურისაგან და დაქვემდებარებული სათაურისაგან, მაშინ სხვა სასათაურო ინფორმაცია მოყვება ზოგადი სათაურის იმ ნაწილს, რომელსაც იგი მიეკუთვნება. გაურკვევლობის შემთხვევაში, იგი უნდა ჩაიწეროს მთლიანად ზოგადი სათაურის შემდეგ.

6.3.3 სერიალთან დაკავშირებული საგამომცემლო ინფორმაცია დამუშავდება, როგორც სხვა სასათაურო ინფორმაცია. იგი ჩაიწერება მე-2 -ე სფეროს დებულების შესაბამისად.

მაგ. . – (Early learning series: მე-2-ე გამოცემა)

6.4. სერიალებთან თუ ქვესერიასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მონაცემები.

